

# ისტორიანი

გრიგორი  
ჩახატიშვილი  
აღზევება და  
აღსასრული

მოწამვების საიურებლის  
ფარები 100 წელს შემდეგ აცხადა

მეფე არჩილის  
ცრაბელია

სახადეო  
მაშტი-პრივი  
ცვილისში



„50 პარსენა —  
მათ შემთხვევა ისტორია“

თომი XXIX

„ნელსონ  
მანდელა“

ნიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 8 ლარი

„ლალიძის ცყლების“  
ისტორია

13 ცლის ბიჭება  
დანიის მეფის  
საგანძუროს მიმაჯლივა


ელენიო ერერა  
და „ქართული ფრთხები“

„ხორგაზოული გაბაჭყალი“  
თურქეთის ლაზები  
და ქართველობა

# ქართველი მაფები

პატრონი და მსახური ევეფენისანი

სკაციალური  
ფასი 5.50ლ  
გაზითთან  
ერთად 7ლ



24  
თომად  
  
მაგარი ყდით

სკაციალება:



შეცვება:



ფოსი 7

გაზით „კვინის პატიშნასთან“ ერთად  
ისცონია, ჩოგანიც ქვირფასია!



გამოდის  
თვეში ერთხელ

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე:

0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და [www.elva.ge](http://www.elva.ge) ადგილზე მოგართმევთ.



Palitra.L.PUBLISHING [www.palitra.ge](http://www.palitra.ge)



## საჩრევი

<b>მოპლ ამბავი</b>	
ომი და სიცოცხლე	6
<b>ახალი ამბავი</b>	
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის	
ანდოგლობის დემოკრატიული რესპუბლიკის	7
ანდოგლობის დემოკრატიული – ტრანსკონფიდენციალური	8
13 ზღვის ბიჭა დანიის მეფის საგანძურო მიაკვლია	10

<b>გელ კარილის</b>	
ეგვე არჩილის ტრაგედია	12
<b>კონცორბი</b>	
სახალხო მუშტი-კრიზი კველად	18
სხოვხაბის ემი ასილე ცის ნინ	
საუკუნის ზინანდელი ხელვასები	
და ფასები (დასასრული)	24
<b>კარივი მანახევრები</b>	
„ლალიძის ზყლვბის“ ისტორია	34
<b>კონისი</b>	
თურქეთის ლაზები და ეროვნული აღდგის პროგლობა	39

**43****48****58****53****64****74**

## საქართველო

ეთე ეკანტიურისტები	
სამხედრო კარით თამაში .....	43
ექოფას ისტორია	
ფრონდა .....	48
საომშის ისტორია	
მღვდელო ერეა: ყოველი მატჩი ისტორიაა ..	53
მოცავ ერა	
ივანე ჯგუფიშვილის ცხოვრების	
ჭიდენ ჯერაც არ ზაგვიკითხავს .....	58

ფინანსები თანამდებარებულიას შემთხვევაში .....	61
კანსაციზმთა ბერძოლის ქრისტენები „ხრისტიანული გაფაფხული“ .....	64
მოწილოში სწორი სასახლეები	
დიორდეატიანეს სასახლე .....	74
ახისებული თავპალასავალი	
500 დღე და დამა მორის ზურგები .....	84
სპანიელი .....	90

**გურიანალ „ისტორიანის“ ძველი ნომრების შემება შეგიძლიათ  
„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში**

## հՀԵՏՔԵՐԸ ԵՅՑԱՆ

საქართველოს პოლიტიკურმა ბედუკულმარ-  
ოობაშ და შინააშლილობაშ მეფე არჩილ II, იგივე  
შაპირაშარ ხანი, ტახტის მაძიებლად აქცია. მამის,  
გახტანგ V-ის (შაპირაშის) მხარდაჭერით იგი ჯერ  
იმერუთში გამეფდა, შემდეგ — კახეთში, მერე კი  
კვლევ ოთხჯერ ავიდა იმერუთს ტახტზე. 1699 წელს  
მეფე არჩილი სამუდამოდ გადასახლდა რუსეთში,  
სადაც ფართოდ გაშალა კულტურულ-საგანმანათ-  
ლებლო საქმიანობა.

ქართული ხელნაწერი ანბანის მიხედვით ასოთა  
გამოჭრა მეფე-პოეტმა სასტამბო საქმით დაწინაურე-  
ბულ ნიდერლანდებში დაუკვეთა. „საჩინო ქალაქის“,  
აშტერდამის მერ ნიკოლას ვიტსენს მეფე არჩილმა  
თავი წერილით გააცნო. ვიტსენის, განთქმული უნგ-  
რელი ასოთმოქანდაკ მიკლოშ ტოტფალუშ კაშისა  
და ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის წყალო-  
ბით, ქართული შრიიფტი საუკუთხოდ მომზადდა. 1705  
წლის 19 მარტს რუსეთში ამ შრიიფტით დაბეჭდილი  
ქართული წიგნი „დავითინი“ ქართული ახალშენის  
დიდ კულტურულ მონაპორად იქცა... რუსეთში არ-  
ჩილ მეფის მოღვაწეობისა და მის თავს დამტყდარი  
არაერთი უძღვურების შესახებ მოგითხოვთ წერილ-  
ში „მეტყვე არჩილის ტრაგედია“.

თურქეთის ლაზებისა და მათი ეროვნული აღქმის პრობლემებს მყითხველი გაუცნობა სტატიაში რუბრიკით „პოზიცია“: ლაზების ქართულ სივრცესთან ინტეგრაციის მიზნით თურქეთის რესპუბლიკაში უნდა გაიგზავნოს ლაზური ეთნოგრაფიის, ძეგლების, მუსიკისა და მეტყველების შემსწვლელი ექსპერიციები; თურქულად უნდა ითარგმნებოდეს და კრცელდებოდეს არა მარტო ლაზებთან, არამედ ქართველებთან დაკავშირებული ლიტერატურა, ქართული მუსიკის აუდიო და ვიდეოჩანანერები და სხვ.

ეთნოლოგიური ნარკვევი „სახალხო მუშტი-კრიფი ძველად“ მოგვითხრობს XIX საუკუნის შუა წლებამდე დედაქალაქის მცხოვრებთა თავშესაქცევ გარიობა—სასახაობებზე. მუშტი-კრიფს ქალაქური ყოფის „სავიზიტო ბარათად“ მიიჩნევდნენ. მასში მთელი ამტკრობა, ვაჭარ-ხელოსნები მონაწილეობდნენ, ერთმანეთს „ეომებბოდნენ“ და ზოგჯერ შურდულით ქვებსაც უშენდნენ. ძველთბილისურ მუშტი-კრიფს თამაშის ფორმით მიმდინარე სამხედრო წერთხებად მიიჩნევდნენ.

ტრადიციულად, სანტტერჯოს მასალებს წარმოგიდგინთ რებრიკებით „სპორტის ისტორია“, „მსოფლიოში ცნობილი სასახლეები“, „ჯარისკაცის თავადასაცალი“ და სხვ.



ისტორიულ-შემცირებითი ქურნალი  
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი  
ჯაბა სამუშა

რედაქტორი  
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი  
ელენე სალარიძე

## კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი

სარეკლამო ციფრულია: ალექსანდრე ბოტვინიშვილი, ოქროპირი ჯიქური, ნინო ჯაფრაძე, დიმიტრი სილავაქე, მიხეილ ბარნიოვი, შოთა მათიაშვილი, კახაბერ გალიოზა, ნიკოლოზ ხოფტერა

კორექტორები:  
ნანა მაჭუვარიანი  
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებიძის ქ. №49  
**ტელ.:** 238-13-72, 238-02-45  
**e-mail:** istoriani@palitra.ge

სარეკლამო განყოფილება  
ტელ.: 237-78-07, 238-78-70

უკრაინული გამოცდის ოფეში ერთხელ  
რედაქტურის ნებართვის განვითარების  
მასალების გადატექდება არძალულია  
„პალიტრამედიას“ ცხელი საზო: 219-60-13; 219-60-53  
e-mail: contact@palitra.ge


ეურალის გამტერა შევაძლიათ ინტერნეტით,  
კიბ-გვრეჩქვე: [www.elva.ge](http://www.elva.ge)  
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:  
**(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74**  
აღიანოშე მიტანა ქუთაისა!

# ომი და სიცოცხლე

კორეის ომის დროს, 1953 წელს, აშშ-ის პირველი საზღვაო ქვეითთა დღიზეის სამხედრო კორესპონდენტმა, სერუკანტმა ფრენკ პრეიიტორმა დაობლებული, ორი კვირის კნუტი „იშვილა“ პრეიიტორი დაკანსერვებული რომა კვებავდა პატარა ცხოველს და ამისთვის წვეთოვანს იყენებდა. ფრენკმა თავის ფისოს მის ჰეპი (ბერინგი) უწოდა, რაღაც, მისი განმარტებით, „კნუტი ცუდ ადგილას და ცუდ დროს დაიბადა“. ცოტა რომ წამოიზარდა, პრეიიტორმა მის ჰეპი ხორცს მიაჩვია ასევე ჯარისკაცული რაციონიდან. სერუკანტის შეცდომა კი ის იყო, რომ თავისი და მის ჰეპის ფოტო შინ გაგზავნა.

დღეს ინტერნეტით გავრცელებული „ვირუსული“ ფოტოების მსგავსად, ფრენკისა და მის ჰეპის სურათი მაღვე გახდა პოპულარული. ის 1700-ზე მეტ ამერიკულ გაზეთში დაიძეგვდა, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ჩათვლით. უკვე ხანდაზმულმა პრეიიტორმა, 2009 წელს აშშ-ის საზღვაო ინსტიტუტში გამართული შეხვედრისას გაიცსენა, რომ მთელი ქვეყნიდან იღებდა წერილებს გოგონებისგან, რომლებიც დაქორწინებას სთავზობდნენ.

ფრენკ პრეიიტორი კორეის ომში 1952 წელს გაგზავნეს სამხედრო კორესპონდენტად, საზღვაო ქვეითთა დღიზეიაში. ოფიციალური დავალებების გარდა, ის ფოტოებს საკუთარი კამერითაც იღებდა. დაჭრილი საზღვაო ქვეითუბის ერთ-ერთმა სურათმა უკრნაალ „ფოტოგრაფის ფრენკ პრეიიტორი, „სტარზ ერდ სტრაიპს“ მუზეუმში“




სერუკანტი ფრენკ პრეიიტორი წვეთოვანით კვებავს მის ჰეპას (1953 წ.)

ფიცის „კონკურსში გაიმარჯვა და სამშობლოში ჯილდოს მისაღებად დაბრუნდა. ამ დროს გამოიძახს ის სამხედრო სასამართლოში, რაღაც საბრძოლო ვითარების ამსახველი მისი გადაღებული ფოტო საგანგებო ნებართვის გარეშე მოხდა სამოქალაქო გამოცემების ფურცლებზე. თუმცა, როცა ეს გაზეობის წარუდგინებს, სასამართლოს ხელმძღვანელმა საქმე შეწყვიტა. მაღვე პრეიიტორი კვლავ ჩავიდა კორეაში, როგორც აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ყოველდღიური გაზეთის, „სტარზ ენდ სტრაიპს“ (გამოიდის 1861 წლიდან) კორესპონდენტი და მის ჰეპიც ნახა, რომელიც უკვე ერთობ განებივრებული თილისმა ბრძანდებოდა საზოგადოებრივი ინფორმაციის ოფიციალი.

1954 წელს ფრენკი აშშ-ში დაბრუნდა, დაოჯახდა და საკუთარი საქმე წამოიწყო. ის 90 წლის ასაკში გარდაიცვალა, 2018 წლის იანვარში. მეობრიები იხსენებდნენ, რომ ფრენკი ძალიან კეთილი ადამიანი იყო და მის ჰეპისთან გადაღებული სურათი შემთხვევით არ გამოსულა ასეთი გამორჩეული. ამასთან ერთად, პრეიიტორი კარგად წერდა, პროფესიონალურად იცნობდა კომუნიკაციების სტრატეგიებს. „თუმცა, ამ სურათში მისი ხასიათი გამოჩნდა“, — ამბობდა ჩეზ პენრი, საზღვაო ქვეითი.

**მომზადებულია dailymail-ის მიერვით**



# საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია-ლექსიკონი

გამოვიდა დამოუკიდებელი საქართველოს სამწლიანი ისტორიის ამსახველი ნაშრომი — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, რომელიც 938 სტატიისგან შედგება. გამოცემის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ „ენციკლოპედია-ლექსიკონი, ძირითადად, მოიცავს 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 18 მარტამდე განვითარებულ მოვლენებს. მაგრამ მასში გათვალისწინებულია 1917 წლის ოქტომბერის დემოკრატიული რევოლუციიდან 1918 წლის 26 მაისამდე განვითარებული მოვლენებიც, როგორც ერთგვარი მოსამაზნებელი პერიოდი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლაში. რუსული მონარქიის დაშხობა, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის, ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის პერიოდები სისხლხორცეულადაა დაგავშინებული ქართული და კავკასიური ეროვნული სახელმწიფოების აღდგენასთან.

ენციკლოპედია-ლექსიკონში შეტანილი სტატიები შინაარსობრივად სამი თემისგან შედგება: პიონერული და მოვლენები.

ბიოგრაფიული სტატიები ეძღვნება იმ პერიოდის ცნობილ და აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეებს, საქართველოს მთავრობის, პარლამენტისა (ეროვნული საბჭოს, დამფუძნებელი კრების) და სენატის (სასამართლოს) წევრებს, პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, დიპლომატებს, აქტივისტებს, საზოგადო მოღვაწეებს, მნიშვნელოვანი მოვლენების მონაწილეებს, სამხედრო პირებს (გენერლებს, ოფიცრებს), კულტურის სფეროს გამოჩენილ წარმომადგენლებს და ა.შ. ბიოგრაფიული სტატიების პერსონაჟები



არიან აკრეოვე უცხოელი მოღვაწეები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საქართველოსა და გარესამყაროს ურთიერთობაში.


მეორე სახის სტატიებში წარმოდგენილია პოლიტიკური, სამხედრო, სამეცნიერო, ეკონომიკური, კულტურული, სამართლებრივი, აღმინისტრაციული, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო სფეროს მნიშვნელოვანი მოვლენები: რეფორმები, პარლამენტის საქმიანობა, ნაციონალიზაცია, აგრარული რეფორმა...

ასახულია ის დიდი კულტურულ-ეროვნული აღმავლობა, რომელიც რესპუბლიკის ხანის საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი.

მესამე სახის სტატიებში მოცემულია რესპუბლიკის ხანის სტრუქტურები და ორგანიზაციები: პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ურნალ-გაზტოები და სხვა“.

სარედაქციო ჯგუფში შედიან დიმიტრი შველიძე, ირაკლი ირემაძე, სალომე ჭანტურიძე, თამარ ხეტაშვილი, ქეთევან ქუსიკაშვილი. ენციკლოპედია-ლექსიკონის ავტორ-შემდგენელთა ჯგუფი: თამარ ათანელიშვილი, გიორგი ასტამაძე, მიხეილ ბახტაძე, ლელა გაფრინდაშვილი, მერაბ გვარა, მანუჩარ გუბაძე, შოთა ვადაჭვილია, ირაკლი ირემაძე, ბონდო კუპატაძე, ზურაბ ლევაგა, მანანა ლილუაშვილი, გაგა ლომიძე, ქეთევან თარაშვილი, ჯაბა სამუშაია, ლელა სარალიძე, დიმიტრი სილაქაძე, ბექა ქანთარია, მიხეილ ქართველიშვილი, ნანა ყიფიანი, მანანა შამილიშვილი, დიმიტრი შველიძე, ნოდარ ჩხაიძე, მარა ციცაშვილი, მარი წერულელი, სალომე ჭანტურიძე, დოდო ჭუმბურიძე, ეკა ჯავახიშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ოთარ ჯანელიძე. „ისტორიანი“

## ქველი იცეაზის ქირურგები — ტრავანაციის დიდოსტატები



ერთ-ერთი სამარხი პერუში, საღაც ათუულობით ნაოპერაციები თავის ქალა იპოვეს

### ძველი კერას გვერვობები ტრავანაციას შეკვეთის შემდეგ, ვიღრე როთხი საუკუნის შემდეგ ამერიკელები

თავის ქალის ტრეპანაცია, როცა ქირურგი დააგადების კერამდე მიღწვას ცდილობს, დღესაც როგორიც არ არ არ არ მატებით შესრულება მხოლოდ გამოცდილ საეციალისტს შეუძლია. ინკვევა, რომ თავის ქალის ტრეპანაციას კაცობრიობა უძველესი დროიდან იცნობს. ამის შესახებ ცნობები ძველებრძება ექიმმა და ფილოსოფობამა, პი-პოკრატებ შემოინახა. თუმცა, თავის ქალებზე ტრეპანაციის კვალი ჯერ კიდვე წეოლითის ხანიდან გვხვდება.

ბენებრივია, მაშინ სამედიცინო ხელოვნება განსხვავებული იყო — არანაირი გამაყუჩებლები და ანტიბიოტიკები არ არსებობდა. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: რამდენად წარმატებული იყო ეს ოპერაციები და შემდეგ რამდენ ხანს ცოცხლობდნენ უძველესი ექიმების პაციენტები?

„როთხი გამაყლობაში ძევლი ქირურგები სწავლობდნენ, რომელი მეორად იყო უკუთხს და სულ უფრო ნაკლებად ბურღავდნენ ტვინის მეარ გარსს“

მაიამისა და არიზონის უნივერსიტეტის მკვლევრებმა პერუში ნაპოვნი რამდენიმე ასეული უძველესი თავის ქალა შეისწავლეს, რომელთაც ტრეპანაციის კვალი აღენიშნებოდა.

ისინი სრულიად განსხვავებული პერიოდისაა, როგორც ძვ.წ. 400-200 წლების, ასევე XIV-XV საუკუნეების, ანუ ინკვისიმპერიის აყვავების პერიოდის.

დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ინკვისითავის ქალების შესწავლისას, მეცნიერები ამაღლებებელ აღმოჩენამდე მივიღები. გაირკვა, რომ ინდიელთა ტომის ექიმთა პაციენტებს თავის ქალის ქირურგიული ოპერაციის შემდეგ გადარჩენის ორჯერ მეტი შანსი პქონიათ, ვიდრე ოთხი საუკუნის შემდეგ, ამერიკის სამოქალაქო ომში (1861-1865) დაჭრილებს.

ტრეპანაციის პროცედურის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მას სხვადასხვა დააგადებათა სამკურნალოდ მიმართავდნენ, იქნებოდა ეს თავის ძლიერი ტკივილი, ძვლის კისტა, ტრავმა, ეპილეფსია...

სულ თანამედროვე პერუს ტერიტორიაზე ძვ.წ. IV საუკუნით დათარიღებული 800-მდე თავის ქალა შეისწავლეს. ეს რიცხვი გაცილებით აღემატება დანარჩენ მსოფლიოში აღმოჩენილ ყველა ტრეპანირებული თავის ქალის რიცხვს, ერთად აღებულს. კვლევისას გამოჩნდა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ინკვისიტიურების ტექნიკა იხვეწებოდა და ბოლოს პაციენტთა გადარჩენის შანსი 80%-მდე გაიზარდა.



**დევიდ კუშნერი:** „ამ პროცედურების შესახებ ჯერ ბევრი რამ უცნობია, მაგრამ ცხალია, რომ აშშ-ის სამოქალაქო ომის დროინდელი ოპერაციების შედეგები ახლოსაც ვერ მოგა ინკ ექიმთა მიღწევებთან“.

დევიდ კუშნერის თქმით, ტრეპანაციისას ინგბის პერიოდში სიკვდილიანობის მაჩვნებელი 17-25% იყო, აშშ-ის სამოქალაქო ომის დროს კი 46-56%. სხვაობა ძალიან დიდია. ახლა გასარკვევია, როგორ ახერხებდნენ უძველესი ექიმები ამას. ერთ-ერთი პასუხი შესაძლოა, ჰიგიენა იყოს. სამოქალაქო ომის დროს ექიმები ხშირად იყენებდნენ არაპიგიენურ, არასტერილურ ხელსაწყოებს და საკუთარ თითქსაც კი თავის ქალიდან სისხლის კოლეტების ამოსაღებად.

ჯგუფმა, რომელსაც დევიდ კუშნერი ხელმძღვანელობს, შეისწავლა ძვ.წ. 400-200 წლების პარასის ციფილზაციის თავის ქალა, ასევე 1000-1400 წლების 421 ქალა პერუს ცენტრალური მაღალმთიანეთიდან და 1400-1500 წლების 160 თავის ქალა სამხრეთის მაღალმთიანეთიდან.

შედარებით ადვილი დასადგენია, იყო თუ არა ტრეპანაცია წარმატებული. თუკი ნაჭრილობების ირგვლივ ძვლების აღდენა აღინიშნება, ეს ნიშნავს, რომ პაციენტი გადარჩა. ძალიან აღრეულ თავის ქალათა ჯგუფში ტრეპანაციის შემდეგ პაციენტთა 40% გადარჩა, მეორე ჯგუფში — 53%, ხოლო ბოლო ჯგუფში გადარჩნის მაჩვნებელი 75-83%-ს აღწევდა. ცხრა თავის ქალისგან შემდგარ შუა პერიოდის მცირე ჯგუფში კი, რომლებიც ჩრდილოეთ მაღალმთიანეთში



ქარურების ჯგუფი აშშ-ის სამოქალაქო ომის პერიოდში (ფოტო ნაციონალური არქივიდან)

იპოვეს, გადარჩენის წარმოუდგენლად მაღალი მაჩვნებელი — 91% იყო.

თავის ქალებზე დარჩენილი ნიშნები აშკარად მიუთითებს დროთა განმავლობაში ტექნიკური და ხელმისაწვდომობის დაზვრაზე. ხერელი უფრო პატარა და ფაქიზი ხდებოდა, მეთოდი კი უფრო დაზვრილი და ზუსტი.

**დევიდ კუშნერი:** „დროთა განმავლობაში, ისინი სწავლობდნენ, რომელი მეთოდი იყო უკეთესი და სულ უფრო ნაკლებად ბურღავდნენ ტვინის შეარ გარსს. ძველი ექიმების წარმატებები მართლაც თვალში საცემია“.

ინკბის ქირურები, ჩანს, მხოლოდ წრიული გაბურღვის მეთოდს იყენებდნენ, რაც ტვინის დამცავი მყარი გარსის დაზიანების შანსს მინიმუმადე ამცირებდა.

**მომზადებულია [sciencedaily.com-ის](http://sciencedaily.com) მიხედვით**

## ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

### კალიტრა მელია გისმენთ!..

დარეკა: 219 60 13

მოგვცერეთ: [contact@palitra.ge](mailto:contact@palitra.ge)

ან: „კვირის კალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით

# 13 წლის ბიჭა დანის მეფის საბანქოს მინაკვლია



დანის მეფის, პარალელ დაურჯებილას განძის მცირე ნაწილი



სახელმწიფო  
ოფისმა  
მოზარდსა და მის  
მასწყლებელს  
სისტემა, აღმოჩენა  
საიდუმლოდ  
შესახავა ამ ეტაპზე  
კი უკვე 400 კვეთია  
გათხრილი

13 წლის ლუქა  
მალაშნიჩენკოსან  
და მისი  
მასწყლებელი  
რენე შინი



ერთ-ერთია  
პირველია  
დანიურია  
მონეტა



ბალტიის ზღვაში, გერმანიის კუნძულ რიუგენზე, 13 წლის ბიჭმა და მოყვარულმა არქეოლოგმა, მისმა მასწავლებელმა, ვიკინგების ხანის უძვიათესი განძი აღმოაჩინეს. განძი კელსაბამებს, მარგალიტებს, სამაჯურებს, ბეჭდებსა და 600-ზე მეტ ვერცხლის მონეტას მოიცავს და სულ მცირე, ათასი წლისაა. მისი ერთი ნაწილი დანის მეფე პარალდ გორმსონს ეკუთვნის, რომელმაც ქვეყანაში ქრისტიანობა შეიტანა. ფერშეცვლილი კბილების გამო პარალდს ლურჯკბილას სახელით იცნობდნენ.

კელაფერი იმით დაიწყო, რომ სახელმწიფო არქეოლოგიური ოფისის მოხალისე არქეოლოგმა რენე შონმა, რომელიც განძს საკუთარ მოწავლესთან, 13 წლის ლუკა მალაშნიჩენ გრისთან ერთად ლითონნდეტექტორით ეძებდა, მოულონებულად აღუმინის ნამტვრევის მსგავსი ნივთი იპოვა. როცა ის სახელმწიფო ოფისში მიიტანეს, გაირკა, რომ ეს იყო ვერცხლის მონეტა, რომელიც ვიკინგების ხანის საყაფრო დასახლება ჰქონდის ეკუთვნილა.

სახელმწიფო ოფისმა მოხარდსა და მოყვარულ არქეოლოგს სთხოვა, გათხრებამდე აღმოჩენა საიდუმლოდ შეენახათ. ამ ეტაპზე უკვე გათხრილია 400 კვმ და აღმოჩენილია საკმარიდ დიდი ოდენობის განძი.

გერმანიის მიწის, მეკლენბურგ-წინა პომერანიის სახელმწიფო არქეოლოგიურ ოფისში განმარტავენ, რომ ეს ამ სახის მონეტების უდიდესი საგანძურა სამხრეთ-აღმოსავლეთ ბალტიაში.

მეცნიერთა შეფასებით, ახალაღმოჩენილი მონეტები ამ რეგიონში ლურჯკბილას მეფობის პერიოდს ეკუთვნის. მათ შორის ს ყველაზე ძველი მონეტა, დამასკოს დირქამი 714 წლით თარიღდება, ყველაზე ახალი პენი კი 983 წლით.

ლურჯკბილას ეპოქასთან დაკავშირებულ საგანძურა ამ ზონაში აღინიც მიაკვლიერს. მათ შორის კუნძულ ჰიდენზეს განძს, რომელიც ქრისტიანულ ოქროს ჯვრებთან ერთად, ვიკინგების ღმერთ თორის ჩაქუჩის სიმბოლოებსაც მოიცავს.

პარალდ გორმსონი დანიას 910-987 წლებში მართავდა. სიცოცხლის მიწურულს, ხანშიშესულ ლურჯკბილას საკუთარი ვაჟი, სვენი აუჯანდა და ტახტიდან ჩამოაგდო. ლურჯკბილა ბალტიის ზღვის გაფლით ჩრდილო-აღმოსავლეთ გერმანიაში, პომერანიაში გაიქცა და იქ გარდაიცვალა.

მომზადებულია [theguardian.com](http://theguardian.com)-ის  
მიხედვით



მეფე პარალდ გორმსონი ქრისტიანულად ინათლება (1200 წელს შესრულებული რელიეფი 970 წლის მუჟლენს ასახავს). აღსანიშნება, რომ მეფე პარალდის მეტსახლის, ლურჯკბილას ინგლისური შესატევისა ეწოდა ელემეტრიზაციული მოწყობილობების უძვიშვლო კავშირის ტექნიკით შემოუსავის (Blue — ლურჯი, tooth — ქბალი). მეფე პარალდი სწორებ იმ მიწებს აერთიანებდა, სადაც ახალი ტექნიკით შეიძულებული იყო XX-XXI საუკუნეების მჯნაზე.



# გეორგი არჩილის ტრაგედია

მეფე არჩილ II, იგვე შაპნაზარ ხანი, მრავალტანჯული ქართველი მონარქი აღმოჩნდა. საქართველოს პოლიტიკურმა ბეჭუქულმართობამ და შინააშლილობამ მეფე პოეტი, ფაქტობრივად, ტახტის მაძიებლად აქცია. იგი მამის, ვახტანგ V-ის (შაპნაზის) მხარდაჭერით 1661-1663 წლებში ჯერ იმერეთში გამეფდა, შემდეგ 1664-1675 წლებში — კახეთში და ბოლოს, 1678-დან 1698 წლამდე, თოხჯერ ავიდა იმერეთის ტახტე.

რადგან არჩილის ტახტზე მყარად დასმა მარტოოდენ საკუთარი ძალებით ვერ ხერხდებოდა, ამიტომ მოკავშირის ძენა რუსეთში დაიწყეს. იმედის მომცემი გამოღვა მეფე არჩილის ელჩობა. მალე ქართველმა მონარქმა რუსეთის სამეფო კარი თავისი ვაჟიშვილების, ალექსანდრესა და მამუკას მოსკოვში მიწვევზე დაითანხმა. ბატონიშვილები ბრწყინვალედ იყვნენ აღზრდილი, ზედმიწვევნით იცოდნენ სამხედრო საქმე, ჩინებულად ფლობდნენ ქართულ ზენობას. უფლისწულები მიიღეს რუსეთის დედოფალმა ნატალია ნარიშკინამ და მისმა შვილმა, მმართველმა სოფიომ. ალექსანდრე და მამუკა ბაგრატიონების გარებრობამ, საზრიანობამ, ქცევამ, სიმარჯვემ სახელმწიფო კარზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს კი რუსეთში მათ დიდ მომავალს განაპირობებდა. ყმაწვილი უფლისწულები პეტრე (მომავალი პეტრე I) და ივანე მალე დაუმეობრდნენ მომავალ ქართველ თანამებროლებს. განსაკუთრებით მიუწვდია გული მათგან პეტრეს, რომელსაც ბატონიშვილებში კველაზე მეტად მხედრული სიქეულე და გონიერება ხიბლავდა.

1690-იანი წლებისთვის პეტრე I-ის ბრძანებით ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილებს საკუთრების უფლებით ებობათ რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი გამგებლის, ვასილი გოლიცინის ზამთრის სასახლე. სასახლესთან ერთად ქართველ ბატონიშვილებს იმავე დიდობრებელის კარის ეკლესიაც გადაეცა. მოგვიანებით ქართველებს სახასო



მეფე არჩილი. ქართული ხელნაწერი მინიატურა

კველაწმინდის ტაძარი სკესეგასტრუეში — სესენცაში, ავტოლია 1733-1736 წლებში დარეკან არჩილის ასულის ინიციატივით. სესენცაის სასაფლაოზე დაკრძალული იყვნენ ბაგრატიონები, ციცამიშვილები, აგრძელებული სელნას-საბა ორბელიანი. სასაფლაო განვითარებულ 1882 წელს. შემორჩენილი სამდინარებელი საფლაკის ქანა, მათ შორის, ითანებული ბაგრატიონისა, რომელიც შეიძლა, დიდმა მხედართმთავარმა პეტრე ბაგრატიონმა დაუდგა



მამულებიდან სოფელი ვსეხსვიატსკოე (ქართული წყაროებით — „სევსენწკა“, „სვენწკა“, „სესენცკა“) გამოეყოთ, შემდგომ მოსკოვის ქართველთა ახალშენი, ქართული მწიგნობრობის კერა.

1699 წელს მეფე არჩილი სამუდამოდ გადასახლდა რუსეთში. ულუფდ და წლიურ ულულად სარგოდ 1700 წელს რუსეთის ხელმწიფებ მეფე არჩილსა და ბატონიშვილ ალექსანდრეს ნიშნი ხოვგოროდის სახასო მამულებიდან უბოძა ბელგორდის, ლისკოვისა და ტურიუშვის თემები.

რუსეთში მეფე არჩილმა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ფართოდ გაშალა. მეფე-პოეტს ქართული ხელნაწერი ანბანის მიხედვით ასოთა გამოჭრა შეუკვეთია სასტამბო საქმით ფრიად დაწინაურებულ ნიდერლანდებში. დღემდე შემორჩენილია 1686 წლის 17 დეკემბერს მოსკოვიდან გაგზავნილი არჩილის ქართული წერილი ამსტერდამის ბერგომისტრის, ნიკოლას ვიტსენისადმი. წერილი და კალიგრაფიულად შესრულებული ქართული ანბანის ფაქსიმილები აღრესატმა 1692 წელს ამსტერდამში გამოცემულ თავის წიგნში გამოაქვეყნა... უცხოეთში მყოფი ქართველი მეფე წერილით თავს აცნობს „საჩინო ქალაქის“, ამსტერდამის მერს ნიკოლას ვიტსენს და შემდეგ მიმართავს: „მოგიკითხავ ვითარცა მეგობარსა შემეცნებულსა ჩემსა. მერმე გავიგონეთ... რომე თქვენ გარჯილხართ ჩვენის გულისათვის და ჩვენის ენის წიგნის ბეჭედს გვიჭრევინებთ... ჩვენ ამ საქმისათვის დიდად გავიხარეთ, თქვენი მადრიელი შევიქნებით. ამ საქმისათვის ვინებეთ ჩვენის სიყვარულისა და მადლის წიგნის მოწერა... მოველით შენის სიკეთისაგან, აწარ დააგვიანოთ, რომ საღმოო საქმის ექნება არა ხასს.“.

ამსტერდამის მერი ნიკოლას ვიტსენი თავისი დროის გამორჩეული კარტოგრაფი იყო. მან 1692 წელს გამოსცა ენციკლოპედიური ხასიათის წიგნი „ჩრდილო და აღმოსავლეთ თათრეთი“. გამოცემაში მნიშვნელოვანი ადგილი საქართველოსაც დაეთმო. ავტორი საქართველოს საუბარს იწყებს გეოგრაფიისა და კულტურული გავლენების მიმოხილვით. აღწერს, რომ მოსახლეობა ძირითადად ქრისტიანია, თუმცა არაან ისლამის მიმდვერი ბოლო პერიოდებში, განსაკუთრებით მას მერე, რაც ზოგიერთმა დიდებულმა ისლამი აღიარა.

საკუთარ რელიგიადო. საინტერესო ცნობებია მოცემული ქართულ მხედრულ ანბანზე. ჯამში 37 გრაფემაა, რომელსაც თან აქვს დართული ლათინური ტრანსკრიფცია. აქედან ორი: „ეღ“ (8) და „ჟან“ (17) ორნაირი დაწერილობით აქვს შეტანილი. მიმდვერობაში გამორჩენილია „ტარი“ და ბოლოს აქვს დართული 37-ე ნომრად. ამას გარდა, შეტანილი აქვს ორი განსხვავებული გრაფემა: „ენა“ (35) და „ლანა“ (36).

ამსტერდამში ჯერ ვიტსენის, შემდეგ განთქმული უნგრელი ასოთმოქანდაკე მიკლოშ ტოტფალუშ კაშისა და სულ ბოლოს, ალექსანდრე არჩილის სე ბაგრატიონის წყალობით, ქართული შრიფტი საუკეთესოდ მოშადდა,


**მეცნიერების წერილი ნიკოლას ვიტსენს. ტექსტს ახლაუს მეფის ხელით და მატერიალური მეცნიერების მიზანისათვის**

Dubbelt van een brief, die Artchillus Bagrationus, Koning van Iberia en gacketti, aan den schrijver van dit werk heeft afgestonden.

f. 77v  
f. 78r  
f. 78v  
f. 79r  
f. 79v  
f. 80r  
f. 80v  
f. 81r  
f. 81v  
f. 82r  
f. 82v  
f. 83r  
f. 83v  
f. 84r  
f. 84v  
f. 85r  
f. 85v  
f. 86r  
f. 86v  
f. 87r  
f. 87v  
f. 88r  
f. 88v  
f. 89r  
f. 89v  
f. 90r  
f. 90v  
f. 91r  
f. 91v  
f. 92r  
f. 92v  
f. 93r  
f. 93v  
f. 94r  
f. 94v  
f. 95r  
f. 95v  
f. 96r  
f. 96v  
f. 97r  
f. 97v  
f. 98r  
f. 98v  
f. 99r  
f. 99v  
f. 100r  
f. 100v  
f. 101r  
f. 101v  
f. 102r  
f. 102v  
f. 103r  
f. 103v  
f. 104r  
f. 104v  
f. 105r  
f. 105v  
f. 106r  
f. 106v  
f. 107r  
f. 107v  
f. 108r  
f. 108v  
f. 109r  
f. 109v  
f. 110r  
f. 110v  
f. 111r  
f. 111v  
f. 112r  
f. 112v  
f. 113r  
f. 113v  
f. 114r  
f. 114v  
f. 115r  
f. 115v  
f. 116r  
f. 116v  
f. 117r  
f. 117v  
f. 118r  
f. 118v  
f. 119r  
f. 119v  
f. 120r  
f. 120v  
f. 121r  
f. 121v  
f. 122r  
f. 122v  
f. 123r  
f. 123v  
f. 124r  
f. 124v  
f. 125r  
f. 125v  
f. 126r  
f. 126v  
f. 127r  
f. 127v  
f. 128r  
f. 128v  
f. 129r  
f. 129v  
f. 130r  
f. 130v  
f. 131r  
f. 131v  
f. 132r  
f. 132v  
f. 133r  
f. 133v  
f. 134r  
f. 134v  
f. 135r  
f. 135v  
f. 136r  
f. 136v  
f. 137r  
f. 137v  
f. 138r  
f. 138v  
f. 139r  
f. 139v  
f. 140r  
f. 140v  
f. 141r  
f. 141v  
f. 142r  
f. 142v  
f. 143r  
f. 143v  
f. 144r  
f. 144v  
f. 145r  
f. 145v  
f. 146r  
f. 146v  
f. 147r  
f. 147v  
f. 148r  
f. 148v  
f. 149r  
f. 149v  
f. 150r  
f. 150v  
f. 151r  
f. 151v  
f. 152r  
f. 152v  
f. 153r  
f. 153v  
f. 154r  
f. 154v  
f. 155r  
f. 155v  
f. 156r  
f. 156v  
f. 157r  
f. 157v  
f. 158r  
f. 158v  
f. 159r  
f. 159v  
f. 160r  
f. 160v  
f. 161r  
f. 161v  
f. 162r  
f. 162v  
f. 163r  
f. 163v  
f. 164r  
f. 164v  
f. 165r  
f. 165v  
f. 166r  
f. 166v  
f. 167r  
f. 167v  
f. 168r  
f. 168v  
f. 169r  
f. 169v  
f. 170r  
f. 170v  
f. 171r  
f. 171v  
f. 172r  
f. 172v  
f. 173r  
f. 173v  
f. 174r  
f. 174v  
f. 175r  
f. 175v  
f. 176r  
f. 176v  
f. 177r  
f. 177v  
f. 178r  
f. 178v  
f. 179r  
f. 179v  
f. 180r  
f. 180v  
f. 181r  
f. 181v  
f. 182r  
f. 182v  
f. 183r  
f. 183v  
f. 184r  
f. 184v  
f. 185r  
f. 185v  
f. 186r  
f. 186v  
f. 187r  
f. 187v  
f. 188r  
f. 188v  
f. 189r  
f. 189v  
f. 190r  
f. 190v  
f. 191r  
f. 191v  
f. 192r  
f. 192v  
f. 193r  
f. 193v  
f. 194r  
f. 194v  
f. 195r  
f. 195v  
f. 196r  
f. 196v  
f. 197r  
f. 197v  
f. 198r  
f. 198v  
f. 199r  
f. 199v  
f. 200r  
f. 200v  
f. 201r  
f. 201v  
f. 202r  
f. 202v  
f. 203r  
f. 203v  
f. 204r  
f. 204v  
f. 205r  
f. 205v  
f. 206r  
f. 206v  
f. 207r  
f. 207v  
f. 208r  
f. 208v  
f. 209r  
f. 209v  
f. 210r  
f. 210v  
f. 211r  
f. 211v  
f. 212r  
f. 212v  
f. 213r  
f. 213v  
f. 214r  
f. 214v  
f. 215r  
f. 215v  
f. 216r  
f. 216v  
f. 217r  
f. 217v  
f. 218r  
f. 218v  
f. 219r  
f. 219v  
f. 220r  
f. 220v  
f. 221r  
f. 221v  
f. 222r  
f. 222v  
f. 223r  
f. 223v  
f. 224r  
f. 224v  
f. 225r  
f. 225v  
f. 226r  
f. 226v  
f. 227r  
f. 227v  
f. 228r  
f. 228v  
f. 229r  
f. 229v  
f. 230r  
f. 230v  
f. 231r  
f. 231v  
f. 232r  
f. 232v  
f. 233r  
f. 233v  
f. 234r  
f. 234v  
f. 235r  
f. 235v  
f. 236r  
f. 236v  
f. 237r  
f. 237v  
f. 238r  
f. 238v  
f. 239r  
f. 239v  
f. 240r  
f. 240v  
f. 241r  
f. 241v  
f. 242r  
f. 242v  
f. 243r  
f. 243v  
f. 244r  
f. 244v  
f. 245r  
f. 245v  
f. 246r  
f. 246v  
f. 247r  
f. 247v  
f. 248r  
f. 248v  
f. 249r  
f. 249v  
f. 250r  
f. 250v  
f. 251r  
f. 251v  
f. 252r  
f. 252v  
f. 253r  
f. 253v  
f. 254r  
f. 254v  
f. 255r  
f. 255v  
f. 256r  
f. 256v  
f. 257r  
f. 257v  
f. 258r  
f. 258v  
f. 259r  
f. 259v  
f. 260r  
f. 260v  
f. 261r  
f. 261v  
f. 262r  
f. 262v  
f. 263r  
f. 263v  
f. 264r  
f. 264v  
f. 265r  
f. 265v  
f. 266r  
f. 266v  
f. 267r  
f. 267v  
f. 268r  
f. 268v  
f. 269r  
f. 269v  
f. 270r  
f. 270v  
f. 271r  
f. 271v  
f. 272r  
f. 272v  
f. 273r  
f. 273v  
f. 274r  
f. 274v  
f. 275r  
f. 275v  
f. 276r  
f. 276v  
f. 277r  
f. 277v  
f. 278r  
f. 278v  
f. 279r  
f. 279v  
f. 280r  
f. 280v  
f. 281r  
f. 281v  
f. 282r  
f. 282v  
f. 283r  
f. 283v  
f. 284r  
f. 284v  
f. 285r  
f. 285v  
f. 286r  
f. 286v  
f. 287r  
f. 287v  
f. 288r  
f. 288v  
f. 289r  
f. 289v  
f. 290r  
f. 290v  
f. 291r  
f. 291v  
f. 292r  
f. 292v  
f. 293r  
f. 293v  
f. 294r  
f. 294v  
f. 295r  
f. 295v  
f. 296r  
f. 296v  
f. 297r  
f. 297v  
f. 298r  
f. 298v  
f. 299r  
f. 299v  
f. 300r  
f. 300v  
f. 301r  
f. 301v  
f. 302r  
f. 302v  
f. 303r  
f. 303v  
f. 304r  
f. 304v  
f. 305r  
f. 305v  
f. 306r  
f. 306v  
f. 307r  
f. 307v  
f. 308r  
f. 308v  
f. 309r  
f. 309v  
f. 310r  
f. 310v  
f. 311r  
f. 311v  
f. 312r  
f. 312v  
f. 313r  
f. 313v  
f. 314r  
f. 314v  
f. 315r  
f. 315v  
f. 316r  
f. 316v  
f. 317r  
f. 317v  
f. 318r  
f. 318v  
f. 319r  
f. 319v  
f. 320r  
f. 320v  
f. 321r  
f. 321v  
f. 322r  
f. 322v  
f. 323r  
f. 323v  
f. 324r  
f. 324v  
f. 325r  
f. 325v  
f. 326r  
f. 326v  
f. 327r  
f. 327v  
f. 328r  
f. 328v  
f. 329r  
f. 329v  
f. 330r  
f. 330v  
f. 331r  
f. 331v  
f. 332r  
f. 332v  
f. 333r  
f. 333v  
f. 334r  
f. 334v  
f. 335r  
f. 335v  
f. 336r  
f. 336v  
f. 337r  
f. 337v  
f. 338r  
f. 338v  
f. 339r  
f. 339v  
f. 340r  
f. 340v  
f. 341r  
f. 341v  
f. 342r  
f. 342v  
f. 343r  
f. 343v  
f. 344r  
f. 344v  
f. 345r  
f. 345v  
f. 346r  
f. 346v  
f. 347r  
f. 347v  
f. 348r  
f. 348v  
f. 349r  
f. 349v  
f. 350r  
f. 350v  
f. 351r  
f. 351v  
f. 352r  
f. 352v  
f. 353r  
f. 353v  
f. 354r  
f. 354v  
f. 355r  
f. 355v  
f. 356r  
f. 356v  
f. 357r  
f. 357v  
f. 358r  
f. 358v  
f. 359r  
f. 359v  
f. 360r  
f. 360v  
f. 361r  
f. 361v  
f. 362r  
f. 362v  
f. 363r  
f. 363v  
f. 364r  
f. 364v  
f. 365r  
f. 365v  
f. 366r  
f. 366v  
f. 367r  
f. 367v  
f. 368r  
f. 368v  
f. 369r  
f. 369v  
f. 370r  
f. 370v  
f. 371r  
f. 371v  
f. 372r  
f. 372v  
f. 373r  
f. 373v  
f. 374r  
f. 374v  
f. 375r  
f. 375v  
f. 376r  
f. 376v  
f. 377r  
f. 377v  
f. 378r  
f. 378v  
f. 379r  
f. 379v  
f. 380r  
f. 380v  
f. 381r  
f. 381v  
f. 382r  
f. 382v  
f. 383r  
f. 383v  
f. 384r  
f. 384v  
f. 385r  
f. 385v  
f. 386r  
f. 386v  
f. 387r  
f. 387v  
f. 388r  
f. 388v  
f. 389r  
f. 389v  
f. 390r  
f. 390v  
f. 391r  
f. 391v  
f. 392r  
f. 392v  
f. 393r  
f. 393v  
f. 394r  
f. 394v  
f. 395r  
f. 395v  
f. 396r  
f. 396v  
f. 397r  
f. 397v  
f. 398r  
f. 398v  
f. 399r  
f. 399v  
f. 400r  
f. 400v  
f. 401r  
f. 401v  
f. 402r  
f. 402v  
f. 403r  
f. 403v  
f. 404r  
f. 404v  
f. 405r  
f. 405v  
f. 406r  
f. 406v  
f. 407r  
f. 407v  
f. 408r  
f. 408v  
f. 409r  
f. 409v  
f. 410r  
f. 410v  
f. 411r  
f. 411v  
f. 412r  
f. 412v  
f. 413r  
f. 413v  
f. 414r  
f. 414v  
f. 415r  
f. 415v  
f. 416r  
f. 416v  
f. 417r  
f. 417v  
f. 418r  
f. 418v  
f. 419r  
f. 419v  
f. 420r  
f. 420v  
f. 421r  
f. 421v  
f. 422r  
f. 422v  
f. 423r  
f. 423v  
f. 424r  
f. 424v  
f. 425r  
f. 425v  
f. 426r  
f. 426v  
f. 427r  
f. 427v  
f. 428r  
f. 428v  
f. 429r  
f. 429v  
f. 430r  
f. 430v  
f. 431r  
f. 431v  
f. 432r  
f. 432v  
f. 433r  
f. 433v  
f. 434r  
f. 434v  
f. 435r  
f. 435v  
f. 436r  
f. 436v  
f. 437r  
f. 437v  
f. 438r  
f. 438v  
f. 439r  
f. 439v  
f. 440r  
f. 440v  
f. 441r  
f. 441v  
f. 442r  
f. 442v  
f. 443r  
f. 443v  
f. 444r  
f. 444v  
f. 445r  
f. 445v  
f. 446r  
f. 446v  
f. 447r  
f. 447v  
f. 448r  
f. 448v  
f. 449r  
f. 449v  
f. 450r  
f. 450v  
f. 451r  
f. 451v  
f. 452r  
f. 452v  
f. 453r  
f. 453v  
f. 454r  
f. 454v  
f. 455r  
f. 455v  
f. 456r  
f. 456v  
f. 457r  
f. 457v  
f. 458r  
f. 458v  
f. 459r  
f. 459v  
f. 460r  
f. 460v  
f. 461r  
f. 461v  
f. 462r  
f. 462v  
f. 463r  
f. 463v  
f. 464r  
f. 464v  
f. 465r  
f. 465v  
f. 466r  
f. 466v  
f. 467r  
f. 467v  
f. 468r  
f. 468v  
f. 469r  
f. 469v  
f. 470r  
f. 470v  
f. 471r  
f. 471v  
f. 472r  
f. 472v  
f. 473r  
f. 473v  
f. 474r  
f. 474v  
f. 475r  
f. 475v  
f. 476r  
f. 476v  
f. 477r  
f. 477v  
f. 478r  
f. 478v  
f. 479r  
f. 479v  
f. 480r  
f. 480v  
f. 481r  
f. 481v  
f. 482r  
f. 482v  
f. 483r  
f. 483v  
f. 484r  
f. 484v  
f. 485r  
f. 485v  
f. 486r  
f. 486v  
f. 487r  
f. 487v  
f. 488r  
f. 488v  
f. 489r  
f. 489v  
f. 490r  
f. 490v  
f. 491r  
f. 491v  
f. 492r  
f. 492v  
f. 493r  
f. 493v  
f. 494r  
f. 494v  
f. 495r  
f. 495v  
f. 496r  
f. 496v  
f. 497r  
f. 497v  
f. 498r  
f. 498v  
f. 499r  
f. 499v  
f. 500r  
f. 500v  
f. 501r  
f. 501v  
f. 502r  
f. 502v  
f. 503r  
f. 503v  
f. 504r  
f. 504v  
f. 505r  
f. 505v  
f. 506r  
f. 506v  
f. 507r  
f. 507v  
f. 508r  
f. 508v  
f. 509r  
f. 509v  
f. 510r  
f. 510v  
f. 511r  
f. 511v  
f. 512r  
f. 512v  
f. 513r  
f. 513v  
f. 514r  
f. 514v  
f. 515r  
f. 515v  
f. 516r  
f. 516v  
f. 517r  
f. 517v  
f. 518r  
f. 518v  
f. 519r  
f. 519v  
f. 520r  
f. 520v  
f. 521r  
f. 521v  
f. 522r  
f. 522v  
f. 523r  
f. 523v  
f. 524r  
f. 524v  
f. 525r  
f. 525v  
f. 526r  
f. 526v  
f. 527r  
f. 527v  
f. 528r  
f. 528v  
f. 529r  
f. 529v  
f. 530r  
f. 530v  
f. 531r  
f. 531v  
f. 532r  
f. 532v  
f. 533r  
f. 533v  
f. 534r  
f. 534v  
f. 535r  
f. 535v  
f. 536r  
f. 536v  
f. 537r  
f. 537v  
f. 538r  
f. 538v  
f. 539r  
f. 539v  
f. 540r  
f. 540v  
f. 541r  
f. 541v  
f. 542r  
f. 542v  
f. 543r  
f. 543v  
f. 544r  
f. 544v  
f. 545r  
f. 545v  
f. 546r  
f. 546v  
f. 547r  
f. 547v  
f. 548r  
f. 548v  
f. 549r  
f. 549v  
f. 550r  
f. 550v  
f. 551r  
f. 551v  
f. 552r  
f. 552v  
f. 553r  
f. 553v  
f. 554r  
f. 554v  
f. 555r  
f. 555v  
f. 556r  
f. 556v  
f. 557r  
f. 557v  
f. 558r  
f. 558v  
f. 559r  
f. 559v  
f. 560r  
f. 560v  
f. 561r  
f. 561v  
f. 562r  
f. 562v  
f. 563r  
f. 563v  
f. 564r  
f. 564v  
f. 565r  
f. 565v  
f. 566r  
f. 566v  
f. 567r  
f. 567v  
f. 568r  
f. 568v  
f. 569r  
f. 569v  
f. 570r  
f. 570v  
f. 571r  
f. 571v  
f. 572r  
f. 572v  
f. 573r  
f. 573v  
f. 574r  
f. 574v  
f. 575r  
f. 575v  
f. 576r  
f. 576v  
f. 577r  
f. 577v  
f. 578r  
f. 578v  
f. 579r  
f. 579v  
f. 580r  
f. 580v  
f. 581r  
f. 581v  
f. 582r  
f. 582v  
f. 583r  
f. 583v  
f. 584r  
f. 584v  
f. 585r  
f. 585v  
f. 586r  
f. 586v  
f. 587r  
f. 587v  
f. 588r  
f. 588v  
f. 589r  
f. 589v  
f. 590r  
f. 590v  
f. 591r  
f. 591v  
f. 592r  
f. 592v  
f. 593r  
f. 593v  
f. 594r  
f. 594v  
f. 595r  
f. 595v  
f. 596r  
f. 596v  
f. 597r  
f. 597v  
f. 598r  
f. 598v  
f. 599r  
f. 599v  
f. 600r  
f. 600v  
f. 601r  
f. 601v  
f. 602r  
f. 602v  
f. 603r  
f. 603v  
f. 604r  
f. 604v  
f. 605r  
f. 605v  
f. 606r  
f. 606v  
f. 607r  
f. 607v  
f. 608r  
f. 608v  
f. 609r  
f. 609v  
f. 610r  
f. 610v  
f. 611r  
f. 611v  
f. 612r  
f. 612v  
f. 613r  
f. 613v  
f. 614r  
f. 614v  
f. 615r  
f.



ალექსანდრუ არჩილის ძე ბაგრატიონი (პორტრეტი  
შესრულებულია 1736 წელს)  
ნიკოლას ვიტსენი



რის შემდეგაც მეფე არჩილმა 1703 წლის 4 ივნისს ფიოდორ ალექსეის ძე გოლოვინს მიმართა და მოსკოვში ქართული წიგნების დაბეჭდვის ნებართვის მისაღებად პეტრე I-თან შუამდგომლობა სთხოვა. წინათ, — წერდა არჩილ მეფე, — პეტრე I-მა ჩვენ ნება დაგვრთო მშობლიურ ენაზე აქ დაგვებეჭდა წიგნები ოსმალეთისა და ირანის ტირანი-ისაგან გატანჯულ ქართველთა საეკლესიო და საერო სარგებლობისათვის, რადგან ჩვენი ხალხი წიგნით ნაკლუვანია. იმ დროს დწყებული საქმე შრიოფტისა და ოსტატთა უქმარისობის გამო შეტერდა. ახლა ღვთის წყალობით ჩვენი ენის შრიოფტი საუკეთსოდ დამზადდა და მბეჭდავებიც კარგად დაოსტატდნენ... ქართული წიგნების გამოსაცემად რუსეთის ხელმწიფე 200 მანეთი გამოუყვარა. ამ თანხის დიდი ნაწილი მოხმარდა წიგნების დასაბეჭდი დაგნის დამზადებას, შრიოფტის ჩამოსხმას, ქართული წიგნისათვის საჭირო მასალების შექნას“.

1705 წლის 19 მარტს რუსეთში გამოქვეყნებული პირველი ქართული წიგნი „დავითინი“ ქართული ახალშენის დიდ კულტურულ მონაცოვრად იქცა.

სამართლიანად შენიშნავს ისტორიკოსი ფრიდონ სიხარულიძე, რომ მეფე არჩილი ნაბეჭდი წიგნის ყოველმხრივ ლამაზად გამოცემაზე ენერგიულად ზრუნავდა. კარგი ქაღალდი, მკაფიო შავი და ფერადი შრიოფტი, შემკულობა, ორგან კოხტად შეკრული ყდა ახალგამოცემულ წიგნს მიმზიდებელს ხდიდა. „დავითინი“ მაღალტექნიკურ და მხატვრულ ღრმეზე იყო გამოცემული, თანაც ადვილად სატარებელი და მოსახმარი...

მოსკოვში მეფე არჩილს თავს ბევრი უბედურება გადახდა. გარდაეცვალა შვილები — დავითი და მამუკა. დარჩა მხოლოდ, როგორც თავად ამბობდა, სანუგეშოდ ალექსანდრუ...

მეფე არჩილის ნუგეში და ბოლო იმედი 1674 წელს თბილისში დაიბადა. 1684 წლიდან მოსკოვის სამეფო კარხე იზრდებოდა, სადაც პეტრე I-ის კურადღება მიიპყრო. ბატონიშვილი, როგორც პეტრე დიდის უახლოესი მევობარი და თანამებრძოლი, 1697 წელს ევროპაში გემთმშენებლობის შესასწავლად პეტრე I-ის საგანგებოდ მოწყობილი „დიდი ელჩობის“ წევრთა სიაშია, სადაც მისი გვარი რუსეთის სხვა გამოჩენილ პირთა შორის არის მოხსენიებული.

პეტრე I-მა და ალექსანდრე ბაგრატიონმა ჰოლანდიაში ერთად არაერთი ქალაქი მოინახულეს. ხუთ ვოლონტერთან ერთად პეტრე დიდი და ქართველი ბატონიშვილი მთელ კვირას მუშაობდნენ ლინსტა როგეს გემსაშენში. პეტრე აღფრთოუანებული იყო, რომ ქართველმა ბატონიშვილმა შეისწავლა კატარლის მართვა, გაიცნო და გადმოიღო საფლოტო ტერმინები და ხელი მიჰყო საჭირო წიგნების რუსული ენიდან ქართულად თარგმნას (ალექსანდრე ბატონიშვილს რუსულიდან ქართულად უთარგმნა „სადიდებელი გალობანი უფლისა ჩუენისა იქსო ქრისტესი“. ფიქრობენ, რომ მასვე ეგუთვნის იმპერატორ ბასილი მაკედონელის „ტესტამენტის“ (ანდერძის) თარგმანი). ალექსანდრე ბაგრატიონი ჰააგაში დიდი მონდომებითა და სიყვარულით შეუდგა საარტილერიო საქმის შესწავლას. 1700 წლის 19 მაისს პეტრე I-მა მას გენერალ-ფელდცხმაისტერის წოდება მიანიჭა და რუსეთის არტილერიის უფროსად დანიშნა. ალექსანდრე რუსეთის არტილერიის რეორგანიზაციას შეუდგა. ცნობილია, რომ შვედეთის წინააღმდეგ ომში იგი რუსეთის არტილერიას ხელმძღვანელობდა. 1700 წლის 19 ნოემბერს, შვედეთთან ომის გადამწყვეტი ბრძოლისას, ნარვასთან, ალექსანდრე ბაგრატიონი, სხვებთან ერთად, ტყვედ ჩაგრძა და 10 წლიწადი გაატარა საპატიომროში.

შვედებს განსაკუთრებით დიდი საფასურის მიღების მქედი ჰერნდათ ალექსანდრეს განთვისუფლებით, ვინაიდან იცოდნენ, გენერალ ფელდცხმაისტერი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და პირადი შეგობარი იყო პეტრე დიდისა, რომელიც არავითარ ხარჯს არ მოერიდებოდა მის გამოსახსნელად. დარწმუნდა რა შვილის განთვისუფლების სირთულეში, 1706 წლის 2 თებერვალს არჩილმა ვრცელი წერილი მისწერა შვედეთის მეფე კარლ XII-ს თხოვნით. წერილში ნათქვამა: „...ჩემი შვილი იმყოფება მისი შეფური უმაღლესობის სამსახურში და საუბედუროდ უკვე ექვსი წელიწადია, რაც იტანჯება ტყვეობაში, მრავალი მწუხარება და აყადყოფობა ემუქრება მას დაუძლურებითა და ნაადრევი სიკვდილით; ჩვენ კი შვილის დაღუპვის შემთხვევაში მოხუცებულობის ქამს დარდი უფრო მაღალ ჩაგვაგდებს სამარეში, ვიდრე ჩვენი ქვეყნის აოხრება და უბედურება. ამისათვის ჩვენ და

<i>Gruſins a.b.c. of Georgiaans.</i>		
1 <i>S an.</i>	13 <i>T man.</i>	25 <i>N shin.</i>
2 <i>T han.</i>	14 <i>D nar.</i>	26 <i>H tzin.</i>
3 <i>C kcan.</i>	15 <i>M on.</i>	27 <i>B tzan.</i>
4 <i>M den.</i>	16 <i>Z par.</i>	28 <i>Z dzil.</i>
5 <i>J en.</i>	17 <i>ʃ zan.</i>	29 <i>F tzil.</i>
6 <i>ʒ rin.</i>	18 <i>ʃ zan.</i>	30 <i>ʒ tzar.</i>
7 <i>Z zin.</i>	19 <i>m rac.</i>	31 <i>ʒ chan.</i>
8 <i>V haj.</i>	20 <i>s fac.</i>	32 <i>v kghar.</i>
9 <i>N tan.</i>	21 <i>ʃ phar.</i>	33 <i>ʃ dzan.</i>
10 <i>In.</i>	22 <i>f aghani.</i>	34 <i>ʃ hej.</i>
11 <i>ʃ kan.</i>	23 <i>t gan.</i>	35 <i>N ena.</i>
12 <i>W las.</i>	24 <i>ʃ kar.</i>	36 <i>V lana.</i>
		37 <i>ʃ laara.</i>

#### ქართული ანანი ნიკოლას ვიტეზნის წაგნიდან

ჩვენი ოჯახობა, თაგმდაბლად თავდახრილნი, ვთხოვთ თქვენს ხელმწიფურ უდიდებულესობას მიიღოს ჩვენზე მოწყალება, რომელიც თქვენი უდიდებულესობის ხვედრია და გვიბორობს ჩვენ წყალობა და ჩვენ შვილს მიანიჭოთ თავისუფლება გაცვლის წესით თქვენი უდიდებულესობის რამდენიმე ოფიცერში, რომელიც თანატოლი იქნება ჩვენი შვილის პასაკისა და აქინდელი ხარისხისა, რათა ჩვენს მოხუცებულობას არ მოაკლდეს ეს უკანასკენელი ხუგები, რის გამოც ჩვენ სარწმუნო იმედს ვიქონიებთ, რომ თუ კი თქვენი უდიდებულესობა ხელმწიფე, მთელ დედამიწაზე და ყველგან განთქმული თქვენი წყალობის შექმომფენობით, თუკი ღმერთის მცნებებით და მართლმსაჯულებით ინებებდით ჩვენთვის გაგეწიათ ასეთი კარგი და სასარგებლო საქმე, მაშინ თქვენი ხელმწიფობის უდიდებულესო-



ARTSCHILLUS BAGARATIONUS  
Koningh van Iberia en Melita.

NICOLAES DAVIDSZON  
Georgiaens Koningh

ଦୟତ୍ତ ଅର୍ଥିଲ୍ ପ୍ରକାଶ ଏବଂ ଦୟତ୍ତ ଗୁରୁଜିଙ୍ଗ ପ୍ରକାଶ ଏବଂ ବେଳିଯିଲ୍ ନାମରେ ପାଇଲୁଛନ୍ତି

ବେଳିଯିଲ୍ ପାଇଲୁଛନ୍ତି ମୋର ଶ୍ରେଷ୍ଠବିଦ୍ୟା ମୁଖ୍ୟ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରେ



ბისათვის ჩვენ შეგვიძლია ველოდოთ, რომ ყველა თქვენს სურვილს შევასრულებდით და დაგაქმაყოფილებდით; ჩვენ, მთელი ჩვენი ქართული სამეფო სამუდამოდ დაურჩებით თქვენი ხელმწიფური უდიდებულესობის მაღლიერნი და თქვენ ცნობილ სახელს ქვეყნად ვაღიდებთ“.

საუბედუროდ, მეფე არჩილს სანუგეშო ვაჟის ცოცხლად ნახა აღარ ქწერა... 1711 წელს, მართალია შევდები დათანხმდნენ ალექსანდრე ბატონიშვილისა და თავად ტრუბეცოის გაცვლას გრაფ პიპერზე. მაგრამ მძიმედ დასხეულებული ბატონიშვილი რომელიც სტოკოლმიდან წამოიყვანეს, გზაში, რიგაში გადადაიცვალა.

უკანასკნელი იმედიც გამოეცალა ხელიდან ისედაც ყოველმხრივ იმედგაცრუებულ მეფე არჩილს, რომელიც შვილის გარდაცვალების შემდეგ წერდა: „ოჰ, ჩვენ ყოველგვრ სიკეთეს მოკლებულ საცოდვებს მოგვტაცა შვილი ჩვენი ალექსანდრე, სიკვდილმა, ჩვენ კი მწარე სიბერეში გვიმზადებს მწუხარების გზას სამარისა კე... ჩემი შვილის ძვლები მაიც გადომოეტანათ მოსკოვში“.


არჩილს უკანასკნელი ნატვრა აუსრულეს – ალექსანდრეს ცხედარი რიგიდან მოსკოვში გადმოასვენეს და დონის მონასტერში დაკრძალეს. რამდენიმე დღის შემდეგ ნოვოდევიჩის მონასტრიდან დონის მონასტერში გადმოასვენეს აგრეთვე ალექსანდრე ბატონიშვილის პირველი ცოლის, თეოდოსია ივანეს ასული მილოსლავსკაიასა და არჩილის უმცროსი ვაჟების დაფითისა და მამუკას ნეშტები...

მეფე არჩილის შვილებიდან ცოცხალი მხოლოდ ასული, დარეჯან ბატონიშვილი დარჩა. არჩილის შემდეგ ის ქართული ახალშენის მეთაური გახდა. მრავალი ტრაგედიის მომსწრე ქალბატონი ნახევრად ჩაკრიილ ცხოვრებას მიეჩია, მას არასდროს ჰყოლია საკუთარი ოჯახი. ზეიმებითა და ბალ-მასკარადებით გაჯერებულ პეტერბურგულ ცხოვრებას მოსკოვში, საკუთარ მამულში ყოფნა ამჯობინა. სწორედ ამ მამულში შეჩერდა პეტრე პირველი, რომელიც 1722 წელს, ჩრდილოეთი ომში გამარჯვების შემდეგ ნიშტადტის ზავს ზეიმობდა. მეორე დღისთვის დაგეგმილი იყო სამასკარადო მსელელობა ვსქვადატსკოედან მოსკოვამდე. იმპერატორის დაუინებული თხოვნის მიუხედავად, დარუჯანმა გლოვის მიზეზით ამ ზეიმში მონაწილეობა



ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი (პორტრეტი შესრულებულია 1696 წელს)


ალექსანდრე ბატონიშვილის მემორიალი სტოკოლმში, შენობაზე, საღაც მან ტევრობის წლები გატარა (ქართული და შევდური წარწერებით)



არ მიიღო. ამქვეყნად გასახარი აღარაფერი დარჩენიდა, მეფე არჩილის გვარის გამგრძელებლები დონის მონასტრის აკლდამებში განისვენებდნენ...

## გიორგი პალანდია

ისტორიას მეცნიერებათა დოქტორი, ხელოვნების სასახლის დირექტორი



## სახალხო მუზეუმი-კრივი ქველად

„ქართველი ხალხის ჩვეულებათა ცხოვრებაში შემოაქვთ ყოველი კულტურული ხალხისათვის აუცილებლად საჭირო გარემოება – სახალხოდ დროს გატარება... ჩვენი ჩვეულებანი ყველა აზრიანია, სახალხო და ხალხის საჭიროებაზე ზედ გამოჭრილნი“.

თედო ქორდანია

ქალაქის მცხოვრებთა ერთადერთი თავშესაქცევი, XIX საუკუნის შუა წლებამდე, ისე როგორც მთელ საქართველოში, საკელესიო დღეობა-უქმებზე, „ხატობებზე“ გამართული გართობა-სანახაობები იყო: „მეფეების დღროში ხატობა უფრო საერო დღესასწულს წააგავდა... სადაც იმართებოდა ბურთაობა, ყაბახი, ჯირითობა, სხვადასხვაგვარი ფერხული სიმღერებითა, ცეკვაობა. დიდი გვარები აქ მოდიოდნენ თავთავის ლაშქრითა და იქ თავს იცდიდნენ ლაშქრობის ხელობაში, ყოჩალობაში, მოპირდაპირესთან შემბაში, სადაც მჭრელი იარაღის ხმარება არ მოხდებოდა, არც ჩხები“ (თ. ქორდანია).

ქალაქელები ამ გართობა-სანახაობებს

„თამაშას“ უწოდებდნენ. უცხოელებიც აღნიშნავდნენ, ქალაქის მკვიდრთა გატაცებას თამაშებისადმი.

ყველაზე საყვარელ, სახალხო თამაშად მიიჩნეოდა მუშტი-კრივი. მას ქალაქური ყოფის „საკიზიტო ბარათს“ უწოდებდნენ, სოფლად კი უფრო ჭიდაობა იყო მიღებული. მუშტი-კრივში თბილისის მთელი ამქრობა, ვაჭარ-ხელოსნები მონაწილეობდნენ. „კრივის სურვილი მათ რაღაც მანიაში ჰქონდათ გადაზრდილი და კრივი ზოგჯერ პურივით მოშივდებოდათ“ (Кавказъ, №86, 1858). „თამაშა“ (მუშტი-კრივი) მეტწილად იმართებოდა „ძველ ქალაქში“ (ისტორიული კალა, გალაგანშემოზღუდული ნაწილი). კერძოდ, ანჩისხატის უბანში, ე.წ. ბატონის მოედანზე, აბანოებთან – თათრის, ანუ ციხის მოედანზე, კლდის უბანში; კვირაობით და დიდ უქმებზე, ე.წ. ბერინერ დღეებში.

სიონის ტაძარი და ძველი სომხური ბაზარი (იგუე შუა ბაზარი, ახლანდელი ლესელიძის ქუჩა), გამყოფ ხაზად ითვლებოდა ქალაქის ორ – ზემო და ქვემო უბანს შო-

რის, რომლებიც ერთმანეთს მუშტი-კრიფში უპირისპირდებოდნენ. ზემო უბანს ქმნიდა ამ ხაზის ჩრდილოეთით, მტკვრის აღმა მდებარე მხარე – ანჩისხატის უბანი, გარეთუბანი, ჩუღურეთი, კუკია; ქვემოუბანი იყო სიონის სამხრეთი მხარე – სეიდაბადი, მაიდანი, ავლაბარი. ორივე უბანს თავისი წინამძღოლები, ქომაგები პყავდა – ბატონიშვილები, თავადიშვილები თუ წარჩინებულ მოქალაქეთაგანი (მელიქ-მამასახლისები, დიდგაჭრები). მეგე ერეკლეც „თამაშას“ დიდი ქომაგი ყოფილა; ბატონიშვილები ზემო უბნის წინამძღოლებად ითვლებოდნენ, სომხითის (ქვემო ქართლი) მემბელები – ორბელიანები, ბარათაშვილები, ყაფლანიშვილები ქვემოუბნელებს ქომაგობდნენ. ზემო უბნის ცნობილი ქომაგი ყოფილა არჩილ მუხრანბატონი, ცნობილი დარღმანდი, რომელიც არა მარტო თავისი, არამედ მეტოქე უბნის ცნობილ ფალავნებსაც (მებრძოლებს) უხვად აჯილდოებდა. ზემო უბნის წინამძღოლობის ეს ტრადიცია, ქართველი ბატონიშვილებიდან, სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ, მეფის რუსეთის მთავრმართუბლებმა გადაიღეს (ციცანოვი, ერმოლოვი, ვორონცოვი).

„თამაშას“ წესებით, ერთი მხარე თავს უნდა დასხმოდა, მეორეს – თავი დაცვა. მუშტი-კრიფში ქალაქის მთელი ვაჭარ-ხელოსნები მონაწილეობდნენ. მიწურთა ბანებზე შეფე-

ნილი მაყურებელი, ძირითადად მოხუცები და ქალები, კრიფის დროს ორად იყოთოდა. შერკინების წინ ორივე მხარის ქომაგები მიმოდიოდნენ ერთმანეთში, მოლაპარაკებებს მართვდნენ, თუ რომელი მხარე დაიწყებდა პირველი შეტევას. ტრადიციით, შეტევას წინა შერკინებაში დამარცხებული მხარე იწყებდა. შერკინების დაწყებას ზურნა და დოლი აუწყებდა, რომელთა გარეშეც ქალაქური დღესასწაული არ იქნებოდა. უკრავლენ ქორ-ოდლის საბრძოლო სიმღერას. შერკინების წინ, რამდენიმე მებრძოლი გამოეყოფილა თავის გუნდს და იწყებდნენ მოწინააღმდეგე მხარის ძაგებას, აბუჩად აგდებას, რასაც მიწურთა ბანებზე ათასობით შეფენილი ხალხის ხარხარი მოსდევდა. მოთამაშენი რამდენიმე რიგს ქმნიდნენ. წინა რიგებში იდგნენ უმცროსები, შემდეგ მოზრდილები, შუათანა მოკრივენი და ბოლოს ყველაზე გამოცდილი, თავი მოკრივები. რჩეული, თავი მოკრივენი ყოველთვის არ იდგნენ რიგში. ხშირად მიმდებარე ქუჩებსა და ჩიხებს აფარებდნენ თავს, რათა ბოლო, გადამწყვეტ დროს ჩაბმულიყვნენ და შერკინების ბედი გადაეწყვიტათ: „კაი მოკრივე ბოლოს გამოვაო“ (ხალხური).

შემტვი პარტიის წინა რიგები ყვირილით მიუხტებოდნენ მეტოქეს, შეიქნებოდა შეხლა-შემოხლა. შევიწროებული მხარე უკან დახევას იწყებდა. მათ ახალი ძალა



მთამღლოვანი  
სახახობა  
„ყვენობა“,  
რომელის  
კულტინურიაცა  
იყო ტერიტორია  
ობად  
წელებული  
სარდასტის  
კრიფი,  
„სართველების“  
და „შახას“  
ბანკებს შორის.  
ქალაქელები  
მას წილის  
მთავარ, წლიურ  
ბძმოლას  
უწილებდებული.  
სურათზე:  
„ყვენობა“,  
არტემი  
გამშინული,  
1913 წ.



შექუდუბის ამქარი (1912 წ.). ფოტო გადაღებულია ორთაჭალაში, მაისურაძის უსტაბაშობის 30 წლისთვის  
აღანაშვილის დღეს. ფოტო აღვეში ბარნიშის „მუელი თბილისის“ სურათის კალუქციიდან. მეორე რიგში  
ცენტრში ზის: უსტაბაში მაისურაძე


ჩანაცვლებდა, რომელიც თავად გადადიოდა შეტყვაშე. მეტოქე მხრიდანაც უკვე ახალი ძალა კედელივით აღიმართებოდა მათ წინ და ასე გრძელდებოდა, ვიდრე ერთი მხარე საბოლოოდ არ იძალებდა. ბრძოლის ბედს, როგორც აღვინიშეთ, თავი მოკრივების გამოცდილება წყვეტდა. ფერდობებზე, სახლის ბანებზე ათასობით შეფერილი მაყურებელი ამხნევებდა თავისიანებს; რჩეული მოკრივების გამოჩენისას, უკვიროდნენ, აფრთხილებდნენ, „თავს უშველეთ, გვერდზე გადევ! ვაი თქვენ! ესა და ეს მოდის! – ყვიროდნენ თავი მოკრივების სახელებს“ („დროება“, №48, 1880). ქომაგებიც, ცხენზე ამხედრებულნი, აქეზებდნენ თავიათ მოკრივებს, „დაჰკათ ბიჟებო! ცოტაც და ლეჩაქს დაგხურავთ თავზე“ („დროება“, №48, 1880). უკუქცეული მხარე, ხშირად ქვებს იშველიებდა უკან დახვისას, მაშინ შემტევი მხარე უკან იხვდა და შურდულიდან ქვებს დაუშენდა. მუშტი-კრივი „ქვის კრივში“ გადადიოდა. წვიმასავით ქვა ცვიოდათ. შურდულს, ბიბლიური დავით მეფის ამ იარაღს კი ყოველ ქართველს უნახავდით ჯიბეშით. „დედა, და თუ ახალგაზრდა ცოლი აძრეშუმისგან ურთავდა შურდულს ონავარ ვაჟშვილს, მმას თუ ქმარს“ (Кавказъ, №173-174, 1882).

თუ ვერც ერთი მხარე ვერ აღწევდა საბოლოო უპირატესობას, მაშინ შეთანხმდებოდნენ ხელახალი შეხვედრის დროზე, „შეიქნებოდა ახალი მხადება, ახალი გაწევ-გამოწევა

და მოსეიიდვა გამოჩენილ მოკრივების“ („დროება“, №145, 1882). გამარჯვებული მხარე კი ტრიუმფით, სიმღერითა და ყიუინით ბრუნდებოდა ქალაქში და იწყებოდა „ალაფობა“. ხშირად პირველი შემხვედრი დუქანი იქცეოდა გალადებულ მებრძოლთა ალაფად. შემხვედრ მგზავრს პირწმინდად ძარცვავდნენ, აუცილებლად ქუდი ხდილნენ, ტანსაცმელს ტანზე ახვედნენ. მაყურებელიც „ხარკს“ („შაურიანს“) აძლევდა გამარჯვებულ ბანაკს (Кавказъ, №15, 1854). ადრე უფრო ძველ ქალაქელებს, ქემოუბნელებს რჩებოდათ გამარჯვება, რიცხობრივი უპირატესობის გამო, შემდგვ. გარეულების ზრდის კვალობაზე, უკვე ზემოუბნელები ჯობდნენო. ამის გამო, ამ ორ უბანს შორის ერთგვარი მტრობაც ყოფილა; „ერთ ქვემოუბნელს ცოლი მოპირდაპირე მხრიდან პყოლია, როცა ზემოულებმა კრივში დაამარცხეს ქვემოუბნელები, ამით შეურაცხე-ყოფილმა ქმარმა, ცოლი მშობლების სახლში გაისტუმრა. ერთი ისეთი ვაჭარიც ყოფილა, თუ მუშტარი საწინააღმდეგო უბისა იქნებოდა, არაფრით არ მიყიდდა ჩაისა და შაქარს“ („დროება“, 1882, №145).

ქალაქში თავისი სიმმატრით გამოირჩეოდა ამაღლებას სეიდაბადში და მამაღავითობას, ამაღლებას სწორზე გარეთუბანში გამართული მუშტი-კრივი. მაგრამ, ყველაზე გრანადიოზული, ე.წ. წლიური შეტაკებები სეზონებს იყო მისადაგებული და წელიწადში ორჯერ,

დიდმარხვის დაწყებისას, პირველ ორშაბათსა და აღდგომის სწორზე, კვირაცხოვლობას იმართებოდა და აუცილებლად ქალაქებრეთ – დაბახანასთან (წაგისის წყალი) და მახათას მთასთან, ავლაბარში. დიდმარხვის პირველ დღეს გამართული „თამაშობა“ ნამდვილ ომს მოგაონებდათ იბრძოდნენ საგანგებოდ ამ დღისთვის დამზადებული ხის ხმლებით – სარდასტით. ამის გამო, სარდასტის კრიფს ტყუილ ომს უწოდებდნენ. ყველიერის ბოლო დღეს, ორივე მხარის რაზმები, თავიანთი წინამდლოლების – შახების მეთაურობით, სახეომოდ, ზურნა-დოლის თანხლებით გადიოდნენ ქალაქის საშხრეთ, განჯის კარიდან. რაზმები რიგის, ანუ ქუჩების მიხედვით იყო დაწყობილი. თითოეულ რაზმს თავისი საამქრო დროშა მიუძლოდა წინ. ხელჯორხანი ამაღლით გარემოცული შახა/ყენი წინ უძლოდა პროცესიას. მსელელობაში მონაწილეობდნენ ასევე მუსიკოსები, ტაკიმასხარები. ორივე ბანაკი ხელსაყრელ მდებარეობას იკავებდა სოლოლაკის მთის ფერდობებზე და ელოდებოდა შეტევის პირველ დაწყებას. ორთავე მხარე აყენებდა სადარაჯოებს, ადგენდნენ მორიგეობას, ჰყავდათ ჯაშუშები. თან მიჰქონდათ სამყოფი სურსათი, სასმელი, ანუ ყველაფერი ნამდვილ საომარ სამხადისს მოგაონებდათ. გადამწყვეტი, „წლიური“ შეტაკების დღედ, ტრადიციულად დიდმარხვის პირველი ორშაბათი იყო დათქმული. ამიტომაც, ამ დღეს შახთა აჯანყებას/ყენობას უწოდებდნენ.



გამარჯვებულად ის ითვლებოდა, ვინც მოწინააღმდეგე მხარეს გარეუაფდა და ციხეს (ნარიყალას) დაიკავებდა. „დღეს დიდი ამბავი მოხდება. ნარიყალაზე უნდა შევიდეს ზემო უბანი და ვნახოთ, ქვემო უბანი შეუშვებს თუ არ!“ („დროება“, №48, 1880). ბრძოლის დაწყებას საომარი ბუკა, ე.წ. ლოროტოტო ამცნობდათ. ათასობით მეშურდულე ფერ-დობებიდან სეტყვასაცით აყრიდა ერთმანეთის ქვას. ქვებისგან ფარად, ზურგზე მოგდებულ პატარა ნაბდებს ხმარობდნენ. ერთმანეთიან მიახლოებისას, როცა გამოცდილი, მარქაფა რაზმები ხის ხმლით შეტვაში ჩატბმებოდნენ, შურდულის გამოყენება, ადათის მიხედვით, იკრძალებოდა. ხის ხმალი რომ რეინისად ქცეულიყო, ნამდვილი ომი გეგონებოდათ. მოთამაშეთა ჩაცმულობაც საბრძოლო აღკაზმულობას წააგვდა; „უქუდოდ, მეტ-დგალებილნი, ჩოხის კალთები შალვარში ჩატანებული, ხელებდაკაბიწებულნი, ხელში ხის ხმლები ეჭირათ“ („დროება“, №48, 1880), შეა თითზე კი სპილენძის მსხვილი ბეჭდები ეკეთათ (Кавказский сборник, XXIII, 1902). საომარ ექსტაზში შესული მოკრივენი, ხშირად ერეკლე მეფეს დაუშოშმინებია; „ფრთხილად, ციხის კედლები არ დამიქციოთ“! („დროება“, №48, 1880). ბრძოლაში მოპირებული ქუდი, სარტყელი და ნაბადი ითვლებოდა კანონიერ ალაფად. ხალხური გადმოცემით, ამ დღეს ქალაქელთა რაზმებს ყენი დაუმარცხებიათ, შავი დღე

გამოცდილი,  
თავი მოკრივენი  
ძირითადად  
ხელოსნათა  
რიგებიდან იყვნენ.  
**XIX საუკის**  
ეთნოგრაფიულ  
პუბლიკაციებში  
გვხდება მათი  
მეტს სხელები,  
ატლა-ძიტლი,  
კუნძუა,  
გამიხანა,  
საათო, კირჯონა.  
სურათზე: განო  
ხოჯაბეგოვის  
ნახტი „კრიფი“



**ქართლ-კახეთში ცნობილი იყო „ქოროღლის“ სიმღერა. ქოროღლი კოჯრის ციხეს ეწოდებოდა, ასევე ერქვა აბულის ძველ ციხეს, ზემო ჯავახითი. სურათშე: კოჯრის (ქოროღლის) ციხე, ივიზე აზეულა**

გაუთხნებიათ მისთვის. სავარაუდოა, ამ გადმოცემაში იგულისხმებოდეს, ერეკლე II-ის მიერ თბილისის ციხეების (მეტება, თბილი, ნარიყალა) განთავისუფლება ირანელების-გან 1748 წლის ზაფხულში, რაც ქართლში ყიზილბაშობის დამთავრებას მოასწვებდა. ამ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდნენ მოქალაქეთა რაზმებიც; „ტფილისის მოქალაქენი პბრძოლენ ციხესა და მტკიცედ სდგნენ ერთგულებასა მეფის ირაკლისას“ (იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, თბილისი, 1950). სარდასტის კრიფშიც, ტრალიციულად ზემო უბანს, ანუ ქართველთა ბანაკს უნდა გაემარჯვა. დამარცხებულ, ვირზე უკუღმა შეხმულ „შახს“ კი სახალხოდ არცხვენდნენ, ლაფში ან მტკვარში აგდებდნენ. ასეთივე შეუპოვრობითა და მასშტაბურობით გამოირჩეოდა კვირაცხოვლობას, ალდგომის სწორზე, მახათას მთასთან (ავლაბარში) გამართული მუშტი-კრიფიც. „თამაშას“ მეორე დღეს ქალაქი თვალებჩალურჯებული, ყბა-

მოქცეული ხალხით იყო სავსე. ჭრილობებს კი აბანოში იშუშებდნენ („დროება“, 1882, №145). სახალხო მუშტი-კრიფის ტრადიციებით განთქმული ყოფილა გორი და თელავიც.

ამ წეს-ჩვეულების სიმბოლური მხარის გასაგებად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ზემოთ აღწერილი ერეკლე მეფის დროინდელი ქალაქური გადმოცემა, მოქალაქეთა რაზმების მიერ სპარსელთა დამარცხების შესახებ. ამ ისტორიულმა ფაქტმა ხალხის მტხსიერებაში, ძველი ამბის ანუ საკრალური სახე მიიღო. გავიძეს ხალხი, „ამბავი რო დაძველდების, ანდრუზად იქმნების“ (ხალხ.).

ხალხურ წარმოღვენებშიც, დარტყმა ერთდროულად ძევლის, მანკიერის კვდომისა და ახლის დაბადების, განახლების ნიშნად აღიმებოდა. უსტაბაშის მიერ ხელდასხმულის-თვის ხელის სამჯერ დარტყმის წესი, ამ უკანასკნელის განახლების, სრულყოფის გზაზე დადგომის სიმბოლო იყო, რაც ოსტატის ახალი სოციალური სტატუსით გამოიხატებოდა; რომ ამ ხელს ჰქონდა ხელდასხმულის დასჯისა და შეწყალების უფლება. ასევე, თუ სულით ავადყოფს ხუცესი ან ვინმე ბაგრატიონთა გვარის კაცი ხელს (სილას) სამჯერ გაარტყამდა, აუცილებლად განიკურნებოდაო (ხალხ.). თამაშობათა ეს სიმბოლური მიზანდასახულობა საზოგადოებაში ერთიანობას, თანამონაწილეობის განცდას აძლიერებდა. ესეც იყო მიზეზი, რომ „ძველ ქალაქში ერთობისა და პატიოსნების, მეზობლური ურთიერთდამოკიდებულების სული სუფევდა“ („ივერია“, 1894, №42).

გარდა ამ რიტუალურ-სიმბოლური აზრისა, სახალხო მუშტი-კრიფს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო თამაშის ფორმით მიმდინარე სამხედრო წვრთნები. თანამედროვეთა შეფასებით, ახალგაზრდობის სამამაცო/მეომრული აღზრდის ნამდვილი სკოლა, ერთგვარი საბარტანული თამაშები. მით უმტკეს, რომ ერეკლე II-ის დროიდან, მოქალაქებს სამხედრო სამსახური, მორიგეობა ეკალებოდათ.

XIX საუკუნის შუა წლებიდან, საზოგადოებრივ ურთიერთობებში მომხდარი ძირეული ცვლილებებისა და ცარიზმის რესიგნიკატორული პოლიტიკის მიზეზით, ეს მოვლენა დაწინდა; „ეპ! მუშტი-კრიფის ხეირი წვიდა“ („ივერია“, №11, 1871).

# მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმები


13  
ორიად



ეს უნიკალური სერია მათთვისაა, ვისაც სურს, პეტონდეს  
მსოფლიო შედევრების საკუთარი კოლექცია,  
ნებისმიერ დროს შეეძლოს მისი დათვალიერება  
და თითოეული შედევრის ისტორიის გაცნობა.

„ამ მეტეუმმა ჩემი მსოფლმხედველობა შეცვალა“.  
შერაბ შეტრეკელი - ქურნალისტი

## 2 ივლისიდან თვეში ერთხელ „პალის ალმაზუნის“ ერთად ორი 10!



სპეციალური ფასი **13.50 ₾** გაზეთად 15 ₾

ხელოვნების ისტორიის მუზეუმი  
ორი 10

მემორანული მუზეუმი  
ორი 9

მაგარი ყდით და სუკერით



თუ წინასწარ გამოიწერთ ან შეაგროვებთ სერიის ყველა წიგნს,

## ВЪЕБ 8 ВЪЕБОТ!

თქვენ მიერ არჩეული შედევრის ასლს!

ორიგინალთან მიახლოებული ასლი საეკიალური  
ტექნიკით იმუშავება მდალაბრისხან  
ტილოზე და გადატიმულია ზოგაცხაპნის

იმისგან, რომ გარემონტრებულია შეძლოთ კოლექციის  
ყველა ტომის შეგროვება და საჩუქრო მიზიდოთ მხატვრული  
ტილო. გირჩევა გამოიწეროთ ეს სერია!

დამატებითი ინფორმაციისთვის  
დარეკვეთ: 0322 38 38 71



იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში  
ან დარეკვეთ ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74  
და elva.ge ადგილზე მოგაროვეთ. [www.palitral.ge](http://www.palitral.ge) Palitra.L.PUBLISHING

# საუკუნის წინაძელი ხელფასები და ფასები

შრომის ანაზღაურება და ფასები  
I მსოფლიო ომამდელ რუსეთის  
იმპერიაში (ცატილი III)

„ისტორიანი“ ასრულებს პუბლიკაციას სტატიისა, რომელშიც განხილულია ქართველ მოღვაწეთა ცნობები XIX საუკუნის მიწურულიდან — 1914 წლამდე რუსთან იმპერიაში არსებული ფასებისა და ხელფასების შესახებ (დასაწყისი იხ. „ისტორიანი“, №№ 86; 88).

◆ საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნისანი მატარებლების მეთაური გალოდია გოგუაძე (1880-1954) იგონებდა: 12 წლისა ბათუმში „დავდექი მუშად რიხნელის ქარხანაში. ჩემს მოვალეობას შეადგენდა ნავთიან ყუთებზე მაშით „კისლატიან კაპსულების“ დაფარება. დღეში კვაშაობდი 11 საათს და ხელფასად მეძლეოდა 2 აბაზი... მუშების უმეტესობას შეადგენდა ქართველობა. ხელფასის მიღებისთანავე ისინი გარდონენ სამიკიტონში, მოითხოვდნენ აუარებელ ღვინოს... ფულს „თავმომწონედ“ იხდიდნენ და შემდგე სხვა სამიკიტონში გადადიონენ; არღნითა და ეტლით მთელ ქალაქს შემოივლიდნენ, სტეხდნენ აურჩაურს, ჩეუბს... ამდენი უახრო ქეიფის შემდგე ქარხანას უკაპეიკოდ უბრუნდებოდნენ და მეორე დღეს პურის ფულს სესხულობდნენ... ერთი წლის შემდგე გადამიყვანეს გატეხილი ყუთების შესაკეთებლად... მაძლევლნენ დღეში 10 შაურს. რიხნელის ქარხანაში მუშაობაში იკლო, რის გამოც გადავედი როტშილდის ხერხის ქარხანაში. ჩემს მოვალეობას შეადგენდა ყუთების ჭედვა. ჯამაგირი შეძლეოდა დღიურად 15 შაური“.

◆ 1904-1906 წლებში კოტე მარჯანიშვილი (1872-1933) მსახურობდა რიგის რუსულ თეატრში, სადაც ის თავის დრამატულ ჯგუფში მიიწვია ანტრეპრენიორმა კონსტანტინ ნეზლობინმა (იმავე ალიაბიევმა).

კოტე მარჯანიშვილი იხსენებდა: „მოვე ვლინე 1904 წელს მოსკოვის თეატრალურ ბაზარს... დიდმარხვის დღეს (ჩემთვის, ცო-



„ოქროს თუმნიანი“ ანუ რუსეთის იმპერიის 10-მანგიანი მონეტა, იმპერატორ ნიკოლაი II-ის გამოსახულებით (1909 წელი)

ლისთვის და შვილისთვის დიდმარხვა უპვე კარგა ხნის დამდგარი იყო, ვინაიდან ფული გამითავდა, ანტრეპრენიორი კი არსად ჩანდა... ნეზლობინის სახელით გადმომცეს — შევხედროდი დილის 10 საათზე ფილიპოვის ფაგანაში ტვერსკაიაზე... ამ დღეს სავსებით შევსანსლეთ ის უკანასკნელი ნამცეცები, რაც კი დანაზოგიდან დაგვრჩენოდა, დავიტოვე მხოლოდ ორი უზალთუნი ყავანანის მექანისათვის სახვალდილაოდ.

10 საათზე ფილიაპოვთან გაუჩნდი. ნეზლობინი უკვე მაგიდასთან იჯდა და გემრიელად შეექცეოდა ყავას, ფუნთუშ-ნამცხეარს და ცხელ-ცხელ ღვეზელს... ყავა შემომთავაზა. თუმცა შიმშილისაგან თითქმის მუცელს მგვრემდა, უარი განვაცხადე, ეს არის მაღანად ვისავეზე-მეთქი... მითხა: „გინდათ ჩემთან სამსახური?“ ვუპასუხე — მინდა-მეთქი. ნეზლობინმა კმაყოფილებით გაიღიმა... მითხრა: „კარგი, თქვენ ჩემთან მსახურობთ. ჯამაგირი — 250 მანეთი თვიურად... შევიღობით!“ ხელი ჩამომართვა და დამტოვა...

მეორე დილას, თეატრალური საზოგადოების ბიუროში... მმართველმა პალმინა... გადმომცა ნეზლობინის სახელით აქნაი 500 მანეთი და მითხრა: „გთხოვათ, არ ექცეოთ საზაფხულო სამუშაო და წახვიდეთ სტარაია რუსში, რათა გაეცხოთ მის საქმეს, შეიძუშაოთ რეპერტუარი, მუშაობის პირობები“.

რიგაში მუშაობის უკანასკნელ წელს, მარჯანიშვილს, როგორც წარმატებულ რეჟისორს, ხელფასი გაუორმაგეს, თუმცა, იმავდროულად, მეორე რეჟისორიც მიიწვიეს.

კ. მარჯანიშვილი იგონებდა: „ნეზლობინს, ცოტა არ იყოს, აჯავრებდა ჩემი წარმატება. ძალიან სწყინდა, რომ პრესაც და საზოგადოებაც ნეზლობინის თეატრზე კა არ ლაპარაკობდა, არამედ მარტო ჩემს მუშაობაზე... მართალია, ძალიან მაფასებდა, ჯამაგირი ერთი-ორად გამიდიდა — ახლა მე 500 მანეთს ვიღებდი, მაგრამ მაინც ამჯობინებდა, რომ აღვირამოდებული ვყოლოდი, ამიტომაც მოიწვია ტუნკოვი... საუკეთესო პიესებს აძლევდა... ეს მე შეურაცხყოფად მივიღე...“

ნეზლობინს ჩვეულებად ჰქონდა, სეზონის უკანასკნელ ღღებდე არას გეტყოდა მომავალ სეზონში კვლავ მასთან სამსახურის თაობაზე. ვთიქრობდი, უარს უკანასკნელ წარმოდგენაზე მეტყოდა. ღეგემხერში რამდენიმე წინადაღება მივიღე. სხვათა შორის, ხარკვეში მიწვევდა ანტრეპრენიორი ლინტვარიოვი, თვიურად 800 მანეთს მაძლევდა... სეზონი დამთავრდა. საზოგადოება, როგორც ყოველთვის, უკანასკნელ წარმოდგენაზე გულითად ოვაციებს უმართავდა თავის საყვარელ არტისტებს. მეც ვიყავი მათ შორის. წარმოდგენის დასასრულ მომიახლოვდა ნეზლობინი ამ სიტყვებით: „შემდეგ სეზონში მე გაძლევთ თქვენ 800 მანეთს. დანარჩენზე შემდეგ მოვილაპარაკოთ“. ბოდიში მოვიხადე მის წინაშე და ვუთხარი,



კატეგორიაში დაბადების 100 წლისთვანი  
და კულტურული გამოშევებული სსრ კულტურის საფოსტო  
მარკა (1972 წელი)

გალოდია გოგუაძე საქართველოს  
დემოკრატიული რესუბლიკის არსებობის პერიოდში





Ռուսական օմքերուստ մանցուանո օմքերական նշանակություն ունի առաջնահարու գամուսակալություն առ 1914 թվականի մայիսի 1-ին:

Տաճեմունք մազեցու խարշում, հաջանակ օմքեցու առաջնահարու գամուսական նշանակություն ունի առ 1914 թվականի մայիսի 1-ին:

Տաճեմունք մազեցու խարշում, հաջանակ օմքերական նշանակություն ունի առ 1914 թվականի մայիսի 1-ին:

Մազեցու առաջնահարու գամուսական նշանակություն ունի առ 1914 թվականի մայիսի 1-ին:

1908 թվականի օմքերական նշանակություն ունի առ 1914 թվականի մայիսի 1-ին:

Հայության մասնակի առաջնահարու գամուսական նշանակություն ունի առ 1914 թվականի մայիսի 1-ին:



საბჭომ კოტე მარჯანიშვილს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვაში იყო, რომ მომავალი „სეზონისათვის შემოტანილია განცხადება თეატრის იჯარით აღების თაობაზე სამი ანტრეპრენიორის — მიკულინის, სიბირიაკოვისა და ბაგროვის მიერ. სამივენი თქვენ გასახლებენ, როგორც სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელს. კეთილი ინტერეტ გვიპასუხოთ, ამ სამიდან ვისთან აპირებთ სამსახურს“.

მარჯანიშვილი იხსენებდა: „დეპეშა გავ-გზავნე — თუ ვიქწები, მხოლოდ ბაგროვთან. ბაგროვმა თეატრი მიიღო. დუგან-ტორცოვს ჩემი გაშვება არ უნდოდა. მისთან მე 1.200 მანეთს ვიღებდი თვიურად... შემომაძლია 1.500. ეს რომ გაიგო, ბაგროვმა 1.800 შემომაძლია. დაიწყო ვაჭრობა. ასე რომ, თთქო აუქციონით ბაგროვს 2.400-ად ვერგე. ეს იყო დაუჯერებელი, სარეკორდო ციფრი, რაც როდესმე რუსეთში რეჟისორს მიეღო. შემეძლო მეამაყა: ჯერ კიდევ 1905 წელს ვიღებდი რიგაში ნეზლობინისაგან 250-ს თვიურად, ახლა კი ოთხი წლის შემდეგ, ჩემი განაკვეთი 2.400 მანეთამდე გაიზარდა“.

ამგარად, კოტე მარჯანიშვილს უზარმაზარი ხელფასი ჰქონდა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ იმ პერიოდში მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩნენდა თეატრისადმი და სპექტაკლებს აქტიურად ესწრებოდა. სწორედ ამის წყალობით, მაგალითად, 1907 წლის ზაფხულის სეზონში ანტრეპრენიორ დუგან-ტორცოვის შემოსავალმა 70 ათასი მანეთი შეადგინა.

◆ საქართველოს სახალხო არტისტი ეკატერინე (ცაცა) ამირეჯიბი (1889-1975), რომელიც 1910-1911 წლებში მოსკოვში, ს. ხალიუტინის თეატრალურ სტუდიაში სწავლობდა, საინტერესოდ აღწერს ამ ქალაქში იმხანად მყოფ ქართველ სტუდენტთა ცხოვრებას. ის იგონებდა: „გადავწყვიტე მოსკოვში წავსულიყავი და სახელოვნო განათლება შიმელო, მაგრამ ჩემს შშობლებს ოთხივე შეილის უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნა არ შეეძლოთ. სამსახური დავიწყე რკინიგზის სამმართველოში... თევში 30 მანეთი მქონდა. სასმელ-საჭმელით ოჯახში უზრუნველყოფილი ვიყავი. ეს ფული მოლიანად შემეძლო გადამდო და მოსკოვში წასასვლელად მეგროვებინა. სამსახური 6-საათიანი იყო, 9-დან — 3 საათამდე.



ეკატერინე  
(ცაცა)  
ამირეჯიბი

ქართველებს, საზოგადოდ, ძალიან გულთბილად და სიეგარულით გვიღებდნენ მოსკოვში. იმ დროს ჩამოსულ ქართველ ახალგაზრდებს ისაც გვამხნევებდა და გვაამყებდა, რომ ორი დიდი ხელოვანი, ორი ჩვენი თანამემამულე თავისი დიდი მხატვრული შემოქმედებით ამდიდრებდა მაშინდელ თეატრალურ მოსკოვს. ესენი იყვნენ კოტე მარჯანიშვილი და ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი.


სწავლის გადასახადი ძალიან მცირე იყო, ისე რომ, შევძლი ჩემი ორი წლის მოგროვილი ფულით გადამქადა... ჩემთან ერთად ოთახში ცხოვრობდა თამარ ძნელაძე, რომელიც კონსერვატორიაში სწავლობდა... ის იყო დისტვილი ცნობილი ქართველი ხეროთმოძღვრის სიმონ კლიაშვილისა, რომელმაც ააშენა ქართული სათავადახნაურო გიმნაზია, შემდეგში — ქართული უნივერსიტეტი. ოთახის ქირას სანახევროდ ვიხდიდით, ძალიან კარგი დიასახლისი გვყავდა. ბინა და ჭამა-სმა თითოს 25 მანეთი გვიჯდებოდა“.

ცაცა ამირეჯიბი წერს: „მოსკოვში ცხოვრებას ჩვენთვის თავისებური სიმნელეებიც და შეღავაოუბიც ჰქონდა. სასადილოში იაფი სადილები იყო, მაგრამ ქართველი სტუდენტების უმეტესობას არც ამის საშუალება ჰქონდა... მოსკოვში... მყოფი ქართველი სტუდენტობა მუდამ ახლო იყო ხელოვნებასთან. მას არ გამორჩებოდა არც ერთი მოულენა. არსებობდა ქართველთა სათვისტომო, რომელიც ქმარებოდა ქართველ დარიბ სტუდენტებს. ყოველ წელიწადს იმართებოდა ტრადიციუ-

მიწებილ  
ჭიათურელი




„წითელი თუმნიანი“ ანუ რუსეთის იმპერიის  
10-მანეთიანი ბანქოტი (1909 წელი)



◆ კინორეჟისოლი მიზეული ჭიათურელი (1894-1974), რომელმაც დაამთავრა ჯერ თბილისის სახელოსნო სასწავლებელი (ორთქლმავლის მემკენის სპეციალობით), ხოლო შეძლევ ფერწერისა და ქანდაკების სკოლა (იაკობ ნიკოლაძის ხელმძღვანელობით), შედიოდა ქართულ სახალხო სახლთან არსებული წარმოდგენების მმართველ წრეში (1910-1914 წლებში) და სპექტაკლებშიც მონაწილეობდა. ამის პარალელურად, იგი იარაღოვის ქარხანაში ზეინკლად მუშაობდა და დღიურ ჯამაგირად 80 კაპიქს იღებდა.

1914 წელს მიხეილ ჭავჭავალმა შექმნა  
თავისი პირველი ქანდაკება — მსახიობ კოტე  
მესხის (1857-1914) ბიუსტი, რის გასამრჯე-  
ლოდაც სოლიდური თანხა გადაუხადეს.

მიხეილ ჭიათურელი იგონებდა: „შექვეთი მოვიდა და თან კიდევ ჩემთვის უცნობი კაცი



მოიყვანა... ბიუსტი ორივეს მოქმედნა. შემცვეთ-  
მა კიდევ ერთხელ მკითხა შრომის საფასური,  
მაგრამ ვთხოვე, თყადა გადაწყვიტათ. ამოიღო  
საფულე და ხუთი წითელი თუმნიანი გადმომ-  
ცა, თან მაღლობა დააყოლა. დედაჩემი მთელ  
ამ სცენას გაკვირვებული უცქერდა. სტუმრე-  
ბის წასვლის შემდეგ ეს ჩემი პირველი პონო-  
რარი დედას გადავეცი ოჯახში მოსახმარად.  
არ იღებდა, ვერ წარმოედგინა, რომ ამდენი  
ფულის აღება შეიძლებოდა თაბაშირისაგან  
გაკეთებულ რაღაც საგანში“.

◆ საქართველოს დემოკრატიული რეს-  
პუბლიკის სამხედრო მოღვაწე შალვა მალ-  
ლაგლიძი (1894-1976) იგონებდა — 1914  
წლის ზაფხულში, როცა ქუთაისის ქართული  
გიმნაზიის დასრულების შემდეგ, უმაღლესი  
განათლების მისაღებად რუსეთში გაემგზავრა,  
მას მამამ ერთი წლის სამყოფი თანხა გაატანა.  
მასთან ერთად გაემგზავრა პოეტი ტიციან  
ტაბიძეც, რომელიც იმხანად მოსკოვის უნი-  
ვერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ  
ფაკულტეტზე სწავლობდა.

შალვა მაღლაგელიძის მოგონებაში ვკი-  
თხულობით „ჩავედით მოსკოვში და დავბი-  
ნავდით. მამაჩემმა მე გამატანა 350 მანეთი  
— ერთი წლის ფული ერთბაშად. ტიციანს  
ვუთხარი — ამდენი ფული მაქვს-მეთქი. ტი-  
ციანს ჰქონდა 30 მანეთი, დიაკვანი იყო მამა-  
მისი და ერთი თვის ხელფასი მიუცია. პალე  
აბულაძეს, ტიციანის მეგობარი იყო, ისიც  
სტუდენტი, 20 მანეთი აქვს. დავბინავდით  
ერთად, 20 მანეთად სამი კაცი. მეგრავი ქალი  
იყო, უნივერსიტეტთან ახლოს აქირავებდა  
ბინას. ტელეფონიც გვაქვს“.

მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ  
ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში, შალვა  
მაღლაგელიძე, სამშობლოში დაბრუნებამდე  
(1915 წ.) მსახურობდა ქალაქის თავ მიხაილ  
ჩელნოვივის (1863-1935) მდივნად.

შალვა მაღლაგელიძე იგონებდა: „მოსკო-  
ვის თავი იყო რუსეთის ყველა ქალაქის თავის  
— „სოიუზ გოროდოვის“ თავმჯდომარე...  
მისცა გაზეთში განცხადება, რომ ქალაქის  
განყოფილების („პო პრიომუ ი ვაკუაცია რა-  
ნენის“) მხრივ მას სჭირდება მდივნი, მაგრამ  
სასურველიაო მას ჰქონდეს 18 წლის მუშაო-  
ბის სტაჟიო... ხუმრობით შევიარე ქალაქის  
თავთან, რომ ამ ადგილზე დამნიშნოს... მკი-  
თხა: „ვი გრუზინ?“ — „და!“ — „პო აკცენტუ  
ვიდნო“... მცირე გასაუბრების შემდეგ, ეტყობა


მოვწინე თუ რა არის, მითხრა: „ნაზნაჩუ-  
სემდესიატ რუბლე ზოლოტომ პოლუჩიტე  
ს ლოშადი... დოკტორსკი ობედ ბუდეტე  
პოლუჩატ. ვ ვაშემ რასპორიაჟენი ბუდუტ  
ვრაჩი იმპერიი. მოი სეკრეტარ ობუჩიტ ვას,  
კაც პრისტუპიტ კ დელუ. ვი მნე პონრავილის,  
ნე ნუენო ნიკაკო სტაჟა“.

გამოვედი გარეთ ბიჭები მიცდიდნენ. მე  
ვუთხარი: „დამნიშნეს!... ატეხეს აურზაური:  
„ჩვენც მოგვაწყეო!“ მართლაც, გამოვიგო-  
ნე თანამდებობა „ეტაჟი სტუდენტი“, ე.ი.  
სახლებში, რომლებიც ლაზარეთებად იქცა,  
მორიგე რომ იყოს თითოეულ სართულ-  
ზე. დაჭრილებს რომ მოიყვანენ, ამისთვის  
დავნიშნე, ვინც კი ქართველი სტუდენტი  
იყო... დაენიშნათ ხელფასი 50 მანეთი“.

ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში  
შალვა მაღლაგელიძე ფინანსურად დაქმარა  
მოსკოვში დაპატიმრებულ სოციალ-დე-  
მოკრატ ალექსანდრე თეოფანეს ძე ნადი-  
რაძეს, რითაც ეს უკანასკნელი სიკვდილს  
გადაარჩინა.



შალვა  
მაღლაგელიძე



▲  
გიორგი  
ლეონიძე

◆  
საქმწვილო  
ფურნალ  
„ნაკადულის“  
გარეკანი  
(1913 წლის №17)

▼  
„ათშაურიანი“  
ანუ რუსთაოს  
იმპერიის  
50-კაბიკანი  
გრუნტის  
მონეტა (1900)

შალვა მაღლაკელიძე იგონებდა: „თავის დროზე მოსკოვში ნადირაძე რომ დაიჭირეს, როგორც ბოლშევიკი, ვიღაც ქალმა გასცა, მივედი მე. ერთი ოქროს თუმნიანი მქონდა და ერთი ვერცხლის ათშაურიანი. სხვა ფული არა მაქვს. ათშაურიანი რომ მივცე ცოტაა — ორ სადილს ჭამდა კაცი რესტორაში. ოქროს თუმნიანი კი უკვე პატარა მოხელის თვიური ჯამაგირი იყო. ავიღე და თუმნიანი მივეცი“.

◆ გიორგი ლეონიძე (1897-1966), რომელმაც ლექსების წერა ემწვილობიდან დაიწყო, იგონებდა: „1913 წელს, ერთ მხიან დილას, მე შევედი „ნაკადულის“ რედაქციაში მორიგი, ახალი ნომრის მისაღებად, რომელშიც ჩემი ლექსი „შემოღომა“ იყო დაბეჭდილი. „ნაკადულის“ რედაქტორმა ნინო ნაკაშიძემ შემაჩერა — არ წახვიდეთ, ჰონორარი გაქვთ მისაღებიოდ და იქვე გადმოითვალა ვერცხლის ფულად რეა მანეთი და ათი შაური. მე გაგმრი ასეთი უწევეულო ყურადღებით, მაგრამ ნინომ პირდაპირ ძალით მომაჩერა ხელში ხსენებული თანხა. გამოველ რედაქციიდან თუ არა, მე პირდაპირ წიგნის მაღაზიებს ვეცი და ჩემი სასურველი წიგნები ვყიდე, რომელთა შეძენასაც საკუთარი ფულით, წინა დღეს ვერც კი წარმოვიდგენი. ასეთი იყო ჩემი პირველი ჰონორარი“.

◆ საქართველოს სსრ-ის კომპარტიის ლიდერი კანდიდ ჩარკვიანი (1906-1994) იგონებდა: „დედაზემის სოფელ ქორენიშვი იქაურების მეცადინეობით სამრევლო სკოლა დაარსდა... 1913 წლის ნოემბერში გაიხსნა...



სკოლის გამგეს და ერთადერთ მასწავლებელს ალფეზი ასათიანს სრული საშუალო განათლებაც არ მიეღო, მაგრამ ხანგრძლივი პრაქტიკით დაწყებით სკოლაში სწავლების ხერხები ასე თუ ისე აეთვისებინა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, 6-7 წლის ბავშვები, მის მოუმზადებლობას ვერ ვგრძნობდით... თუმცა სამრევლო სკოლის მასწავლებლის თვიური ხელფასი 25 მანეთზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, მისთვის, სახსრების უქონლობის გამო, 15 მანეთი დაენიშნათ. და აი, მასწავლებელმა სკოლის შზრუნველებთან შეთანხმებით, მოსწავლეთა ოჯახებს ერთგვარი ხარკი დაადო: თვეში ერთხელ თითოეულ მათგანს მისთვის სადილი უნდა მოეტანა. მასწავლებლის ოთახში მაგიდაზე იღო რვეული, რომელშიც მოსწავლების სია იყო შედგენილი. ვინც სადილს მოიტანდა, მისი სახელისა და გვარის ხაზზე ჯვარი დაისმებოდა... მრგვლად მოხარშული ქათამი, ხაჭაპური, ყველი — ასეთი იყო ჩვეულებრივად ამ სადილის მენიუ. მჭადის მოტანა სირცხვილად ითვლებოდა, უთუოდ პური უნდა მიერთმიათ“.

◆ გეოლოგი გიორგი ზარიძე (1908-1999) იგონებდა: „დავიბადე თბილისში, რკინიგზის მემანქანის ოჯახში... ჩემს ბავშვობაში 9-10 წლის ასაკამდე ჩვენი ოჯახი ეკონომიკურად ნორმალურად უზრუნველყოფილი იყო. მამას ყოველთვიურად მოპერნდა ხელფასის სახით ერთი მუჭა ოქროს ათმანეთიანები (თუმნიანები) და მაგიდაზე ჩხარაჩხურით დაყრიდა ხოლმე. შეძლევ ფულს დედა ეპტრონებოდა. მოგვიანებით, 1917 წლიდან დაწყებული... ცხოვრების პირობები მნიშვნელოვნად გაგვიუარესდა“.

◆ ფიზიკოსი გახტანგ პარკაძე (1912-1996) იგონებდა, რომ საქართველოს იმულებითი გასაბჭოების შემდეგ, კერძოდ, 1923-1924 წლებში მიმოქცევაში მყოფი ამიერკავკასიის ფედერალური მანეთის „კურსი ყოველდღე იცვლებოდა... ერთ დღეს, გირვანქა პურ 75 მილიარდი მანეთი ღირდა. ხალხი დასცინოდა მთავრობას. ერთხელ დიდედაზემა დაიჩინლა: რევოლუციამდევლ საქართველოში ფულის ერთი კუპიურით ქალის გათხოვება შეიძლებოდა. მეტადრე „პეტროვკით“ (500 მანეთი) აზნაური ქალის დიდი შზითვი მომზადდებოდაო. ახლა ჩვეულებრივი სადილი რომ გაწყო, ერთი ხურჯინი ფული უნდა დაახარჯოო“.

ხსენებულ ბანკოტს იმიტომ უწოდებდ-



განდიდ  
ჩარკვიანი  
ჯმწვილობისას

ნენ „პეტროვკას“, რომ რუსეთის იმპერიის 500-რუბლიანი „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის“ ავერსზე გამოსახული იყო პეტრე I-ის პორტრეტი. რაც შექება ამ ბანკნოტის ღირებულებას, უნდა გავიხსნოთ, რომ იგი უდრიდა 50 ცალ ოქროს თუმნიანს, ხოლო ამ უკანასკნელის ერთი გზზემსლარის დღვენდელი საბაზო ღირებულება დაახლოებით 400 აშშ დოლარს, ანუ 1000 ლარს უტოლდება. ამდენად, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე მიმოქცევაში არსებული რუსული 500-რუბლიანი კუპიურის ღირებულება დაახლოებით შეესაბამებოდა თანამედროვე 20 000 დოლარს...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის მიწურულიდან — პირველ მსოფლიო ომამდე რუსეთის იმპერიაში არსებული ფასებისა და ხელფასების შესახებ საყურადღებო ინფორმაციაა დაცული როგორც სახელმწიფო არქივებში, ასევე ცნობილი ქართველი პოლიტიკური, საზოგადო მოღვწების, მწერლებისა და ხელოვანთა ობზელებებსა და ეპისტოლურ მექვიდრეობაში.

### თემა პავანიზაციი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

# ՖՐԱՆԳԻ

2018 Երևան Ուղարկում ճամանակակից պատճեն



# RAFALE

## ფრანგული ავიამაშენებლობის სისახლი

1970-იან წლებში მსოფლიოს წამყვანმა საავიაციო ქვეყნებმა საბრძოლო ავიაციაში მიღებული საფუძვლიანად შეცვალეს, რადგან განსხვავებული ტიპისა თუ დანიშნულების თვითმფრინავების ექსპლუატაცია ძალიან შრომატევადი გახდა და კიდევ უფრო მეტი მატერიალურ-ტექნიკური დანახარჯი მოითხოვა.

უნივერსალური მრავალმიზნობრივი საფრენი აპარატი კი საქმეს ბევრად აიოლებდა. ასეთი მიღებული მიმსახურების გამარტივებასთან ერთად, ავიაციის საბრძოლო შესაძლებლობებსაც აფართოებდა. ფრანგული Rafale, რომელიც საკუთარ კლასში დღეს ერთ-ერთ საუკეთესო საბრძოლო თვითმფრინავია, სწორედ იმ ახალი კონცეფციის შედეგია.

1980-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთის სამხედრო ავიაბარკი 10-მდე სხვადასხვა ტიპის საბრძოლო თვითმფრინავს ითვლიდა. მოიერიშე თვითმფრინავების დანიშნულებას SEPECAT Jaguar-ი და Mirage F1CT ასრულებდნენ. Mirage F1C და შეიარაღებაში 1978 წელს მიღებული Mirage 2000 ტიპის გამანადგურებელი ჰაერსანინააღმდეგო თავდაცვაზე იყვნენ ორიენტირებულნი, ხოლო მზევერავის ფუნქციები Mirage F1CR-ს ეკისრებოდა. დაახლოებით იგივე სურათი იყო ფლოტში, სადაც საგემბანო ავიაციაში შემტევ, თავდაცვით და სადაზვერვო ფუნქციებს Super Estandard-ი, F-8P Croussader-ი და Estandard IVP ასრულებდნენ...



# „ლატობის წყლების“ ისტორია

„თუ გიდეა იყო ლამაზი  
ქალი, უდეა დალიო  
ლალიძის ფყალი“

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს,  
მიტროფანე ლალიძისა და მის  
საყოველთაოდ ცნობილი „ლალიძის  
წყლების“ შესახებ ცოტაოდენი რამ  
ვიცით. ქართული ღვინის შემდეგ კველაზე  
ცნობილი ქართული სასმლის ბრენდს,  
რომელსაც თავის დროზე ღვევშებს  
უძღვნიდნენ სერგეი ესენინი, ვაკენი  
ვატუშენკო და ფაზილ ისკანდერი, საკაოდ  
რთული ისტორია აქვს. თუ პოლიტიკური  
გარემოებების რადიკალური ცვლილებები დამღუპველი აღმოჩნდა როგორც რუსეთის  
იმპერიაში დაბანდებული უცხოური კაპიტალისთვის (მაგალითად, ნობელების,  
სიმენსებისა თუ როტშილდების), ასევე ანტრეპრენიარულ წამოწებებისთვის,  
მიტროფანე ლალიძის საშმიანობა გამონა კლიის წარმოადგენს. მიუხედავად რუსეთის 1917  
წლის რევოლუციისა, ცარიზმის დამხობისა, საბჭოთა კავშირისა და ახალი ეკონომიკური  
ფორმაციის შექმნისა თუ სტალინის პორქისა, „ლალიძის წყლები“ წარმატებულად  
საქმიანობდა მთელი XX საუკუნის განმავლობაში.

მიტროფანე ერმალოს ძე ლალიძე 1869 წლის 22 ივნისს სოფელ ჭოლევში (დღევან-დელი წყალტუბის მუნიციპალიტეტი, იმერე-თი), დარიბი აზაურების ოჯახში დაიბადა. 14 წლისა მშობლებმა ქუთაისში სამუშაოდ გაგზავნეს, სადაც შეგირდად მოწევო პეტრე ყოყოჩაშვილისა და პოლონელი ცეზარ ივანოვსკის აფთიაქში. წამლების გარდა, ივანოვსკი ქუთაისში წვენებსაც ამზადებდა და მისი გარდაცვალების შემდეგ, სასმლის წარმოება უკვე მიტროფანე ჩაიბარა.

## ალმავალი გიზენი

მან დაიწყო საზღვარგარეთიდან შემოსული სხვადასხვა ესენციებისგან გამაგრილებელი სასმელების დამზადება, ასევე, ექსპერი-მენტების მოწყობა სხვადასხვა ბუნებრივი ბალაზისა და ხილის ნედლეულისგან. 1887



მატოფოს  
ლალიძე

მიტროფანე  
ლალიძე

წელს ლალიძემ ნატურალურ პროდუქტებზე დაფუძნებული ხილის წყლების საინტერესო რეცეპტურა შექმნა. იმავე წელს მიტროფანემ ხილეულის სასმელების წარმოების ამხანაგობაც დაარსა. სასმელი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ქუთაისში ლიმონასს მეთულუხები გასაყიდად დროგებით დაატარებდნენ. ლალიძის პირველი სარეკლამო ფრაზა, რომელსაც მედროვები ქუჩა-ქუჩა გაპყვირდნენ, იყო: „თუ გინდა იყო ლამაზი ქალი, უნდა დალიო ლალიძის წყალი“. ბოთლის ფასი 1 შაური იყო, რაც დაახლოებით უდრის 0,85 გრამ ვერცხლს, ან 10 გრამ სპილენძს.

ამხანაგობის დაარსების შემდეგ, ლალიძე ლიმონათის წარმოების შესასწავლად 1902 წელს საფრანგეთსა და გერმანიაში გაემგზავრა. მან პირველმა გამოიყენა ჩამოსასხმელი წყლის გაცემილშობილების მეთოდი. თუ ადრე

წყალს მხოლოდ ესენციით ამზადებდნენ, მან ესენცია ნატურალური ხილის ვაჟინით (სიროფი) შეცვალა. ეროვნული წელის სარეკლამო სახე ჩიხტიკობიანი ქალი იყო. ეტიკეტზე მხატვარმა გიორგი ზაზიაშვილმა მიტროფანეს დედა გულჩინა უგრეხელიძე დახატა. ბოთლი საფრანგეთში მზადდებოდა, სარეკლამო კონსულტაციებსაც ფრანგები უწევდნენ. ახალი სარეკლამო ფრაზა იყო: „ერიდე სიყალტეს და მოითხოვე კველგან“.

სასმლის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიტროფანეს მხოლოდ საუკეთესო პროდუქტი სჭირდებოდა. შესაბამისად, საქართველოს მაშტაბით მას მოუწია მოექბნა ნედლეულის საუკეთესო წყაროები. მაგალითად, ვაშლსა და ატამს მხოლოდ გორში ყიდულობდა, მარწყვა და ჟოლოს — ბაკურიანში, ციტრუსს — აფხაზეთში, აღუბალს — კასპში, ვარდს კი ლაგოლექის ნაკრძალიდან იძენდა.


გამაგრილებელი სასმელების ცცირე ქარხანა მიტროფანებ ქუთაისში 1900 წელს დაარსა. კრედიტები მას მსოფლიოს დიდ ბანკებში ჰქონდა გახსნილი. 1902 წლის ოქლისში კი ლაბიიძემ გახსნა ქუთაისში საკინულე და სასმელი წყლების ახალი ქარხანა. აღსანიშნავია, რომ ქარხანა „ელექტრონით“ იყო განათებული. სხვადასხვა მონაცემებით, საწარმოს დღეში „300-500 ფუთამდე ყინულის მოშადება შეუძლიან“.


ლადიძის ფინანსები ეჭვს ბადებდა რუსეთის იმპერიის მესვეურებში. განსაკუთრებით, იმის გამო, რომ ლადიძე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სახოგადოების“ აქტიური წვერი იყო. ანტისამთავრობო საქმიანობაში ჩართვის ეჭვის გამო, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკიმ ლაბიიძეზე საგანგები მეთვალყურეობაც დაწესა. მიტროფანეს უფრო მძიმე ბრალდებებსაც უყენებდნენ. საქართველოს საისტორიო არქივში ინახება 1908 წლით (მარტი-აპრილით) დათარიღებული ქუთაისის უანდარმერიის სამმართველოს ძიერ შედგენილი რამდენიმე საიდუმლო საბუთი. ამ დოკუმენტების მიხედვით, მისი ქუთაისის ქარხნის მისამართი გამოიყენებოდა საზღვარგარეთ მყოფი რესი და ქართველი ანარქისტების მიერ, საქართველოში თავის თანამებრძოლებიან დასაკაშირებლად. როგორც ჩანს, ეს ბრალდება არ იყო საფუძველს მოკლებული, რადგან მიტროფანეს მა მიხეილი ანტისამ-



რეკლამები  
ქართული  
და რუსული  
ფრაზებით

ქუთაისში  
ახალი  
სასმელი დიდი  
პოპულარობით  
სარგებლობდა





გოლოვინის გამზირშე „ლადიძის წყლების“ მაღაზია 1906 წელს გახსნა (ზემოთ). მაღაზიის ინტერიერი XX საუკუნის დასასრულის (ქვემოთ)



თავრობო საქმიანობაში მონაწილეობის გამო არსანგელს სკის ოქტომბერში გადაასახლეს და უანდარმერიის მიერ ხან ანარქისტ-კომუნისტების, ხან კი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიების სიაში იყო შეკვენილი.

1905 წელს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხარდაჭერით მიტროფანე ლალიძემ დაიწყო გამაგრილებელი სასტერი გოლოვინის (დღვევანდელი რუსთაველის) გამზირის №24-ში. 1906 წელს

კი იმავე ადგილას გახსნა „ლადიძის წყლების“ მაღაზია. აღსანიშნავია, რომ ლადიძის ქარხანა იყო ერთ-ერთი პირველი ამიერკავკა-სიაში, რომელმაც მუშებისთვის 8-საათიანი სამუშაო გრაფიკი შემოიღო.

1906 წელს ტფილისში ბიზნესის წამოწყებისას, ქალაქში უკვე არსებობდა ორი ხილეულის ქარხანა. პირველი ცნობილ აუთია-ქარ-პროექტორ ვეგენი ზემელს ეკუთვნოდა, მეორე კი ვინმე მამულოვს. გადმოსვლიდან 4 წლის შემდეგ, 1910 წელს, ამ ქარხნებმა ვერ გაუძლეს ლადიძის მძლავრ კონკურენციას და ბიზნესის შეწყვეტამ მოუწიათ. უანდარმერიამ მიტროფანე ტფილისში მაღაზიის გახსნიდან ცოტა ხნის შემდეგ, დააპატიმრა. ზოგი ცნობის მიხედვით, ოფიციალური მიზეზი იყო მაღაზიის აბრაზე ჯერ ქართული და შემდეგ რუსული წარწერის განთავსება. მიტროფანეს მეუღლე ლომიბადამ დახმარების თხოვნით მიმართა ილია ჭავჭავაძეს და ამჯერადაც ამ უკანასკნელის უშუალო შუამდგომლობით, ლალიძე დაჭერას გადაურჩა. ილიას ამისთვის ქართველ ინტელიგენციაში ხელმოწერების შევრიცება დასჭირდა.

მიტროფანე მეცნიერატიც იყო. მის მიერ დაარსებულ გამოწევლობაში იბეჭდებოდა იმ ღროის ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებები. მისი უშუალო დაფინანსებით გამოიცა აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ და „ნათელა“; 1898 წელს გამოიცა ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“, აკაკი წერეთლის „მომაკვდავის ჩვენება“ და ვახტანგ ორბელიანის „იმედი“. მიტროფანეს მიერ 1908 წელს აკაკი წერეთლის ლიტერატურული მოღაწეობის 50 წლისთავისთვის ქუთაისში დაიბეჭდა საიუბილეო კრებული, რომლის ყდაზე ქერა: „მთელი ამ გამოცემის შემოსავალს ნიშნად ღრმა პატივისცემისა ვუძღვნი იუბილარს აკაკის 50 წლის მოღვაწის სახსოვრად“. ლალიძე თვითონაც წერდა გაზეთ „ოვერიაში“, „კვალში“, „დროებაში“ და სხვაგან.

მისი უშუალო მხარდაჭერით დასავლეთ საქართველოში აშენდა პირველი ელექტროსადგური. ლალიძემ ქუთაისის ბანკის მმართველის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, კირილე ლორთქითანიძის დახმარებით საფრანგეთიდან ელექტროსადგურისთვის საჭირო დანადგარების შესაძენად საკმაოდ დიდი კრედიტი მიიღო და 1904 წელს აშენებულმა

სადგურმა ქალაქ ქუთაისს ელექტროგანათება პირველად მისცა. შემდეგ ლალიძემ საფრან-გეთიდან მაცივარ-დანადგარები მიიღო და პირველმა დაიწყო საქართველოში ხელოვნური ყონულის დაზადება. მის სახელთან არის ასევე დაკავშირებული ქუთაისში ბარიტის წარმოება.

„ლალიძის წყლები“, ტფილისში გაღმოსვლას შემდეგ, მთელ საქართველოში გახდა პოპულარული. მიტროფანეს ნაწარმა საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა, როცა 1913 წელს ვენის საერთაშორისო გამოფენაზე ჯილდო ოქროს მედალი მიიღო. ასევე უმაღლესი ჯილდო ერგო 1914 წელს პეტერბურგში გამართულ ჰიგიენურ გამოფენაზე საუკეთესო ზილეულის სასმლის დამზადებისთვის (მოგვიანებით კომუნისტებმა მას ორივე ჯილდო ჩამოართვეს). ლალიძის წყლებით მოიხიბლა რუსეთის სამეფო ოჯახიც და 1917 წლის რევოლუციამდე მიტროფანე ლალიძე საიმპერატორო კარის ექსკუზიური მიმწოდებელი შეიქნა.

## „ლალიძის წყლები“ და აოლიტიკოსები

1921 წელს, გაურკვეველ ვითარებაში, ლალიძის ქარხანა ხანძარმა გაანადგურა და მიტროფანე იძულებული გახდა, სასმელები საკუთარი სახლის სარდაფში ეწარმოებანა. იმის შესახებ, რომ წარმოება არ შეწყვეტილა, სხვადასხვა საგაზეოთ ცნობა იტყობინება. მდგომარეობა 1927 წლამდე არ შეცვლილა, როცა ლალიძემ ქარხანა კლარა ცეტკინის ქუჩაზე ახლად შესყიდულ შენობაში გადაიტანა. დირექტორი თავად მიტროფანე იყო და იმ დროის სტანდარტებით, ქარხანა საქმიან კარგად იყო აღჭურვილი. გამოიყენებოდა მოწინავე ტექნიკოლოგიები და 1934 წელს, პირველად საქართველოში, ნახშირმჟავა აირის წარმოება დაიწყო.


მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გასაბჭოებამ ლალიძის ბიზნესს დიდი პრობლემები შეუქმნა, პროდუქციის წარმოება ქარხნის ნაციონალიზაციის შემდეგ კვლავინდებურად აღდგა 1917-წლამდელი მასშტაბებით. 1934 წელს უკრაინის მთავრობამ მიტროფანე კაევში მიიწვია. ის ასევე მიიწვიეს მოსკოვისა და ლენინგრადის ლიმონატების ქარხნებში, არაერთხელ მიიპატიუეს ირანში, ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში, რათა იქ საკუთარი წარმოება გაქმნა, თუმცა ამაზე უარი თქვა.


არსებობს მონაცემები, რომ 1945 წელს იალტის კონფერენციის დროს მაგიდაზე ლალიძის წყლები იდგა. სასმლის განსაკუთრებულ მოყვარულთა შორის აღმოჩნდა აშშ-ის პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი, რომელმაც შინ ამერიკაში ლალიძის წყლების 2000 ბოთლი წაიღო. თვით სტალინიც უპირატესობას ანიჭებდა ლიმონათს, ანუ გამაგრილებელ სასმლს.

„ლალიძის წყლები“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა კომპარტიის ელიტას წევრებს შორის. მაგალითად, „ლალიძის წყლების“ ქარხანაში საბჭოთა კავშირის დროს ცალკე განყოფილება მუშაობდა ქვეყნის მმართველი კლასისთვის ლიმონათის დასაშაბადებლად. სასმელები მოსკოვში ორშაბათობით მიღიოდა და არსებობს მონაცემები, რომელი ლიდერი სასმლის როგორ სახეობას ანიჭებდა უპირატესობას. მაგალითად, ნიკიტა ხრუშჩოვი ფორთობელისა და მსხლის სასმელებს ამჯობინებდა; ლეონიდ ბრუნევი — მსხლისა და ტარხუნის; მიხეილ კალინინი — ფორთობელის; ანასტას მირიანი — ლიმონისა და მსხლის (თვითონ მიტროფანე ლიმონის ლიმონათის მოყვარული იყო).

მსოფლიოს დიდ პოლიტიკოსებსაც არ დაუმალავთ „ლალიძის წყლებით“ აღფრთოვანება. უინსტონ ჩერჩილმა თავის მემუარებში,

მიტროფანე  
ლალიძე





„მთითხუფუ ვედუგა წყალი, მ. ლადიძის.  
გაუფრთხილდით ხედალებე“



1943 წლის ოქტომბრის კონფერენციაზე საუბრისას, აღწერა ლადიძის ლიმონათის უნიკალური გემო. 1952 წელს, აშშ-ის პრეზიდენტი ჰარი ტრუმენის მიერ მოსკოვში საჩუქრად გამოგზავნილი 1000 ბოთლი „კოკა-კოლის“ პასუხისმგებელი ადგინდა. ამ უნიკალური გემო და მისი ლიმონა მოსკოვში გამოიშვებულ იქნა. 1953 წელს სამინისტროს მიერ მოსკოვში გამოცემულ გამაგრილებელი სასმელების კრებულში 90% მიტროფანე ლადიძის რეცეპტურაზე იყო დაფუძნებული. კომუნისტებს სურდათ „ლადიძის წყლების“ ქსელის გაფართოება, ეგონათ, რომ ამით მოსახლეობაში ალკოჰოლური სასმელების მოხმარება შემცირდებოდა. ფილიალები გაიხსნა მოსკოვში, არბატზე და უკრაინაში (თბილისის პარალელურად, ლადიძი 1930 წელს, სოხუმში, ნესტორ ლაკობას ინიციატივით ააშენა და წარმოებაში გაუშვა ხილულის წყლების ქარხანა). 80-იან წლებში საბჭოთა კავშირში შშრალი კანონის ამოქმედების შემდეგ ლადიძის ლიმონათი „კახური“ გაყიდვიდან ამოიდეს — სასმელში მცირეოდენი ალკოჰოლის არსებობის გამო. ქართველი კომუნისტების ინიციატივით, ლადიძის თბილისის ქარხანაში სპეციალური სამეცნიერო აშენდა, სადაც სამი დასახელების ლიმონათი: ლიმონი, ფორთოხალი და სიტრო შხადებოდა...

მერიას წინ დაემზადებინა). მაშინ მიტროფანე 82 წლის იყო. სტალინის ბრძანებით ჩამოსხმულ წყალს „ლიმონათი“ დაერქვა და ის ხილის ასორტისგან იყო დამზადებული. ახალი სასმლის დეგუსტაცია მოსკოვში, სტალინის ავტოქარხანაში მოწყობი. სასმელი ქარხნის 120 მუშას გასინჯეს და მოწონებაც დაიმსახურა. საბოლოოდ, ამერიკაში გაიგზავნა მსხლის, ლიმონის, ქლიავისა და შოკოლადის სასმლის დიდი პარტია. ტრუმენს „ლადიძის წყლები“ ძალიან მოწინა.

ამერიკის პრეზიდენტის პასუხით კაცუხით კაცუოფილმა სტალინმა იმავე 1952 წელს მიტროფანე ლადიძი დანიშნა საჭიროა კავშირის კვების მრეწველობასთან არსებული „გლოგურუქტვოდის“ გენერალურ კონსულტაციად. ამ თანამდებობაზე მას ვალებოდა სსრკში გამოშვებულ სასმელებზე კონტროლი და ხარისხის გაუმჯობესება. სამინისტროს გამოცემულ გამაგრილებელი სასმელების კრებულში 90% მიტროფანე ლადიძის რეცეპტურაზე იყო დაფუძნებული. კომუნისტებს სურდათ „ლადიძის წყლების“ ქსელის გაფართოება, ეგონათ, რომ ამით მოსახლეობაში ალკოჰოლური სასმელების მოხმარება შემცირდებოდა. ფილიალები გაიხსნა მოსკოვში, არბატზე და უკრაინაში (თბილისის პარალელურად, ლადიძი 1930 წელს, სოხუმში, ნესტორ ლაკობას ინიციატივით ააშენა და წარმოებაში გაუშვა ხილულის წყლების ქარხანა). 80-იან წლებში საბჭოთა კავშირში შშრალი კანონის ამოქმედების შემდეგ ლადიძის ლიმონათი „კახური“ გაყიდვიდან ამოიდეს — სასმელში მცირეოდენი ალკოჰოლის არსებობის გამო. ქართველი კომუნისტების ინიციატივით, ლადიძის თბილისის ქარხანაში სპეციალური სამეცნიერო აშენდა, სადაც სამი დასახელების ლიმონათი: ლიმონი, ფორთოხალი და სიტრო შხადებოდა...

მიტროფანე ლადიძი 1960 წელს გარდაიცვალა 91 წლის ასაკში. ქარხნის ეზოში მას ძეგლი დაუდგეს. მას და მის მეუღლეს ოლიმპიადა გახანიას 5 შევილი ჰყავდათ და ოჯახი მრავალი წლის განმავლობაში თბილისში, კონსერვატორიის წინ ცხოვრობდა. ბოლოს, ისიც უნდა ითქვას, რომ ლიმონათის გარდა, მიტროფანეს ასევე შემუშავებული ჰქონდა ლიქიორების რეცეპტურა, რომელიც, სამწუხაოდ, წარმოებაში არ დანერგილა.

## ვაიო ავდალიანი



## თურქეთის ლაზები და ეროვნული აღმის კროგლება

არაფის (არქებე) რაიონის სოფელი როთაჭალა. თამარ მეფის წევილი ხიდი. გიორგი კრუგერშვილისა და ზურაბ განილიშვის 2014 წლის ექსპლიცია. თამარ კრუგერშვილის ფოტო. ხიდზე დგანან გიორგი კრუგერშვილი და ზურაბ განილიშვი

**ლაზეთი (ჭანეთი),** საქართველოს ეს ძირძველი მხარე, ხუთი საუკუნის განმავლობაში თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული. XIX-XX საუკუნის მხოლოდ მცირე მონაკვეთებში ვფლობდით რამდენიმე ლაზურ სოფელს, ზოგჯერ ნახევარ ლაზეთსაც. თუმცა, 1926 წლიდან საქართველო მხოლოდ სარფის ნახევარს ფლობს. გონიოში, კვარიათსა და ბათუმში მცხოვრები ლაზების უმეტესობა სარფიდან ან ლაზეთის სხვადასხვა სოფლიდან არის გადმოსახლებული (1920-იან წლებამდე). აფხაზეთში ლაზების დიდი დასახლება არსებობდა.

თურქეთში მცხოვრებ ჭანებს თავიანთ წარმომავლობაზე ბენდოვანი წარმოდგენა აქვთ ბევრს თავი შეუა აზიდან მოსული თურქი ჰერინია; ნაწილის აზრით ცალკე ეროვნებაა, არც თურქი და არც ქართველი; და მხოლოდ მცირე ნაწილი აღიარებს ქართულ წარმომავლობას. არადა, ვერსად გავაქცევთ იმ ფაქტს, რომ გუდასტევირზე, რომელსაც ლაზები „გუდას“ უწოდებენ, ქართული მრავალ ხმანობა ჟღერს და ჭანური მუსიკის ქართულობა დღესაც კი მხოლოდ გუდასტევირით არ შემოიფარგლება. მართალია, ლაზურ მუსიკაში ქართული მრავალ ხმანობა მხოლოდ გუდასტევირმა შემოინახა, მაგრამ ლაზური ერთ ხმანი სიმღერების მელოდიების უმეტესობაც რომ ქართულია და საქართველოს სხვა კუთხების სიმღერებს ჰავას, ესეც ფქტია.

ლაზი მასწავლებლებისა და კულტურის მოღვწეების მიერ პირად საუბრებში გამოხა-

ტული ანტიქარიული პოზიციებისა და მათთ მუსიკის ქართულთან ყოველგვარი კავშირის უარყოფის მიუხდავდ, მათსავე ნამღერსა და დაკრულში ქართული მუსიკა მაინც ჟღერს. როცა ლაზური მუსიკის შემქრებს, ანტიქართველ ბიროლ თოფალობლუს გუთხარი, რომ სარტშიც 1970-იან წლებამდე ლაზური სიმღერა-რა ერთ ხმაზე იმღერუბოდა და შემდომ გამრა-გალ ხმიანეს-მეთქი, სიხარულით ცას წია — აი, შენ თვითონვე წამოგცდა, რომ ლაზებს არც მრავალ ხმიანობა გვქონიათ. მაგრამ მისი სიხარული ნააღრევი იყო. როცა ბიროლს შევახსენ ძევლი ცნობები და ვკითხე, მაშინ გუდასტევირზე ქართულ მრავალ ხმიანობას როგორ უკრავთ, თუკი თქვენთვის ყველაფერი ქართული უცხოა-მეთქი, ამის პასუხი ვეღარ გამცა. სწორედ ასეთი ანტიქართველი ლაზები თურქეთში წიგნებსაც და უურნალ-გაზეთუ-



პაშარ გენჩი გულასტვირთის ქალქი ფაზარი (ათანა). გიორგი კრავეიშვილისა და ნაზი მებიშვილის 2014 წლის ექსპერტი. თამაზ კრავეიშვილის ფოტო

საც გამოსცემენ, სადაც წერენ, ქართველები კოლხების მტერნი არიანო. მართალია, არიან ქართული ორიენტაციის ლაზებიც, თუმცა მათი რესურსები ძალიან შეზღუდულია. ისინი, ანტიქართველი ლაზებისგან განსხვავებით, ვერც წიგნებსა და უურნალ-გაზეობს ბეჭდავენ.

თურქი ეთნომუსიკოლოგები (ოშგე დენიზჯი, აბდულაჰ აკატი) ლაზებს ქართველებად არ მიიჩნევენ. მეტიც, ეთნომუსიკოლოგები და სხვა დარგის მეცნიერებიც ტერმინ ლაზეთისა და ლაზისტიანის თვითანთ ნაშრომებში მხოლოდ გაგრით ახსენებნ და ძირითადად წერენ სიტყვა „ქარადენიზს“, რაც ქართულად შავ ზღვას ნიშავს. ტერმინ „აღმოსავლეთ შავიზღვისპირების“ გამოყენებით ჩქმალავენ ეროვნულ საკითხს. წერენ იმასაც, რომ თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონში (სინამდვილეში ლაზეთში) ცხოვრობენ ლაზები, პონტოს ბერძნების ლაზები), პეტშინები (გასომხებული მუსლიმანი ლაზები) და ა.შ. თუკი სხვა ეთნიკური ჯგუფები ლაზეთში მართლაც არიან, მათი წილი უმნიშვნელოა. სამაგიეროდ,

არსად არ არის ნახსენები, რომ პეტშინებისა და პონტოს ბერძნების დიდი ნაწილი გენეტიკურად და მუსიკალურადაც ლაზები არიან და თურქ მეცნიერთა არგუმენტი ლაზეთის თითქოსდ ეთნიკური სიჭრულის, აგრეთვე ტერმინ „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის“ ხსნების მართულობის შესახებ, უსაფუძვლოა.

ზემოთ კოლხეთის თუმა ვახსენე — საინტერესოა, ვინ აწედის ინფორმაციას ლაზებს, რომ თთქოს ქართველები მეტრულებისა და ლაზების მტერნი ვართ (ანუ არც მეტრულია ქართველი, მათი აზრით). უნდა ვთქვა, რომ ჯერ კიდვე 1929 წელს სოხუმის ლაზური სკოლების ინსპექტორის, ვინები ისკანდერ ციტაშის მიერ დაარსებულ გაზეთ „მჭიდარი ლაზისტანში“ („წითელი ლაზეთი“), საუბარია ლათინური ანბანის ბაზაზე მის მიერვე გამოგონილ გითომ ლაზურ ანბანსა და ლაზების არაქართველობაზე. განეთი თურქეთის ლაზეთშიც იგზავნებოდა. ამ დროს საეჭვოდ ემთხვევა სამეცნიეროში ისაკ უვანიას მიერ „ყაზახიში გაზეთი“ („გლეხის გაზეთი“) გამოცემა და ავტონომიის მოთხოვნა. ორივე მიმართულებით აქტიურობა შეწყდა 1937-1938 წლებში ციტაშისა და უვანიას დახვრუტით. მაგრამ განახლდა 1990-იან წლებში, როცა საქართველო დიდ ეკონომიკურ სიღრძეს მიერ და იყო.

ისაკ უვანიას საქმეს წარმატებით განაგრძობენ იური ლვინჯილია, ზურაბ კვარაცხელია, ზაზა და ზაალ ჯალაღონიები, გიგი ქარჩავა და მმანა მათნი, რომლებიც საბედნიეროდ, ბევრი არ არიან და მეცნიერები მათ სერიოზულად არც კი აღიქვემდენ, მაგრამ ასე არ არის ლაზეთში. ამ ხალხს იქ თურქეთის ლაზების სახით განსაზღვრული დასაყრდენი აქვს. ხშირად მიდიან ლაზეთის ქალაქებსა და სოფლებში, სადაც აწყობენ ღონისძიებებს, შემდგომ კი სეპარატისტი ლაზები სამეცნიეროში, ძირითადად, ზუგდიდში ჩამოჰყავთ. საინტერესოა, საიდან აქვთ ლვინჯილია-ჯალაღონია-კვარაცხელიებს იმდენი ფინანსური რესურსი, ასე ხშირად იარონ ლაზეთში და ღონისძიებები გამართონ? საქართველოს სახელმწიფო რატომ არ იძიებს ამგვარ საქმეებს? ამავე დროს მეცდა სხვასაც, მათ შორის, მეცნიერებას სახელისუფლებო ორგანოებთან რატომ გვაქვს სახელწარი ლაზეთის ექსპერიციების დაფინანსება?! ლაზეთის ისტორიისა და კულტურისადმი მიღვწინილი წიგნების თურქულად თარგმნა-გურულების ფინანსები რატომ არ არსებობს?! ქართველ მეცნიერთაგან უსახს-

რობის გამო თითქმის არ არის ჩაწერილი მუჰაჯირი ლაზების მეტყველება, სრულიად დაუფიქსირებელია სიმღერა-დასაკრავები (არადა, შესაძლოა მუჰაჯირ ლაზებს ჯერ კიდევ ახსოვდეთ ორიოდე მრავალ ხმიანი სიმღერა, რაც ქართულ ფესვებთან მათ უფრო დაახლოებს) და ცეკვები, რატომ არ იხდის სახელმწიფო ამაში განსაზღვრულ თანხას? რატომ არ აძლევს ხელისუფლება მოქალაქეობას თურქეთის პროქართულად განწყობილ ლაზებს?! ეგეპ თურქეთის ლაზები დაად იძიტომაც ერ ქართველობენ, რომ თურქეთის სახელმწიფოში პრობლემებს ერიდებიან და არც საქართველოდან დახმარების მიედი აქვთ?

გავიხსენებ ერთ ფაქტს: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა 2016 წელს არ აფინანსებდა სარფის ფოლკლორულ ანსამბლ „კოლხას“, რის გამოც „კოლხა“ დაშლის პირას იყო. ჩემი (წერილი გაზეთ „აჭარის“ 16 იანვრის ნომერში) და გიორგი უშიგიშვილის (გადაცემა „სხვა შუადღე“) ჩარევით გადაწყდა სარფის ანსამბლის დაფინანსება, არადა, წერილით გაფრთხილებდი გამგეობას, რომ ანსამბლის დაშლის შემთხვევაში ანტიქართველი ლაზები კიდევ ერთხელ აღნიშნავდნენ, თუ როგორ ეპყრობიან დამპყრობელი ქართველები ლაზებსა და მათ კულტურას! საბედნიეროდ, ჩარევის შედეგად „კოლხა“ დღემდე არსებობს და თავისი სიმღერებით არაურთი მსმენელ-მაყურებელი გაახარა. სამწუხაროდ, კვლავ უყურადღებოდ არიან მიტოვებული არა

მარტო ლაზები, არამედ სხვა ქართველებიც. ჯერ კიდევ 2016 წლის ივნისში უკრნალ „ისტორიანში“ (№66) დაიბეჭდა ჩემი წერილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში ინგილოური მუზეუმის დაარსების თაობაზე, თუმცა, დღესაც არაფერია გაკითხული...

საინტერესოა, რომ იური ღვინჯილია და მისი მეკობრები, რომლებიც გაპყირიან სამეცნიელოს რამდენიმე სოფლის ტოპონიმიკის გადაქართულებაზე, ლაზური სოფლების სახელწოდების თურქულად შეცვლის ფაქტზე არაფერს ამბობენ. არადა, თუ სამეცნიელოში სოფლების მეთევდსაც არ ექნება სახელი შეცვლილი, თურქეთის ლაზური სოფლების 90-95% პროცენტი მაინც თურქულ სახელწოდებას ატარებს, როცა მოსახლეობის უმეტესობამ ძველი ლაზური სახელები იცის. რატომ არ ითხოვნ ღვინჯილია-ჯალაღონიები თურქეთისგან კოლხური ტოპონიმიკის აღდგენას?! როცა გაპყვირიან თითქოსდა მეგრულის დაკარგვის საშიშროებაზე და მეგრულენოვანი რაღიოსა და ტელვიზიის გახსნას ითხოვენ, ასევე, სკოლაში მეგრულენოვან სწავლებას, ამ დროს კი არაფერს ამბობენ ე.წ. ლაზურ (სინამდვილეში ლათინურ) ანბანსა და ლაზური ენის დამახინჯებაზე — იმ ბგერების დაკარგვაზე, რომლებიც ლაზურად გამოითქმება, მაგრამ ლათინური ანბანით გამოსახუა გართულებულია?! ჩემთვის ისიც საწყინია, რომ ქართულ მეცნიერებაში არსებული ორი ურ-



მეტედ ათასჩ, ჯორჯან შენოურ (ვუდაზე) და ჩანი შენლი. ქალაქი ფონდაკლი (განე). გიორგი კრავეშვილისა და ნაზი მემიშვილის 2014 წლის ექსედიცია. თამაზ კრავეშვილის ფოტო

თიერთგამომრიცხავი მოსაზრების გამო (მეცნიერთა მცირე ნაწილი მეგრულს, ლაზურსა და სგანურს ქართული ენის დიალექტებად თვლის და არა ქართველურ ენებად) მეცნიერთა შორის დაძაბული ურთიერთობაა, რადგან სეპარატისტები ამასაც სათავისოდ იყენებენ. კარგი იქნება თუ ქართულ ტელევიზიებში გარკვეული ადგილი დაეთმობა მეგრულ, ლაზურ, სვანურ და სხვა კუთხების ზღაპრებს, ლექსებს, მეტყველებას, ასევე საქართველოს ყველა სკოლაში ერთ-ერთ საგნად თუ ისწავლება ქართველური ენების კურსი, რომელშიც გადასცემში ზოგად ცოდნას მეგრული, სვანური და ლაზური ენების შესახებ. ასევე მისაღებად, თუ გონიოს, სარფისა და კვარიათის სკოლებში ლაზური ენა ცალკე საგნადაც იქნება, რადგან საქართველოში ცოტა ლაზი ცხოვრობს და ბავშვებს ლაზურად მეტყველება მართლა უჭირთ, მაგრამ მეგრულ და სვანურენოვანი რადიო-ტელევიზია, სკოლა და ა.შ. მოუღებლად მიმაჩნია.

კიდევ ერთი დასანანი ფაქტი: რაც თავი მახსოვეს, არც შეკარდნაძის, არც სააკაშვილისა და არც დღვეუნდელი ხელისუფლების დროს არავის უხსესებია 1949 და 1951 წლებში აფხაზეთიდან ციმბირსა და შუა აზიაში გასახლებული ლაზები. ცნობილია, რომ 1921 წლამდე ლაზეთის არაერთი სოფლიდან ეკონომიკური სიღუბჭირის გამო წამოსული მოსახლეობა აფხაზეთში სახლდებოდა. ისიც ცნობილია, რომ ობამჩირისა და სოხუმის რაიონებში იყო სოფლები, სადაც ლაზები უმრავლესობას შეა-

დაენდნენ, ზოგ სოფელში კი მხოლოდ ისინი ცხოვრობდნენ. სამწუხაროდ, გასახლებების შედგად ლაზური დასახლება მოისპო. სტალინის გარდაცვალების შემდგა ლაზების მხოლოდ მცირე ნაწილი დაბრუნდა. ეს საქართველოს საერთოდ არ ახსოუს, სეპარატისტი ლაზები კი ამასაც ჩენს, ქართველებს გვაძრალებენ.

გამოსავალი საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ლაზებით დაინტერესებაშია. მასობრივად უნდა ფინანსდებოდეს ლაზური ეთნოგრაფიის, ძეგლების, მუსიკისა და მეტყველების შემსწავლელი ექსპედიციები. თურქულად უნდა ითარებობოდეს და ვრცელდებოდეს არა მარტო ლაზებიან, არამედ ქართველებთან დაკავშირებული ლიტერატურა, ქართული მუსიკის უუდიო და ვიდეოჩანაწერები და სხვ. ასევე დავძინდი, რომ თურქეთის ლაზებში არის ქართულად განწყობილი ხალხი, რომელმაც ქართველობა საქართველოს ლაზებისა და მეგრულებისგან ისწავლა, ესე იგი ლაზების ქართულ სივრცესთან ინტეგრაცია შესაძლებელი ყოფილა!

რა თქმა უნდა, ლაზების პრობლემა ერთ წერილში ვერ დაეტევა, მაგრამ ჩემი მიზანი ფართო საზოგადოების ინფორმირებულობა და სახელმწიფო სტრუქტურების დაინტერესებაა.

### გიორგი პრაველიშვილი


ეთნომუსიკოლოგი, საქართველოს მოწყვეტილი ქართველების მუსიკალური ფოლკლორის მკვლევარი, ასევე ა(ა)ია ფონდ პეიამოს დირექტორი და თანადამფუძნებელი

**ლაზური სახლი ფინდიქლის რაიონის სოფელ აბუში. გორგი კრავეიშვილისა და ნაზი მემიშიშვის 2014 წლის ექსპედიცია. თამაზ კრავეიშვილის ფოტო**



# სამეცნიერო კანონი თამაში

სასწაულთმოქმედი ბერი თუ ანტიქრისტე; დედოფლისა და სასახლის კართან დაახლოებული და მრავალი დიდგვაროვანი ქალის საყვარელი; პიპინოზიორი თუ წმინდანი? იმავდროულად, ერთ-ერთი კველაზე გავლენიანი ადამიანი რუსეთში (და არა მხოლოდ)... გრიგორი რასპუტინზე უამრავი წიგნია დაწერილი, თუმცა მისი ნამდვილი სახე დღემდე ბურუსით არის მოცული. რასპუტინის ბიოგრაფია ერთ-ერთი კველაზე უწვევულოა თანამედროვე ისტორიაში. ის იყითხება, როგორც იღუმალი და სასტიკი ზღაპარი.



გრიგორი რასპუტინი  
1900-ანი წლებში  
(კარლ ბულას  
შე-ფოტო, ფოტო,  
გაფერადებული)

## გრიგორი რასპუტინი – სასტაულთმოქმედი ბერი თუ გამოცხადებული ანტიქრისტი

კველასთვის უცნობი, გაუნათლებელი ციმბირელი კაცი, ჭეშმარიტი სარწმუნოების საძიებლად გაემართა, ღვთის მოწოდებით. ჭეშმარიტებისკენ მიმავალმა გზამ ის მრავალ წელიწადს ატარა რუსეთის თვალუწვდენელ სტეპებზე, ვიდრე ბოლოს მეფის სასახლეში არ მიიღეს. მეფე-დედოფალი აღფრთოვანებული დარჩა მისი ღვთისმონისაბით, ადამიანის სულის შეუცდომელი წვდომით, უბრალო და პირდაპირი მდაბიური მანერებითა და წეს-ჩვეულებებით მან სასწაულებრივად იხსნა მეფის ერთადერთი ვაჟის, ალექსის სიცოცხლე, რომელიც ჰქონილით იყო დაავალებული. მაგრამ არისტოკრატებმა, რომელთაც მეტად აღიზიანებდათ მისი სასახლის კარზე პარპაში, ბოლოს მაინც მოახერხეს, ხაფანგში შეიტყუეს და მოკლეს...

გაცილებით ადრე პეტროგრადის ერთ-ერთ სარდაფში მის მოკვლამდე, 1916 წლის ბოლო დღეებში, გრიგორი რასპუტინი მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში უკვე

გახდა ჯოჯონეთის მაშხალა. ამბობდნენ, მის არაკაცობასა და ბოროტებას საზღვარი არ აქვს, ისევე, როგორც მის ავხორციელას; ვნებას ვერ იცხობს, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მშვენიერი თუ დიდგვაროვანი ქალი ჩაიგორა ლოგინშიო.

რასპუტინის მთელი არსება გლეხური ეშმაკობით ავსებულიყო. მხოლოდ მეფისა და დედოფლის საზოგადოებაში გარდაიქმნებოდა ღვთიურ კრავად. კველანაირად ცდილობდა, სამეფო ოჯახს მისი ძალმოსილება დაეჯერებინა, ერწმუნა, რომ მხოლოდ მას ძალუძა მათი შვილის დაუძლეველი სენისგან განკურნება და გადარჩენა. ამით კი იგი მხოლოდ უფლისტულს როდი იხსნიდა, მასთან ერთად თავად სამეფო დინასტიასაც გადაარჩენდა...

ამ გულუბრყვილო არისტოკრატებმა კი პირდაპირ ხელისგულზე დაუდეს რასპუტინს საკუთარი თავიცა და იმპერიაც. მანაც, ისარგებლა რა ამ ნდობით, მონარქიაც გაანადგურა და თვად რუსეთიც ნანგრევებად აქცია.

## მუშაი და ლოველასი

ლეგნდად იქცა რასპუტინის შშფოთვარე და დაუცხრომელი სექსუალური ცხოვრება, რამაც მას ჭარბოუდგენელი დიდება მოუტანა. თუმცა, არ არსებობს სანდო ისტორიული დოკუმენტი, რომელიც რასპუტინის ზღვარგადასულ ვწებიანობას დაადასტურებდა. მხოლოდ ამბობენ, რომ მის აუხორციას საზღვარი არ ჰქონდა, რომ იყი ამ საქმისათვის სულ შხად იყო...

თავის დღიურში მიხაილ როდიან კო (1859-1924), რუსი პოლიტიკოსი, რუსეთის იმპერიაში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის მომხრე, წერს, რომ რასპუტინი დედაქალაქში დამის ორგიერში მონაწილეობდა და ამ დროს ქალწულებს აუპატიურებდა. ამტკიცებდა, რომ მას აქვს უამრავი წერილი დედებისა, რომელთა ქალიშვილებსაც პატივი აპხადა ამ „საზიზღარმა მხეცმა, ცხოველმა“; რომ მასვე აქვს რასპუტინის ფოტოები, რომელებშიც იგი უამრავი თავისის მცემელი ქალის გარემოცვაშია. თავისი დიდების ზენტში რასპუტინი შეიძინა გამოპყავდათ პრესაში, როგორც ყმაწვილქალების გამრევნელი.

იქნებ მსგავსი გიუჯური, ბაზუსით გაჯერებული ორგიერბისა და ათობით პატივაყრილი ქალწულის ამბავი მართლაც მოგონილი იყოს, მაგრამ რასპუტინს რომ უამრავი საყვარელი ჰყვადა, ეს ფაქტია. მისი ქალიშვილი მარიაც კი, რომელიც აქტიურად იცავდა მამის ღირსებას, იძულებული გახდა ედიარებინა, რომ ეს ასე იყო.

რასპუტინის თანმხელები ქალები ძირითადად ემოციურად გაუწინასწორებელი, გარკვეული მოსახრებით, სულიერად ტანჯული ადამიანები იყვნენ. მათ რასპუტინისკენ იზიდავდათ მისი მამაკაცური, ძლიერი შინაგანი ძალა. გრიგორიის ისეთი იშვიათი, მგრძნობაირე და გამჭოლი შეერა ჰქონდა, ეჩვნებოდათ, რომ მან ბერად უკეთ უწყოდა მათი პრობლემები, დარდი და სწუხარი, ვიდრე თავად ამ ქალებმა. მრავალი დიდგვაროვანი ქალი საზოგადოებაში ღრის ძოსასწერენად ატარებდა თავიანთი ქმრების გვერდით, რომელებიც ცოლებს დალატობდნენ ან სულაც უგულებელყოფნენ. ეს ქალები, უბრალოდ, მარტოსულები იყვნენ, რასპუტინი კი მათ უსმენდა, ყურადღებას აქცევდა, ეალერსებოდა და ვნებიანად კოცნიდა. ასეთი მოპყრობის შედევრად ხვდებოდნენ, რომ ამ მამაკაცის ყურადღება სწორედ ის იყო, რაც მათ ცხოვრებაში ასე აკლდათ და სჭირდებოდათ.



თუ თავიდან ამ ყველაფერს ბუნებრივი და შეიძლება ითქვას, უანგარო ფორმა პქონდა, მომდვენო წლებში უკვე მოლად ასე არ ყოფილა.

მართალია, რასპუტინის ხელში უამრავმა ქალმა გაიარა, მაგრამ დროის განმავლობაში გვერდით პატარა და ერთგული ჯგუფი შემორჩა. ისინი ქმარებოდნენ ცხოვრებისეულ საკითხებში, პტერტებულების სახლის უკეთ მოწყობაში, ყოველდღიურ განრიგსაც უდგენდნენ, არ აკლებდნენ საჩუქრებსა და ფულს, ასწვლიდნენ საზოგადოებაში მოქცევის წესებს, უცვლიდნენ თეთრეულს... რასპუტინთან გატარებული დრო მათ სულებს იმედითა და სიხარულით აღავსებდა. რასპუტინს შეეძლო გამოეცნო სხვა ადამიანის ტანჯვის მიზეზი და სულ რამდენიმე სიტყვის თქმით დაეშვიდებინა, იძედი და სასოება ჩაესახა. ადამიანებმა, განსაკუთრებით, ქალებმა ირწმუნეს მისი წმინდანობის, და მას მიანდეს თავისი სული, ძალიან შეიძინა კი სხეულიც...

და მაინც, ამ ქალთა შორის არც ერთი არ ყოფილა ისე დამთრგუნველი, ნაღვლიანი, ვიდრე ოლგა ლოხტინა. ქალი ფსიქიკურად იყო დაავადებული და რასპუტინს ყველაფრის გაკეთების უფლებას აძლევდა. მართალია, კაცს აწუხებდა ქალის ასეთი თვითდამცირება, მაგრამ არ იცოდა, როგორ ან რით დახმარებოდა მას.



რუსთან მეფე ნიკოლოზ II, დედოფალი ალექსანდრა  
და მეფისწული ალექსი

პუტინისთვის ქალის ცემა შეეწყვეტინებინა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა. „ვერ მოვიშორე ეს ძუნა თავიდან, — შესჩივლა უურნალისტს რასპუტინმა, — მრუშობას არ იშლის“. ქალი კი, ნაცვლად იმისა, რომ ცემისგან თავი ქსნა, მუდარანარევ ყვაირილს განაგრძობდა: „მე შენი კრავი ვარ, შენ — ჩემი ქრისტე!“

## სალისუფალთა ეგზოგარი

გრიგორი რასპუტინის ქალიშვილი, მარია, ასე აღწერს მამამისის ურთიერთობას მეფე ნიკოლოზ II-სა და დედოფალ ალექსანდრასთან: „მამას უყვარდა მეფის ოჯახი და მისი ერთგული იყო. მათ ყოველთვის ნახად და სითბოთი მოიხსენიებდა. მაგრამ მეფის სათოებასა და სიკეთეში ის სისუსტეს ხედავდა და ამბობდა, რომ მეფე იყო „აუტანლად კეთილი და უბრალო გულის ადამიანი“. მამისგან ვიცი, რომ ის ამის შესახებ დედოფალსაც ეუბნებოდა. მამა მეფესა და დედოფლს ისე ექცეოდა, როგორც ნებისმიერ სხვას. მიმართავდა კნინიბითი ფორმით „შენ“ და არასოდეს ქედი არ მოუხრია მათ წინაშე. ვინაიდან მამას ფეთქებადი ხასიათი ჰქონდა, ზოგჯერ მეფისთვის დაყვირებასაც არ მორიცდა, ხოლო როცა განრისხდებოდა, ფქასაც კი უბაკუნებდა. ერთ დღეს მამამ უყვირა მეფეს და ისე გამოვიდა მისი კაბინეტიდან, რომ არც კი დამშვიდობებია. მისი ამგვარი გაბრაზება ხშირად იმით იყო გამოწვეული, რომ მეფე უურად არ იღებდა მის რჩევას. მამას არაერთხელ უთქვამს მეფისთვის, რომ ის უფრო ახლოს უნდა იყოს ხალხთან, რომ მეფე ერის მამა და რომ ხალხი მას ხშირად უნდა ხედავდეს. მეფე მას ისე უნდა უყვარდეს, როგორც საკუთარი მამა. მაგრამ მეფე ხალხისგან შორს ყოფნას ამჯობინებდა, ხალხი მას ვერ ხედავდა და მხოლოდ მისი სახელის ეშინოდა: თუკი ხალხი შეძლებდა მის ხშირად დანახვას, მამინ აღარ ექნებოდა მისი შიში, პირიქით, შეუყვარდებოდა. მეფეს მამასთვის ნათქვამი აქვს, რომ თუკი ისე დაიწყებდა ცხოვრებას, როგორც იყო ურჩევდა, მაშინ ხალხი არ დაინდობდა და მოკლავდა. მამა უარობდა და ეუბნებოდა, რომ ხალხი არა, მაგრამ მას ინტელექტუალები მოკლავდნენ“.

რასპუტინი ლოხტინას ქცევას არა რაიმე დაავადებას აწერდა, არამედ ეშმაკის ზემოქმედებას, რომელიც მან ვერა და ვერ განდევნა ქალის სხეულიდან.

რასპუტინის ლოხტინას ქცევას არა რაიმე

დაავადებას აწერდა, არამედ ეშმაკის ზემოქმედებას, რომელიც მან ვერა და ვერ განდევნა ქალის სხეულიდან.

ერთხელ რასპუტინის მეგობარი, უურნალისტი ალექსეი ფილიპოვი ბინაში ესტუმრა

და დაინახა, რომ რასპუტინი ოლგას ლოგინში სცემდა.

ქალი ამაოდ ცდილობდა მას ხელებით შემოხვეოდა, მეტრდში ჩაეკრა, თან


გაჰყვიროდა: „შენ დმერთი ხარ, ჩემი ლმერთი“.

ამის სანაცვლოდ რასპუტინი ზიზდით

დასძახოდა: „ესეც შენ, ძაღლო, ესეც შენ!“ და

მუშტს ურტყამდა. ფილიპოვი შეეცადა, რას-

ტო როგორც ისტორიკის ამბობენ, მარიას დახასიათება მამამისის ურთიერთობისა მეფე-



გრიგორი რასპუტინი 1900-ანი წლებში  
(კარლ ბულას ფოტო)

სა და მის ოჯახთან, სარწმუნოა. რასპუტინის ნამდვილად უყვარდა მეფე, მაგრამ კარგად ხედავდა მის უუნარობასაც და ამის თაობაზე აფრთხილებდა.

რასპუტინი არ გამოდგა რიგითი პერსონა სამეფო კარის ფავორიტების სიაში. ამ „ინსტიტუტის“ ცვალებადმა ხასიათმა და რასპუტინის პიროვნულმა თვისებებმა განაპირობეს არსებით განსხვავება მის წინამორბედებთან. რასპუტინი ნამდვილად მოვიდა „ჭაობიდან“, მაგრამ ბევრი მათგანისგან განსხვავებით, კვლავ უკან, ჭაობში არ ჩაშვებულა. თუ ადრინდელი ფავორიტები სიამოვნებით იღებდნენ ტიტულებს, ორდენებს, მიწებსა და ფულს, ის არც გამდიდრებულა, არც რამე ტიტული ან სიმძიდრე აუღია. სამაგიეროდ, არ კარგავდა კავშირს თავის ოჯახთან, თავის კლასთან და მშობლიურ სახლთან. მისგან ამას მოელოდნენ კიდეც. მისი პროტექტორები, როგორც მეფე-დედოფალი, ისე არისტოკრატი ქალები, სხვა მიზეზებთან ერთად, იმიტომაც იყენენ მასთან ასეთი ახლო ურთიერთობით დაინტერესებული, რომ მას შეეძლო ისინი უბრალო, ღვთის მოყვარულ ხალხთან დაეკავშირებინა. ის რომ თავადის ტიტულის მიღებას

დათანხმებულიყო, აღზევებულიყო, სწორედ იმას დაკარგავდა, რაც მასში იზიდავდათ. რასპუტინი კი საკმაოდ ეშმაკი და გაიძევერა გახლდა საიმისოდ, რომ ეს გარემოება არ გაეთვალისწინებინა. მას თვისი ფესვებიდან დაშორება არ ჰქოდა. ამ თვალსაზრისით, იგი სწორი არ ყოფილა. ამასთან, უკვე 1915 წლიდან იცოდა, რა დიდი საფრთხის შემცველია სამეფო ოჯახთან მჭიდროდ დახმარება.

### აპლელობის დღე

1916 წლის 17 დეკემბრის სისხამ დილით, გრიგორი რასპუტინი რუსი არისტოკრატის, ფელიქს იუსუპოვის სახლში მოკლეს და გამი მდინარე ხევის ერთ-ერთ შენაკადში გადააგდეს. ეს ამბავი საყოველთაოდ არის ცნობილი. მაგრამ რა მოხდა რასპუტინის სიცოცხლის ბოლო საათებში, ეს ამბავი თითქმის საუკუნეზე მეტი წესი შემდეგაც საეკულაციების საგნად რჩება. აი, რას ჰყვებიან ყველაზე ხშირად:

შუაღამე ახალგადასული იყო, როცა ავტომანქანა, რომელსაც იუსუპოვი და რასპუტინი მიჰყავდა, მოიკას ქუჩაზე №92 სახლის ეზოში შევიდა. აქ იუსუპოვის მეზობელი თავადი ორლოვი ცხოვრობდა. აქედან ადგილი იყო შიდა კიბით იუსუპოვის რეზიდენციაში გადასვლა. როცა რასპუტინი და იუსუპოვი სასახლეში შევიდნენ, დარბაზიდან ხალხის ხები და გრამოფონიდან სიმღერა „იანკი დუდლი“ მოისმოდა. რასპუტინი დაინტერესდა და ჰკითხა იუსუპოვს, წვევულება გაჲსო? იუსუპოვმა მიუგო, რომ მისი ცოლის რამდენიმე მეგობარი იყო შეკრებილი და მალე წავიდოდნენ. ისინი ქვედა სართულზე სავარძლებში ჩასხდნენ სასაუბროდ და ჩაის დასალვად. იუსუპოვმა რასპუტინს მოწმდლული ნამცხვარი შესთავაზა. ამ უკანასკნელმა ორი ნაჭერი შეჭირა. იუსუპოვი თვალებს არ უჯერებდა: რასპუტინი კალიუმის ციანიდით მოწმელის არავითარ ნიშანს არ აძლიერებდა.

ამის შემდეგ გრიგორი რასპუტინმა იუსუპოვს სთხოვა, დაესხა მაღერა, მისი საყარელი ღვინო. თავადმა ჭიქა მიუტანა, რომელშიც ღვინო ასევე მოწამლული უნდა ყოფილიყო. მაგრამ ახლაც, ისევე როგორც ნამცხვრის შემთხვევაში, ღვინოს არავითარი გავლენა არ მოუხდენია გრიგორიზე. მან სამი ჭიქა დალია და სმას განაგრძობდა. იუსუპოვი უკვე აშკარად ნერვიულობდა, ის დარწმუნებული იყო, რომ გრიგორიმ უკვე იცოდა, რა მიზნითაც

იყო მიწვეული. ოუმცა, სტუმარმა გიტარა აიღო და მასპინძელს სთხოვა, რამე შეესრულებინა. იუსუპოვმა რამდენიმე რუსული სიმღერა იძლერა.

დღო ნელა მიიზღაზნებოდა. უკვე დამის სამის ნახევარი გამხდარიყო. იუსუპოვმა ბოდიში მოუხადა გრიგორის, მაანტერუქებს, მაღლა რა ხდება, ცოლის მეგობრები თავს როგორ გრძნობენო და დამორდა. როცა შეთქმულებს ყოველფე უამბო, მათ ვერ დაეჯერებინათ, რომ სწამლავმა არ იძოქმედა. თავადმა იარაღი აიღო და უკან დაბრუნდა წამოწყებული საქმის დასასრულებლად.

უკან დაბრუნებულს, რასპუტინი მაგიდასთან თავდახრილი დახვდა. მძიმედ სუნთქვადა, ოუმცა კიდევ ერთი ჭიქის დალვეის შემდევ გამოცოცხლდა და ლაპარაკის ხასიათზეც მოვიდა. წავიდეთ, ბოშებთან გავერთოთო, შესთავაზა იუსუპოვს. ამ უკანასკნელმა იუარა, საუბრის თემა შეცვალა და ისე, რომ გვერდით კარადაზე მდგარი მთის ბროლისა და ვერცხლისგან დაშავდებული ჯვრისთვის თვალი არ მოუცილება, წარმოთქვა: „გრიგორი ეფიმოვიჩ, ჯობს იმ გარდამოხსნის ჯვარს შეხედო და ილოცო“. ამის თქმაზე რევოლუციი იძრო და რასპუტინს ესროლა. მან დაიყვირა და იატაზე დაფენილ დათვის ტყავზე დაეცა. „შეგრძება, რომ რუსეთის ხნისა და გადარჩენის გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგმული იყო, — წერდა შემდევ იუსუპოვი, — ძალასა და ენერგიას მმატებდა და მომავლისადმი უზარმაზარი რწმენით მავსებდა“.

სისხაბ დილით იუსუპოვის სახლში, პირველ სართულზე შეთქმულებმა მოიყარეს თავი. პირველი გასროლის შემდევ რასპუტინმა შენობიდან გარეთ გაქცევა მოახერხა, ოუმცა კიდევ ორი ტყვია დააწიეს. გვამი კვლავ სასახლეში შეიტანეს, შემდევ კი ავტომობილში მოათვეს და დიღლის ბინდუნდში წაიღეს, სასწრაფოდ თავიდან მოსაშორებლად...


ლეგენდად იქცა რასპუტინის „გმძლეობა“ საწამლავის მიმართ. ოუმცა, როგორც ირკვევა, ერთ-ერთმა შეთქმულმა, ექიმმა სტანისლავ ლაზოვერტმა, ვისაც ნამცხარსა და ლვინოში სწამლავის გარება გვალებოდა, უკნებელი ნივთიერება გამოიყენა. წლების შემდევ ლაზოვერტმა თავადვე მისწერა წერილი ფელიქს იუსუპოვს, აღიარა, რომ როგორც ექიმს, ადამიანის მოკვლა არ შეეძლო და პატივებაც სთხოვა...

ფელიქს იუსუპოვი საკუთარ მამულში, კურსკის გუბერნიის სოფელში გადასახლეს. ოუბერვლის რუვოლუციის შემდევ პეტროგრადში დაბრუნდა, 1919 წელს კი ემიგრაციაზი წავიდა. გარდაიცვალა 1967 წელს. ფელიქს იუსუპოვის „სულიერმა შვილმა“, ცნობილმა მექისიკოლმა სკულპტორმა ვიქტორ კონტრურასმა მხოლოდ 2016 წელს განაცხადა, რომ ექიმ ლაზოვერტის აღიარებითი წერილი, რომელიც მან თავად იუსუპოვს გაუგზავნა, მის პირად არქივში ინახებოდა.

კონტრურასის თქმით, ამ არქივში არაერთი ცნობაა დაცული, რომლებიც იუსუპოვს არასოდეს არავისთვის გაუმჟღლია. „მე პაპოვიატეს ფიცი მაქეს დაღებული. არ შემიძლია არავის მოწამვლა ან მოკვლა“, — სწერდა მას ლაზოვერტი. ამდენად, ლეგენდა, თითქოს რასპუტინზე საწამლავმა არ გაჭრა, არასწორ ინფორმაციას ეყრდნობოდა...

მეფე ნიკოლოზსა და დედოფლად ალექსანდრას შესაძლოა ეს არ სცოდნოდათ, მაგრამ მეგობრის სიკვდილმა მათი ტრაგიკული აღსასრულიც დააჩქარა. იმგვარი სიკვდილი, რომელიც რასპუტინს ერგო, რომანოვების დასასრულსაც მოასწავებდა.

### მოაშადა ამბროსი გრიშიკაშვილმა



# ფრნეს



ნატოლი II

ბრძოლა პარიზის სენტ-ანტუანის კარიბჭესთან 1652 წლის 2 ფელის. უკანა პლანზე მოჩანს ბასტილიის ციხე

## უნიკალური საშინაო პრიზისი საფრანგეთითვის

(დასასრული.

**დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №90)**

საპარლამენტო ფრონდის კულმინაციას, მწვერვალს, როგორც ისტორიკოსები ფიქრობენ, წარმოადგენდა 1648 წლის 22 ოქტომბრის მანიფესტი. ეს საპარლამენტო ფრონდის პერიოდი (1648-1649) მნიშვნელოვნი მიჯნა უნდა იყოს. ფრანგი ისტორიკოსი სენტ-ოლარი აჭარბებდა 22 ოქტომბრის მანიფესტის ისტორიულ მნიშვნელობას და მასში პოლიტიკური თავისუფლების პრიციპების განსახიერებას ხედავდა. დეკლარაცია, პირველ ყოვლისა, ცდილობდა ზღვრი და ედო ხელისუფლების თვითხებობისთვის. ის ხმას იმაღლებდა თვითხებურ დაპატიმრებათა წინააღმდეგ, ოღონდ ეს ქებოდ მოხელებს და არა უბრალო ხალხს. ტალია (მიწის გადასახადი საფრანგეთსა და ინგლისში) შემცირდა 20%-ით, რაც 10 მილიონ ლივრს უდრიდა, ხოლო არაპირდაპირი გადასახადი 5 მილიონი ლივრით შემცირდა. პარლამენტს, უწინარესად, საკუთარი უსაფრთხოება აფიქრებდა და აგრუთვე პარლამენტის კომპეტენციის დაცვა, როგორც სასამართლო კორპორაციისა. 22 ოქტომბრის დეკლარაცია დიდ საფრთხეს

არც მთავრობისთვის წარმოადგენდა. არსებითად ის მას არაფერს ავალდებულებდა. მდგომარეობის მთელი პარალელურობა კი ის იყო, რომ დეკლარაციის დებულებები უნდა განხორციელებინათ დედოფალ-რეგენტსა და უმაღლეს საბჭოს, რომლებიც ყველაზე ნაკლებად იყვნენ ამით დაინტერესებული. რეგენტმა ანა ავსტრიელმა ხელი მოაწერა დეკლარაციას. ხელისუფლება ხელსაყრელ შანსს არ გაუშევდა საპარლამენტო ფრონდისთვის ანგარიშის გასასწორებლად, მაგრამ ახლა ამის დრო არ იყო.

მთავრობას სულის მოთქმა სჭირდებოდა, რათა ბოლომდე მიუვანა ერთი მნიშვნელოვანი საქმე. 1648 წლის 24 ოქტომბერს ვესტფალიის ორ ქალაქში — მიუხსტერსა და ოსნაბრიუკში ხელი მოეწერა საშტადობო ხელშეკრულებას, ერთი მხრივ, რომის სადვოო იმპერიასა და მის მოკავშირებს, მეროვ მხრივ კი შვედეთს, საფრანგეთს და მათ მოკავშირებს შორის. ოცდაათწლიანი ომი დასრულდა. ეს საფრანგეთის პოლიტიკის წარმატება იყო. საფრანგეთმა საბოლოოდ შეიერთა ლოთარინგიის საეპისკოპოსოს სამი ქალაქი — ტული, მეცი, ვერდენი და მიიღო ალზასი (სტრასბურგის გა-

რეშე). გერმანია პოლიტიკურად დაქსაქსული დარჩა. ჰაბსბურგთა ორივე შტოს — ესპანეთისა და ავსტრიის ძლიერებას საგრძნობლად შემცვეცა ფრთხილი.

კუნძი 1649 წლის დასაწყისში გაიხსნა. 6 იანვარს დამით მაზარინიმ და სამეფო კარმა პარიზი დატოვეს და სენ-ეკრმენში გადავიდნენ. მთავრობის ხელოთ არსებული ჯარები საკმარისი არ იყო დედაქალაქის შტურმისთვის. ამიტომ მაზარინიმ გადაწყვიტა, დედაქალაქისთვის სურსათით მომარავება შევზღუდა. ეს მისი ერთი კოზირი იყო. მან სცადა განხეთქილება შეეტანა ოპოზიციის რიგებში, რაც იმით გამოიხატა, რომ დააპირა პარლამენტისთვის დაეპირისპირებინა პარიზის მუნიციპალიტეტი, რომლის როიალისტური განწყობა საყოველთაოდ ცნობილი იყო. ეს კი მეორე კოზირი გახლდათ მაზარინის ხელში. თუმცა არც ერთმა ამ ფაქტორმა კარდინალის სასარგებლოდ არ იმუშავა. მისი გეგმები ჩაიშალა. მართალა, პარიზელებს ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ, როგორც თანამედროვეები აღნიშნავენ, კაპიტულანტური განწყობილება არ

იგრძნობოდა. ისინი ამაში დამნაშავედ მიიჩნევენ მაზარინის და არა პარლამენტს. პარიზის მუნიციპალიტეტი შევცადა, წინ აღდგომოდა პარლამენტს, მაგრამ 9 იანვარს ხალხის აქტიური ჩარევის შემდეგ, რომელმაც ალყა შემოარტყა რატუშას, ფარ-ხმალი დავარა.

პარიზის პარლამენტის ოპოზიციური განწყობილება ნელ-ნელა ამოიწურა, რაც დიდწილად იმან განაპირობა, რომ მონარქიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პარლამენტს უფრო შორს წასვლა არ შევძლო. პარიზის პარლამენტი სერიოზულად დააფიქრა ორმა გარემოებამ: 1649 წლის მარტში საფრანგეთში ესპანიის ჯარები შეიჭრნენ. ესპანეთიან კავშირის პერსპექტივა კი მათ გეგმებში არ შედიოდა. პარლამენტს არც ხალხის აქტიურობა მოსწონდა, რასაც საპარლამენტო ფრონდის რადიკალიზაცია მოჰყვებოდა. პარლამენტში არ ხიბლავდათ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, ხალხთან კავშირში ბრძოლის პერსპექტივა. ამას გარდა, პარლამენტარებზე იმოქმედა ცნობამ ინგლისის მეფის ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯის შე-

სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმიწერა მიუნიტერში (უერარ ტერბორზის ნახატი)





ინგლისის მეფის ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯა 1649 წლის 30 აგვისტი (გერმანული გრაფიურა)

სახებ. უკონტროლო ვითარების შექმნა მათი მიზანი არ იყო. ფრონდაზე ინგლისის მეფის ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯის გავლენის გადაჭარბება, როგორც ამას მკვლევრები ბორის პორშნევი და ვლადიმირ მალოვი მიიჩნევნ, ცხადია, არ ღირს, ეს ზედმეტია. ამან პარლამენტს ახალი ბრძოლებისთვის კი არ შთაბერა სული, არამედ დააშინა. XVII საუკუნის ფრანგ მოხელეს საერთო არაფერი პქონდა XVII საუკუნის ინგლისელ პურიტანთან. ფრანგი ჩინონი კი უკიდურესად შშიშარა იყო. როგორც ბორის პორშნევი აღნიშნავს, საფრანგეთში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული რევოლუციის წანამძღვრები. ეს მოხდა გაცილებით გვიან, XVIII საუკუნეში, როცა ფრანგი განმანათლებლების ძალისხმევით, მკვეთრი გარდატეხა მოხდა ფრანგი ხალხის ფიქოლოგიასა და მსოფლმხედველობაში.

1649 წლის 1-ლ აპრილს ხელი მოწერა შეთანხმებას ხელისუფლებასა და პარლამენტს შორის. ვ. მალოვი მიიჩნევს, რომ ეს არ მოასწევდა პარიზის პარლამენტის კაპიტულაციას, როგორც ამას ხაზს უსგამს მკვლე-

ვარი იური ბორისოვი. რაღაც სტატუს-კვოს აღდგენით პარლამენტი არაფერს კარგავდა.

იყო თუ არა საპარლამენტო ოპოზიცია ბურჟუაზიული? ბორის პორშნევი უფრო იმ აზრისენ იხრება, რომ ეს იყო ბურჟუაზიული ოპოზიცია. სულ სხვაგვარად ფიქრობს ვ. მალოვი. მისი პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია. ეს არ იყო ბურჟუაზიული ოპოზიცია, როგორც ამას ბ. პორშნევი ფიქრობდა. პარიზის პარლამენტის ძირითად ბირთვს შეადგენდა არა ბურჟუაზია, არამედ, როგორც უახლესი გამოკვლევები ცხადყოფს, საფრანგეთის არისტოკრატიის სპეციფიკური ფენა — გააზნაურებული ბურჟუაზია, „მანტიის აზნაურობა“ (ხალხი, ვინ სამოქალაქო სამსახურით, მათ შორის, სასამართლოშიც, მიიღო მეფისგან აზნაურობა და არა კეთილშობილი წარმოშობის წყალობით).

...საპარლამენტო ფრონდა დასრულდა. პარლამენტმა ამოწურა თავისი სოციალური პროგრამა. მონარქიასთან მჭიდროდ დაკავშირებული პარლამენტი ვერ შევცდებოდა ხელისუფლების ხელში აღებას და მის მეტ-ნაკლე-

ბად გაკონტროლებას უნდა დასჯერებოდა. ამიტომ მომავალ პოლიტიკურ ბატალიებში პარლამენტს არ შეეძლო შეესრულებინა ლიდერის ფუნქცია, წამოეყენებინა ახალი, პოპულარული იდეაბი.

### პრინცების ფრონდა

პრინცების ფრონდის დაწყების მიზეზი გახდა ანა ავსტრიელისა და კარლინალ მაზარინის მიერ პრინც კონდეს, მისი მმის, პრინც კონტისა და პერცოგ დე ლონგვილის დაპატიმრება. ამის შემდეგ მოძრაობას არისტოკრატია ჩაუდგა სათავეში, ამიტომ მას „პრინცების ფრონდა“ უწოდეს. ფრანგი ისტორიკოსის, ოგიუსტენ ტიერის თქმით, „პრინცების ფრონდა არისტოკრატიული შეთქმულებებისა და სახალხო მღელგარებათა სინთეზს წარმოადგენდა“.

მკვლევარ ვლადიმირ მალოვის აზრით, არისტოკრატიული ოპოზიცია არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფეოდალური რეჟიმია, ვინაიდნ პრინცებს არანაირი პოლიტიკური მოთხოვნები არ ჰქონიათ. მათი სურვილი იყო, მთავრობისთვის გამოეძალათ საჩუქრები, პენსიები, ტიტულები, პრივილეგიები.

პრინცების ფრონდას ლაიტმოტივად გასძევს ტიტანთა დაპირისპირება — ორი სამხედრო და დიპლომატიური ტიტანის შეჯახება. ერთი მხრივ მაზარინის, ხოლო მეორე მხრივ — კონდეს.

1650 წლის დასაწყისში მაზარინის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. კონდესთან ბრძოლა ძნელი აღმოჩნდა. პარიზში მაზარინის საწინააღმდეგო განწყობილება გაძლიერდა, მას სამოქალაქო ომში დამნაშავედ მიიჩნევდნენ. პრინცების პოპულარობა კი დღითი დღე იძატებდა, მაზარინი იზოლაციაში მოექცა. 1651 წლის 7 თებერვალს ის იძულებული შეიქნა, პარიზი დაეტოვებინა, ხოლო მეფემ და დედოფალმა სასახლიდან გაქცევა ვერ მოასწრეს, რადგან სასახლეს სახალხო პოლიციაში შემოარტყა აღყა. ფაქტობრივად, ისინი შინაპატიმრობაში აღმოჩნდნენ, რომელიც თითქმის ორ თვეს გაგრძელდა. ანა ავსტრიელი იძულებული შეიქნა, ოპოზიციის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა — გაეძვებინა მაზარინი და დაკავებული პრინცები გაეთავისულებინა.

ერთსულოვნება არც ფრონდიორი არისტოკრატიის რიგებში სუფევდა. ვითარება

კიდევ უფრო დაბაბა ორმა გარემოებამ: პრინც კონდეს მისწრაფებამ ძალაუფლებისკენ და ესპანეთთან კონტაქტების გაძლიერებამ. 1651 წელს განახლდა ხელშეკრულება ესპანეთთან.

1651 წლის 23 დეკემბერს ანა ავსტრიელის თხოვნით მაზარინის ჯარები საფრანგეთში შეიჭრნენ, რამაც კიდევ უფრო დაბაბა ისედაც როგორი პოლიტიკური ვითარება. მაზარინისა და კონდეს დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. ეს ჰუშმარიტად ტიტანთა ბრძოლა იყო. 1652 წლის აპრილიდან მოქმედების ეპიცენტრი პარიზის შემოგარენი გახდა. 1652 წლის 16 ივნისს მთავრობამ პირობა დადო, რომ მაზარინის დაითხოვდა, თუ ფრონდიორი პრინცები იარაღს დაყრიდნენ. პრინცები მიხვდნენ, რომ დრო მათ სასარგებლოდ არ მუშაობდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ხალხის განწყობა თანდათან იცვლებოდა.

პრინცების ფრონდის პერიოდში მნიშვნელოვან მიჯნად უნდა ჩანდეს 1652 წლის ივლისის პირველ დღებში დატრიალებული მოვლენები. 1652 წლის 2 ივნისს პარიზის სენტ-ანტუანის კარიბჭესთან მარშალმა ანრი

პრინცი კონდე, ლუი II ბუბონი (კონდები ივგნენ ბუბონების სამეფო საგვარულოს განშტოება, ე.წ. სისხლის პრინცები)





**„ლუი XIV კლავს ფრონდას“.** ჯერსალის სასახლე,  
ფრონდის უძლებელი მემკვიდრეობის  
დღისთვის „მეფე-მეფე“ მხოლოდ 14 წლის იერი

ტურენემა დაამარცხა პრინც კონდეს ჯარები, მაგრამ ამ უკანასკნელმა რაღაც საშუალებებით მაინც მოახერხა პარიზში შეღწევა და 4 ივლისს დედაქალაქში საშინელი ხოცუ-ჟლეტა გაიმართა. ეს მოვლენა საგანვებოდ შეისწავლეს ფრანგმა ისტორიკოსებმა ლორიმ და კურტომ, რომელთაც მრავალი გამოუქვენებელი ხელნაწერი დოკუმენტი გამოიყენეს. ეს ამ საკითხის შესწავლის საქმეში სიახლე იყო.

ივლისის მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაანახვა ხალხს, რომ პრინცების პოლიტიკა არაფრით განსხვავდებოდა მაზარინის პოლიტიკისგან და მის მსგავსად, უპრინციპო იყო. როგორც ბორის პორშნევი ფიქრობს, პრინცების ფრონდის დროს სახალხო მღელვარებათა აპათიის მიზეზი სწორედ აქ უნდა ვეძიოთ.

1652 წლის 4 ივლისის მოვლენებმა კვლავ აჩვენა საშუალო ფეხას, რაოდენ საშიშია ქვების შინააშლილობა. მესამე წოდება (საფრანგეთის ფეხები ფეხნა, გარდა პრივილეგიირებული არისტოკრატიისა და სასულიერო პირებისა) ფეხები უფრო მეტად იყო დაინტერესებული სტაბილურობით, მტკიცე ხელისუფლებით,

რადგან სწორედ ის ესახებოდა თვითის სიმდიდრის დაცვის საიმედო გარანტიად. პრინცების ფრონდა დასასრულისკენ წავიდა. 1652 წლის 24 სექტემბერს აღდგა პარიზის მუნიციპალიტეტი, რომელიც 4 ივლისის მოვლენების დროს დაინგრა. 13 ოქტომბერს ანა ავსტრიელი პარიზში დაბრუნდა. 1653 წლის 3 თებერვალს პარიზში დაბრუნდა კარლინალი მაზარინი. პარიზში ფრონდა დასრულდა.

\* \* \*

საუბრის ცალკე საინტერესო თემაა ფრონდა პრინციციებში, სახელდობრ, გიენის დეპარტამენტში, ბორდოში. სადაც მან განსაკუთრებით ფართო გაქანება შეიძინა. ამ მხრივ ყურადღებას იყერობს ბორდოში ორგანიზაცია „ორმეს“ საქმიანობა. ეს საკითხი დიდი ხნის განმავლობაში სამეცნიერო ლიტერატურაში შეუსწავლელი იყო და 1972 წელს ამერიკელმა ისტორიკოსმა მაკლ უესტრიჩმა ის საგანგებოდ შეისწავლა. მან გამოიყენა ახალი საარქივო მასალები, რაც სიახლეს წარმოადგენდა. ქალაქის თავზე „ორმეს“ წითელი დროშა მოელ წელიწად ფრიალებდა. ისტორიკოსები თანხმდებან, რომ ეს იყო ქალაქის პლებისის გამოსვლა. „ორმესტების“ მიერ ლეველერების (რადიკალური პარტია იმდროინდელ ინგლისში) მოძღვრების ათვისებაზე აპელირება, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი აკეთებს, ალბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭრებულიც შეიძლება იყოს. ისინი არ არიან მმართველობის რესპუბლიკური ფორმის მომხრე. მათი პოლიტიკური სიმპათია მონარქიისკენ იხრება, რომელიც გაცილებით დემოკრატიულ საწყისებზე იქნება დაფუძნებული... პარიზში ფრონდის დასრულების შედევე მთავრობამ ყურადღება პრინციციებს მიაპყრო. საჭირო იყო აქ წესრიგის აღდგენა. ბორდოში მთავრობამ დიდი ძალები გადაისროლა, რომელთაც ქალაქს აღვა შემოარტყეს. დაიწყო გაჭირვება, შემშილი. 1653 წლის 19 ივლისს ქალაქის ზედაფენების კრების წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს პრინც კონტის, დაეშალა ორგანიზაცია „ორმე“, გაეთავისუფლებინა ქალაქის მილიციის კაპიტენები და დაზაფება მოეთხოვა. პრინცი კონტი დაყაბულდა. 1653 წლის 3 აგვისტოს მთავრობას ჯარებმა ბორდო დაიკავეს. ფრონდა დასრულდა.

**მიუხედავად**

# ელენიო ერერა: ყოველი მატჩი – ისტორია

„დიდ გუნდებს რაჭო  
ვხელმძღვანელობ? იმითომ,  
რომ კატარშის ჩემთვის  
გადახდა არ შეუძლიათ“

ფეხბურთის მოუგარულები ხშირად წარმოიქმნავდნენ ფრაზას „კატენაჩოს საუკეთესო ტრადიცია“. ამ სიტყვებს ამბობდნენ ეზოში მოთამაშე ბიჭუბიც, როცა იხსენებდნენ ახალგაზრდას, რომელმაც 25:25 ანგარიშისას მეტოქეს გადამწყვეტი ბურთი არ გაატანინა. ძალიან ცოტამ თუ იცოდა, რას ნიშნავდა ეს „კატენაჩო“. გაგონათ, რომ ეს იყო ყველაზე საიმედო დაცვა და ათა წლის ბიჭუნას მეტი არც აინტერესებდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ საფეხბურთო სქემის დამამკიდრებლის დაკრძალვაზე, რომელიც 1997 წლის

9 ნოემბერს ვენეციაში გარდაიცვალა, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის არც ერთი წარმომადგენელი არ მისულა. ფედერაციისა, რომელსაც მან უდიდესი საქმე გაუჟოთ.

ელენიო ერერა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში, ალბათ, ყველაზე მრავალმხრივი მწვრთნელია, მასთან შედარებით დღვენდელი სახელოვანი მწვრთნელების ფიგურუბიც ფერმერთალდებიან.

ერერა არგენტინაში, ბუენოს-აირესში დაიბადა 1910 წლის 10 აპრილს, ესპანურ ოჯახში. მისი მამა ფრანცისკო, პროფესიონალურად, ანდალუსიდან გაძვებული ანარქისტი იყო. დედა, მარია გავილან მარტინესი კი დამლაგებელი გახლდათ. შემდეგ ოჯახი უკეთესი ცხოვრების ძებნაში კასაბლანკაში, მარკოში გადაბარგდა. ამ დროს დაწყო ერერამ ფეხბურთის თამაშიც. 30-იან წლებში კი პარიზში გაემგზავრა და არაერთ ფრანგულ კლუბში ითამაშა.

არ იყო ცუდი მცველი, მაგრამ არც გენიალური ყოფილა. ფეხბურთის გარდა, სხვა სამუშაოებსაც ასრულებდა. მასაში ისტის დიპლომიც კი აიღო.

საფეხბურთო კარიერა მუხლის ტრავმის გამო დაასრულა. „ცუდი ფეხბურთული ვიყავი,



ელენიო ერერა

— ამბობდა მოგვიანებით, — მაგრამ ვარსკვლავებთან შედარებით ის უპირატესობა მქონდა, რომ როცა ისინი საფეხბურთო კარიერას ამთავრებდნ, არ იციან, როგორ ასწავლონ მოთამაშებს ის, რაც კარგად და ბუნებრივად გამოსდიოდათ. მე კი კარგად შემიძლია გავიგო, რომ ამის გაკეთება არც ისე ადვილია“.

ერერას ძალიან უყვარდა ყველაფრის გაბეჭება, საკუთარი პიროვნების წინა პლანზე წამოწევა. ავტობიოგრაფიაში იმასაც კი ყვება, როგორ მსახურობდა საფრანგეთის ჯარში, თუმცა ამის დამადასტურებელი რამე დოკუმენტური მტკიცებულება არ არსებობს.

ბრიტანელი ატლორის, სიდ ლოუს წიგნში („შიში და სიძლვებილი ლა ლიგაში“) მოთხოვილია, რომ როცა ერერამ თავისი მემუარები გამოაქვევნა, ჟურნალისტები წერდნენ: „ეს ერერა — ნამდვილი სატანაა! ახლა მან მემუარების წერაც დაიწყო. ღმერთმა გვაპატიოს. თითქოს მას უკვე ისედაც არ გამოეწვიოს საქმარისი ხმაური, თითქოს პრესას მასზე ყურადღება არ გაემახვილები-



**ჯაჩინტო ფაჭეტი და ელენიო ერერა მიღანში, ჯუზეპე მეაცას სახლობის „სას სიროს“ სტადიონზე**

ნოს და მის სიტყვებს თითოეულ სახლამდე, ოფისსა და საზოგადოებრივ ადგილამდე არ მიეღწიოს! თითქოს ხალხი მისით ჯერ არას-დროს გაოცებულა!”

ერერა მუდამ ძიებაში იყო. შექმნა სისტემა „რატიორ“, რომლის ძირითადი პროდუქტი გახდა დღეისთვის ჩეველებრივი საწვრთნელი ბაზა. მაშინ კი მსგავსი არაფერი არსებოდა. ბაზაზე შექმნილი იყო გარემო, რომელიც ფქბურთელებში გამარჯვების სულს აძლიერებდა. ბევრ ადგილას ეკიდა სამოტივაციო ფრაზები. თუმცა, საწვრთნელო კარიერის დასწევისში მისი კლუბებისთვის ამას შედეგი არ მოჰქონდა. 1949 წელს ერერა ესპანეთში გადაბარგდა და მალე მაღრიდის „ატლეტიკოს“ ჩაუდგა სათავეში. მომავალი სამ წელი წარმატების ლალიგას ჩემპიონი.

## „ბარსელონაში“

ერერა არ იყო ის ადამიანი, რომლის მართვა ბრძანებებით და მის საქმეში ცხვირის ჩაყოფით შეიძლებოდა. ამიტომაც მოუწია კიდვე რამდენიმე კლუბის გამოცვლა და მალე „ბარსელონას“ მთავარ მწვრთნელადაც დაინიშნა.

სწორედ „ბარსელონაში“ მუშაობისას დაიმსახურა მან „უებბურთის მკვლელის“ დიდება, „ინტერნაციონალეში“ კი მხოლოდ გაიმუარა ეს ტიტული. თუმცა, თუ სტატიისტიკას მივმართოთ, ეს მტკიცება სადაც გახდება. „ბარსას“ მთავარი მწვრთნელის პისტი ერერამ მაშინ დაიკავა, როცა კატალონიელებმა ლონდონის ნაკრების ევროპის ბაზრობათა თასის (თამაშდებოდა 1955-1971 წლებში) ფინალის პირველი მატჩი 0:2 დათმეს.

მწვრთნელის გამოცვლამ საქმეს უშველა და მეორე მატჩი „ბარსამ“ 6:0 მოიგო. სულ კი პირველ სეზონში გუნდმა 30 თამაშში 96 გოლი გაიტანა, ხოლო ერთი წლის შემდეგ — ათი ბურთით მეტი. მხოლოდ ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში არ გაუმართლათ და „რეალთან“ ორი თამაშის ჯამში 2:6 წააგეს.

ხელმძღვანელობამ ეს წაგება ვერ გადასარჩა. მეტიც, ერერას კლუბის ფანატიკოსი ქომაგები დაესხენ თავს, სცემეს და ქალაქი შემოატარეს, რათა ხალხს კარგად დაენახა გუნდის მოღალატე. განმორება მართლაც ვერ გახლდათ ბრწყინვალე.

## დიდება

ესპანეთში ერერამ საკუთარი პროფესიონალიზმი დაამტკიცა, იტალიაში კი მთელი ერთს საფეხბურთო მსოფლმხედველობა შეცვალა.

1960 წლისთვის მილანის „ინტერნაციონალეს“ დიდი ხანია არაფერი მოგვ. კლუბის პრეზიდენტმა ანჯელო მორატიმ კლუბის გაძლიერება გადაწყვიტა. მწვრთნელებს ხელთათმანებივით იცვლიდა და ერერა ათი წლის განმავლობაში მე-13 აღმოჩნდა. იგი პრეზიდენტს შეპირდა, რომ უახლოეს სამ წელიწადში ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებდა, რისთვისაც ხელფასად 35.000 ლირა და ორმაგი პრემიალური მოითხოვა, რაც იმ დროისთვის ფანტასტიკურ თანხას წარმოადგენდა.

ყველა კლუბში, სადაც უმუშავია, ერერა ყველაფერს აკონტროლებდა, ამისთვის ვერ იტანდნენ მას „ბარსელონას“ მოთამაშები და კლუბის ხელმძღვანელობა. იტალიაში ახალმა მწვრთნელმა თავისი „სისტემა“ კიდვე

უფრო დახვეწია. დაიწყო იმით, რომ ფეხბურთულების ცოლები შეკრიბა და აუხსნა, რა მნიშვნელოვნი იყო მათი ქმრებისთვის კვება და რეჟიმის დაცვა.

გუნდის ბაზა სამხედრო ბანაკს უფრო ჰგავდა. ერერა ყველაფერს აკონტროლებდა. ფეხბურთულებს წვრთნის, კვებისა და ძილის გარდა, მხოლოდ ბანქოს თამაშის უფლება ჰქონდათ, ისიც იშვაითად.

— ყველაზე სასიამოგნო ის იყო, რომ ჩემშე ამბობდნენ, — 30 საათს მუშაობს დღე-ღამეშიო, — თქვა ერთხელ ერერამ და ეს სიტყვები ზუსტად გამოხატავდა მის ბერებას.

მაგალითად, 1961 წელს გუნდიდან წავიდა ანტონიო ანჯელილო, რომელმაც წინა სეზონის 33 მატჩში 33(!) ბერთი გაიტანა. მიზეზი იყო „ბობოქარი გართობა გუნდს გარეთ“. ცნობილია ისიც, რომ „ბარსაში“ ერერა სათადარიოთა სკამხე ხშირად სკამდა ლიდერს — ლადისლამ კუბალას. მიზეზი კი მისი გრძელი ენა და სმის სიყვარული გახლდათ...

თამაშის დროს ერერა ხშირად ზედმეტად წერად იჯდა და თითქმის არასოდეს არაფერს ეუბნებოდა მოთამაშებს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ასე მხოლოდ იმიტომ იქცეოდა, რომ ახლომხედველი გახლდათ.

ერერამ დაიწყო რეპორტიორების საკუთარი მიზნებისთვის გამოეწება და ამით სპორტული უურნალისტიკაც კი შეცვალა. პრესის მეშვეობით წნებს ახდენდა ფეხბურთულებზე. დიად საუბრობდა გუნდის პრობლემებზე, ამათე იმ ფეხბურთულებზე და ამით მას უკეთსად თამაშს აიძულებდა. ზოგჯერ ცუდსაც კი იტყოდა სპორტსმენზე, რომელიც კარგად თამაშობდა, რათა მას ზრდა არ შეეჩერებინა.

ყველაფერი, რაც მიზანთან მიიყვანდა, მისთვის მისაღები და აუცილებელიც კი იყო. მათ შორის, ღოპინგიც. მართალია, ღოპინგის გამოყენების დამტკიცებული ფაქტები არ არსებობდა, იყო მხოლოდ ვერსიები და ჭორები. თუმცა, უნდა გავხსენოთ „ერერას ყავა“, რომელიც სწორედ ამ მაზნით გაჩნდა. ღოპინგს ყავაში ურევდნენ და ფეხბურთულებს დალევას აიძულებდნენ... 2004 წელს სახდრო მაცოლას უმცროსი მმა, ფერუზი ერთ-ერთ საგაზიერო ინტერვიუში ღოპინგის გამოყენების დამადასტურებლად იხსენებდა, რომ მაგალითად, მაური ბიჩიკლი 66 წლის ასაკში ღვიძლის ციროზით გარდაიცვლა, კარლო ტანინი 67 წლის იყო, ძვლის კიბოთი რომ მოკვდა, არმანდო პიკი კი 35 წლის ასაკში ცილების ცვლის დარღვევამ იმსხვერპლა. თუმცა, ისიც საკითხავია, რატომ შეეწირა ამ საქმეს „ინტერის“ მხოლოდ სამი წევრი?

დანამდვილებით ამას ვეღარ შევიტყობთ, მაგრამ შევიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ერერა ფეხბურთულებს ატყუებდა. ის საკუთარი ფინანსურობი იყო. „ბარსაში“ ყოველი მატჩის წინ მოთამაშები ბალახის ჩაის სვამდნენ, რომელიც მიწოდებოდათ, როგორც აფრიკული ან ღმერთმა უწეს, სადაური ბალახის ნავენი. ფეხბურთულებს არწმუნებდა მათი ჩვევების მნიშვნელობაში. ლუის სუარესს სჯეროდა, რომ მატჩისწინა სადილისას თუ დვინოს ჩამოახსამდნენ, აუცილებლად გაიტანდა გოლს...

ერერამ შეექმნა თანამედროვე ტაპის გულშემატებური — „ტიფოზი“, რომელიც გუნდის მე-12 მოთამაშედ აქცია. ელენიო მუდამ უსამდა ხაზს გულშემატკივართა მხარდაჭერას და ქომაგთა ასოციაციებს აყალიბებდა. ჯონ



ერერას „ინტერნაციონალების“ მოგების შემდეგ. 1964



►  
ელენი  
გრუსა

►  
1967 წელს  
ჩემპიონობა  
თასის  
მოვალეობის  
ჯოკ სტეინს  
გლაზონს  
„სელტიკის“  
სტადიონშე  
ბრიტანულის  
ძგლი  
დაუგდეს

ფუტის სიტყვებით, მის წიგნში „კალჩო: იტალიური ფეხბურთის ისტორია“, ერერამ „ულტრასის“ ჩამოყალიბებაში ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ერერას გენიალურობის მაგალითად იქცა 1964 წლის ჩემპიონთა თასის ფინალი მაღრიდის „რეალის“ წინააღმდეგ, რომელიც მიღანის „ინტერმა“ 3:1 მოიგო. ეს გამარჯვება სანდრო მაცოლამ მიუძღვნა მამას, ვალენტინოს, ტურინის „ტორინოს“ განთქმულ მოთამაშეს, რომელიც გუნდთან ერთად 1949 წელს ავიაკა-

ტასტროფაში დაიღუპა. მაცოლამ მოგვიანებით გაიხსენა, რომ იმ დღის გოლები კი არ დამახსოვრდა, არამედ ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანოს მატჩამდელი და ფერენც პუშკაშის მატჩის შემდგომი სიტყვები: „თვითდან ვინი დალეთ გალენტინო“, რითიც უდიდესი რეკლამა გაუკეთს ახალგაზრდა ფეხბურთელს. ეს დღე გახდა ელენიო ერერას დღესასწაული. ამ წელს დამთავრდა „რეალის“ დიდების გრძელი გზა, ისევე როგორც მისი ფეხბურთელებისა. ფეხბურთს უკვე სხვა ადამიანები მართავდნენ.

### „თვითგანუდინება და ძალა!“

ოდესდაც ყველაფერი სრულდება და ვერც ერერა გაექცა ამას. 1967 წელს ერერამ „ინტერი“ ჩემპიონთა თასის ფინალში გაიყვანა, სადაც მისი მეტოქე გლაზონის „სელტიკი“ გახლდათ. მომავალი მეტოქის თამაშის უკეთ შესწავლისთვის ერერა კერძო თვითმფრინავით გადაფრინდა შოტლანდიაში. თამაშის ნახვის შემდეგ მომვალი მოწინააღმდეგის მწვრთნელს, ჯოკ სტეინს მიღანში ერთად გადაფრენა შესთავაზა, რადგან, როგორც აღმოჩნდა, სტეინი ჩასვლას აპირებდა „ინტერისა“ და „იუვენტუსის“ თამაშზე. თუმცა, გაფრინდის წინ ერერამ სტეინს განუცხადა, რომ თვითმფრინავში საკუთარი კომპლექციის გამო ვერ ჩაეტეოდა. მართალია, თამაშს სტეინი მაინც დაესწრო, მაგრამ მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა. აღბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ფინალის დროს ჯოკმა თავის თორწომობადგენელს მითითება მისცა, თამაშის დროს ერერა ელანძღათ. რასაკვირველია, „სელტიკის“ ეს მხრილოდ ირიბად დაგხმარა გამარჯვების მოპოვებაში, მაგრამ ერერას დამცირების ფაქტი საჯებით აქმაყოფილებდა სტეინის თავმოყვარებას.

მალე ერერა გუნდიდანაც გაუშვეს. ის გადავიდა „რომაში“, იტალიის თასიც მოიგო, მაგრამ მალე აქედანაც მოუწია წასელამ.

წენარი ნაგავაყუდელი ვენეციაში მონახა და ბოლო წლებში ფეხბურთის შესახებ მასალებს აგროვებდა, რომელიც 2004 წელს წიგნად გამოსცა მისმა ქვრივმა ფიორა განდოლფმა.

ცხოვრების ბოლო პერიოდში ინტერიუებში ერერა არაერთგზის უსვამდა ხაზს იმას, რომ მისი სისტემა არ იყო სწორად გაგებული. მართალია, „კატენაზი“ დაცვიდან თამაშზე იგება, მაგრამ მას შეტყვითი პრინციპებიც აქვს, რაც ერერას მიმდვრებს ავიწყდებოდათ. „კა-

ტენაჩი“ ბევრი კლუბისთვის იქცა წინსვლის საშუალებად, ერერასთვის კი იგი მწვრთნელის ცხოვრების სტილი და ფორმა იყო. არასოდეს ყოფილა ქარიზმატული, თუმცა ტანსაცმელსა და ვარცხნილობაშიც სიმაცრე და ელგანტურობა მოჩანდა. იგი აკონტროლებდა ყველაფერს: საკუთარ თავს, ფქბერთელებს და კლუბის ცხოვრებას. ძალიან კმაყოფილი იყო, როცა პრესა ვევლანაირ სიბიძმურეს მხოლოდ მას მიაწერდა და ფქბერთელებს არაფერს ერჩოდა. ეს მათ საშუალებას აძლევდა, თამაშისთვის წყნარად მოშაადებულიყვნენ. ერერას არ უყვარდა, როცა ჯადოქარს ეძახდნენ. თვითონ გაწირება და ძალა! — აი, რას აღიარებდა იგი.

ელენიო ცინობდა თავისი შეგირდების ფასიქიკას. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს, ლოუს სიტყვებით, ზოლტან ციბორი იტანჯებოდა, რადგან დიდი წნის განმავლობაში უნდა განმორებოდა თავის სახლს. მწვრთნელი დაპპირდა უნგრელს, რომ თუ ის სამჯერ შეძლებდა გოლის გატანას, შინ გაუშვებდა. ზოლტანმაც იმ მატჩში ჰეტ-ტრიკი გაითომა.

„განსაჯეთ იგი, თუ შესაფერის განწყობაზე ხართ. გენიოსი კლოუნი ზოგჯერ მასხარას ჰქავს, მაგრამ საჭირო დროს მასზე სერიოზულ პიროვნებას ვერ იპოვით. თაღლითია, იმავდროულად კი მისაბაძი მამა და ერთგული მეუღლე. პიროვნება, რომელიც წარმატებისკენ ფარულად მიიწვეს. კომპეტენტურია თავის საქმეში. ის დიდების მანიით იტანჯება და საკუთარი ჯანმრთელობის ფუნატიკისა. ასეთია ელენიო ერერა“, — წერდა ჯანი ბრერა, გავლენიანი იტალიელი საფქბერთო მიმოშილველი...

სწორედ ელენიო ერერამ უწოდა „ქართული ფრთხის“ ღვერდარულ ქართველ ფქბერთელებს — მასზე მესხსა და სლავა მეტრულეს.


„პერიოდი ვიქები, გუნდში თუ ასეთი ფქბერთელები მეყოლება. მიკვირს, როგორ არ წაიყვანეს მესხი ინგლისში მსოფლიო ჩემპიონატზე, ხოლო მეტრული კი თამაშში რატომ შემოუშეს მატჩის ბოლოს“, — ეს სიტყვები ელენიო ერერას ეკუთვნის, მილანის „ინტერნაციონალეს“ მაშინდელ მთავარ მწვრთნელს.

### ლევან ჩუბაპრია

გამოყენებულია „ბარსელონას“ და „ინტერის“ ფოტოების არქივი. ასევე სიდა ლოუსა და ჯონათან უოლსონს წიგნები „შიში და ბორტება ლა ლიგაში“ (2013) და „პირამიდის ამიბრუნება“: საფქბერთო ტაქტიკის ისტორია“ (2008).



სწორედ ელენიო ერერამ უწოდა „ქართული ფრთხის“ მასზე მესხსა და სლავა მეტრულეს (სურათზე მარც ხნიდან: სლავა მეტრულე, კლადიმერ ბარეა, მასზე მესხი)



♦ ეველაზე დიდი უძედურებაა, როდესაც სხვის იღებს იყენებ და აგებ.

♦ არ ვიცი, ვარ თუ არა მსოფლიოში საუკუთხო, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამის-თვის ეველაფერს ვაკეთებ.

♦ XXI საუკუნის ფქბერთელები მარადნასაყით იწებიან. დაბლები, არც ისე ათლეტურები და იმ ჯადოსნობით აღჭრუვილნი, რაც კომპიუტერებსა და მარადნას აქვთ

♦ აღფრული და სტეფანო ფერელა დროის უძიდესი ფქბერთელია, პელეზე გაცილებით უკეთესი. ის დაცაში კლიდე იყო, ნახევრდაცაში — ჭკუა, ხოლო თავდასხმაში — მკვლელი.

♦ პელე ვიოლინოა, ხოლო დი სტეფანო მთელი ორკესტრი.

♦ ჩაგარდნები არ მქონია და ამით ვამაყობ. ელენიო მრერა

# 0326

## ჩუვახიშვილის ცხოვრების წიგნი ჭირაც არ წარვიპითხავს

ისტორიკოს დავით სართანიას ნაშრომი „ესკიზები იუნე ჯავახიშვილის პორტრეტი-სათვეს“ შეარქან დაიბეჭდა (დასტამბა გამომცემლობა „საქართველოს მაცნებ“). რასაკვირველია, იუნე ჯავახიშვილის თემა ქართულ მეცნიერებაში (უპირატესად ისტორიოგრაფიაში) საქმაოდ კარგად არის დამუშავებული. განსაკუთრებით აღსანიშნავად ცნობილი იურისტის, სერგო ჯორბენაძის ვრცელი მონიგრაფია „ცხოვრება და ღვაწლი იუნე ჯავახიშვილისა“. ასე რომ, ამ შერიც სასყველური არ გვეთქმის. ეს გარემოება იმაზეც მიგვანიშნებს, რომ თუ მავანი ავტორი აღნიშნულ საკითხზე მორიგ წარმატებულ ნაშრომს შეიმოგვთვაზებს, მას სათანადო ნიჭიერება და შესაბამისი მასალის დაუფლება უნდა მართებდეს. საბერძნიეროდ, ავტორს აუცილებლად გააჩნია ორივე ეს ნიშნ-თვისება. შეგახსენებთ იმასაც, რომ აღნიშნულ თემატიკაზე დაგთ სართანია, დღეს თსუ-თან არსებული იუნე ჯავახიშვილის ცენტრის ხელმძღვანელი, კარგა ხანია მუშაობს და თანაც ნაყოფიერად. იგი წერს შშვენიერი ქართულით, რითაც დღვევანდელ პირობებში არცუ განებორებული ვართ.

წიგნი დაზღვეულია შპრალი, მონოტონური თხრობისგან, დაწერილია ბიოგრაფიულ ქანრში, რის მაგალითები საქართველოში რიგმა მწერლებმა და ფილოლოგოსებმა მოგეცეს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იყითხება დიდი ინტერესით. ამიტომაც აშკარა უსამართლობა იქნება, რომ ეს წიგნი ფართო საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი დარჩეს.

დავით სართანია უთუოდ მართებულად შენიშნავს: „იუნეს შრომები ერთიანობაშია დასანახი და არა ცალ-ცალკე. იუნეს მემკვიდრეობა ამ შრომების ჯამი არაა, როგორც რომელიმე შენობა არაა გარკვეული რაოდენობის ერთობლიობა. როგორც შენობაა აგურებისა და სხვა სამშენებლო მასალების გარკვეული წესრიგით შექმნილი კომბინაცია, რომლითაც



იუნე  
ჯავახიშვილი

განსხვავდება იგი სხვა დანარჩენთაგან, ასევე იუნეს მემკვიდრეობის შემთხვევაშიც“ (იხ. წიგნის 95-ე გვერდი). სხვაგან, 358-ე გვერდზე კი ვკითხულობთ: იუნე ჯავახიშვილმა თავისი ცხოვრება „გადაგვიშალა, მაკრამ ჩვენ ჯერ იგი კარგად არ წაგიყითხავს. უფრო სწორი ნათქვამი იქნებოდა: ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს იუნე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობიდან მისაკვლევ-მოსაძიებელი და აღსაქმელ-გასანალიზებელი“.

სარეცეზიო წიგნი პუბლიცისტური მგზნებარებითაც არის გამსჭვალული, რაც მიუთითებს, რომ ავტორი დაფიქრებული პიროვნებაა და არ შეუძლია განზე გადგეს დღვევანდელ ჩვენს საზოგადო საწუხაოთაგან. აი, აღნიშნულის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი: „იუნეს აზრით, საჭიროა ჩაგულრ-მავდეთ საკუთარ მდგომარეობას და ვიბორო გამოსაყალი. ამ გამოსაყალს კი ჩვენი უკეთურების სხვებზე გადაბრალებით ვერ ვიპოვით, ვერც საკუთარი ნაკლის მიფუჩებულით. და ეს თუ ასეა, მაშინ ვაჟკაცურად უნდა ვაღიაროთ ჩვენი ნაკლი, ვთქვათ ხმამაღლა, დავგმოთ და განვთავისუფლდეთ მისგან“ (გვ. 53).

დავით სართანიას კრიტიკული პათოსი მხაფრია წიგნიდან სხვა ამონარიდშიც: „მთავარია თვალი იუნე ჯავახიშვილი დაბრუნდეს

უნივერსიტეტში, რაც იმას ნიშავს, რომ საუნივერსიტეტო დაგეგმვაში დაუკერძნობით იყანეს პრინციპებს და საუნივერსიტეტო გარემო გაიქმნით იყნეს სულისკვეთებით“ (გვ. 134), „და როცა ეს მოხდება, იმ დღიდან დაწყება ახალი ეროვნული აღორძინება, რადგანაც ყოველივე ამას მხოლოდ იმგვარი საზოგადოება განახორციელებს, როცორიც ფანეს დროს იყო. მათი მემკვიდრით კი შემდგომში იყოვე პროცესები განვითარდება, რაც 1918 წლის აქტით განხორციელდა“ (გვ. 135). შევნიფრად და ამასთანვე დიდი გულისტკვიფილით არის ნათებამი და გამგები ამ სულისკვეთებას უთუოდ გაიგებს.

მიუხედავად საკმაო საეკიალური ლიტერატურისა, მაინც იგრძნობა საჭიროება იყანე ჯავახიშვილის, ვითარცა ფილოსოფიურად მოაზროვნე პირის უფრო ღრმად გაეგებისა. ასეთი რანგის ისტორიკის, ადგილად დამეთხმებით, გვერდს ვერ აუქცვდა ფილოსოფიასა და სოციოლოგიას (ზოგადს). ჩვენი ფიქრით გუქვს საფუძველი დავინახოთ მისი კუშირი ნეოკანტიანელობასა და პოზიტივიზმთან. ასე რომ, ვერ გავიზიარებთ სიმონ ჯანაშიასეულ მოსახრებას, რაც მან ფანე ჯავახიშვილთან დაკავშირებით 1930 წელს ე.წ. ჯორჯარატივეშჩინის წინააღმდეგ გამართული ბაქენალიის დროს განაცხადა: „გაუგებრიბით (!) მიმაჩნია, როდესაც პროფესორ ჯავახიშვილს მიაკუთვნებენ რიკერტის ან ვინდელბანდის სკოლას. არავითარი მაგისთანა სკოლას ჯავახიშვილი არ ეკუთვნის, არავითარი ფილოსოფიური კონცეცია(!) მას არ მოეპოვება“ (გვ. 894). ეტკობა, მაშინ მოწაფემ მოძღვარი დაიცვა ასეთი „ბრალდებისგან“. მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი დიდი წინაპრისთვის უთუოდ დამსხასიათებელი გახლავთ ფილოსოფოსობის ნიშან-თვისება.

გავიხსენოთ თუნდაც ის გარემოება, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში განსწყლისას იგი ნებაყოფლობით ესწრებოდა გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის, ნიკოლაი კარევის (სხვათა შორის, ნეოკანტიანელის) ლექციებს.

ივანე ჯავახიშვილმა დაგვიტოვა მშვენიერი მაგალითუბი ისტორიულ-ფილოსოფიური აზროვნებისა, რასაც სათანადო წარმოჩენა და შემდგომი განვითარება ესაჭიროება. ამ მიმართებით მას ბეჭრი რამ პქონდა ჩაფიქრებული, რაც შემდგომში, სასტიკ საბჭოურ პირობებში გამოირიცხა (ასევე ვიტყოდით ისტორიკოს გრიგოლ ნათაძის შესახებაც). ამიტომ იგი იძელებული გახდა, ემპირიული ხასიათის ნაშრომების დაწერით შემოფრინელულიყო.


რაც შევხება საკუთრივ მარქსიზმს, ამის თაობაზე დავით სართვანია აღნიშნავს: „საბჭოთა სახელმწიფოო თავის იდეოლოგიად მარქსიზმი გამოაცხადა, რომელსაც ლენინიზმიც მიუმატა. ეს უკანასკნელი სინამდვილეში ვულგარულად გაგებული მარქსიზმის ცხოვრებაში ძალადობით გატარების მეთოდი იყო“ (გვ. 281-282). ცხადაა, იყანე ჯავახიშვილი შორს იდგა მარქსისტული მსოფლიმედველობისგან და მისი სერიოზული შესწავლა (არა საბჭოური გაგებით!) არ უცდია. მას არ მიუბამავს მაგან რუს საბჭოთა ისტორიკოსთათვის, რომლებიც გულმოდვინედ შეეცალნენ რუსეთის ისტორიის მარქსისტულად (ცხადია, უაღრესად დამახინჯებით) გაგება-გაბაზრებას. მაგრამ ამას ვერ ვიტყოდით ილია ჭავჭავაძეზე, რომელიც საკმაოდ სერიოზულად ეკიდებოდა მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიკასა და ისტორიულ მატერიალიზმს (რაც გამოიყენა კიდეც ნოე შორიდანიასთან კამათში). სხვა ამბავია, თუ როგორ დამსხასიათება აღნიშული მოძღვრება საბჭოურ სინამდვილეში!

თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტი 1918 წლის  
26 ანუარს (ახალი სტადიო 8 თებერვალს) დაარსდა

ვაკერაშვილი  
იმპერიუმი



ივანე ჯავახიშვილი  
სამუშაო  
მაგიდასთან



დიდად სამწუხაროდ, აღნიშნულის თაობაზე დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალზე ზერელ წარმოდგენები მკვიდრდება.

მიუხედავად სარეცენზიო წიგნისადმი ჩვენებული საერთო კათილგანწყობისა, გვაქვს მოელი რიგი შენიშვნებისა.

სიღნაღი არ ყოფილა ჩვენი დიდი წინაპრის დედულები (იხ. გვ. 7). აქ მასწვლებლად იყო განწესებული მამამისი – ალექსანდრე ჯავახიშვილი (იხ. ისტორიკოს დაგით გვრიტიშვილის სათანადო ნაშრომი). სხვათა შორის, თავად გახვახიშვილებზე, ომელ საგვარუელოსაც მიეკუთვნებოდა დედამისი, წიგნის მეთორმეტე გვერდზე გვითხულობთ: „ეს დედისეული წინაპრებია, კახეთიდან, ქალაქ თულავიდან.“

ავტორი, ჩანს, იზიარებს ქართველ ფილოლოგთა იმ შეხედულებას, თოთქოს ქართულ ეპიგრაფიკაში მოხსენიებული „ძევახ//ზევახში“ „ჯავახი“ იგულისხმებოდეს. ეს სახელი სკვითურ-ალანური წარმოშობისა უნდა იყოს (ოს მეცნიერისა, ვასილ აბავის თვალსაზრისი), ხოლო სახელი „ჯავახი“ თორელთა საგვარუელოში დამკვიდრდა ჯავახეთში მათ სამამულე მფლობელობა-გამგებლობასთან დაკავშირებით (ისტორიკოს ნოდარ შოშიაშვილის შეხედულებით).

„ლახტინის ქუჩის ნაცვლად (გვ. 141) (პეტერბურგში, სადაც ცხოვრობდა ივანე ჯავახიშვილი), უნდა იყოს „ლახტის ქუჩა“ (ფრნური ქალაქის მიხედვით).

ქართველი მეცნიერის გვარად ლომიას

სახელი წიგნში ხან „სპირიდონად“ (გვ. 142, 260), ხან კი „სილიბისტროდ“ (გვ. 249) მოიხსენიება.

184-ე გვერდზე აღნიშნულია: „ივანე ჯავახიშვილი არც სასულიერო პირი იყო და არც პოლიტიკური იღეოლოგი“. ეროვნული იღეოლოგი ხომ უცილობლად გახლდათ?!?

თოთქოს ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მეურ დაწერილ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს 1943 წელს მიენიჭა სტალინური (სახელმწიფო) პრემია (გვ. 285). მაგრამ ცნობილი ფაქტია, რომ ეს მოხდა 1947 წელს. ჩვენი მოსაზრებით, ამგვარ დაჯილდოებაში ლავრენტი ბერია არაფერ შუაში იყო (იხ. გვ. 285) და ეს მოდიოდა „ხალხთა დიდი ბელადისგან“. ამ მიმართულებით კა საჭირო არ უნდა იყოს „დაველოდოთ ახალ საარქიფო მასალებს“ (ივე).

უნივერსიტეტის ბაზაზე დაფუძნებული ერთ-ერთი ინსტიტუტის დირექტორის – ვაშავების სახელი გახლდათ არა ილია (გვ. 293, 299, 307), არამედ – ივანე.

294-ე გვერდზე მითითულია „ვინმე მეგრელიშვილი“, მომღვანეობენ გვერდზე ვხვდებით მის სახელს „გაბრიელ“. ჩვენი ეკონომისტები და ისტორიკოსები ადვილად მიხვდებიან, რომ საქმე ქება ასე თუ ისე ცნობილ ეკონომისტს.

315-ე გვერდზე მცდარადაა მითითული სტალინის, კიროვისა და უდანოვის შენიშვნები სამოქალაქო ისტორიის სახელმძღვანელოს კონსაკეტზე – 1926 წელი. მაგრამ ამას ადგილი პქნიდა ათი წლის შემდეგ.

ისტორიკოსისა და საბჭოთა მოღვაწის, სახინიძის სახელი იყო ალექსანდრე და არა მიხეილი (გვ. 332).

411-ე გვერდზე საუბარი ქება გერმანელ ფაზიკოსებს, მათინ როცა იმავე ტექსტში, 106-ე გვერდზე, გერმანული ქიმია ფიგურირებს.

ასეთია ჩვენებული მოსაზრებანი ისტორიკოს დაგით სართანიას მიერ დაწერილ წიგნზე „ესკიზები ფანე ჯავახიშვილის პორტრეტისათვის“. როგორც მის ანოტაციაშია აღნიშნული, „იგი ერთგვარი მოსაზრადებელი ეტაპია განხრახული ვრცელი ბიოგრაფიულ რომანისა, სადაც ამ დიდი აღამიანის ღვაწლი იქნება ასახული“. ვისურვებდით, ავტორს ასეთივე წარმატებით გაერთვას თავი ამ ჩაფიქრებული საქმის აღსრულებისთვის.

## გურამ მორანაშვილი

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

# ამონახილები ქვები შენახ-გაზათებილენ



## ილიას წერილები

**დოკუმენტები და მოგონებები**

ილია ჭავჭავაძის წერილები  
დაბადებითან 85 წლის აღსანიშნავად  
(1837 27 X 8 XI 1922 წ.)

ჩვენს ოფიციალურს კრიტიკას და ბიო-გრაფიას, ყოველთვის ნაკლებად აინტერესებდა მწერალის ინტიმი. ცდა ინტიმის გამოტანის იყო-იონა მეუნარებია. მაგრამ მისი ერთი ნაკლი იყო პოეტის მთელი შემოქმედების გამოყენება ბიოგრაფიის მასალად; პოეტურ ფაკტში დანახვა ბიოგრაფიული ფაკტის.

ამიტომა რომ მის ბიოგრაფიებში ადა-მიანი პოეტს-ადამიანს აწევს თავის სიმძიმით. ინტიმსაც რომ დავანებოთ, ლიტერატურის შეკლების განვითარება და ყოველი ლიტე-რატურული ტრადიციები წარმოუდგნენელია, გარეშე ხრონილობიურ ლიტერატურისა, უკანასკნელისათვის კი ბიოგრაფიული მა-სალაა საჭირო.

ჩვენში არც ერთი დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე ბიოგრაფიულად არ არის შესწავლილი. ვერონებთ საგამო დრომ გაიარა საიმისოდ, რომ უკვე არსებობდეს კოდექსები ილია ჭავჭავაძის, ვაჟაფშაველის და სხ.

ევროპასა და რუსეთში თითული მწერალი პირდაპირ მიკროსკოპიულად შესწავლილია უბრალო დეტალამდე უმნიშვნელო ფაკტებამდე (მაგ. ხსენებული მწერალი ეწეოდა თუ არა პაპიროზს) და სასვენ ნიშნებამდის... პუშკინიანა ხომ აქამდის მივიდა რომ „პუშკინოვედებს“ დღეს „პუშკინოვედებს“ ეძახიან ისე გამოფატრეს და გადაისწავლეს პოეტი.

თითული სტრიქონი დიდი მწერალის, ხდება ძვირფასი ჩამომავლობისათვის — სწერდა პუშკინი ვოლტერის ახალ წერილების გამოცემაზე. „ჩვენ ცნობის მოყვარეობით ვშინჯამთ“ ამბობს იგი: ავტოგრაფებს, რომლებიც, სხვას არას წარმოადგენს, თუ არა გასავალ ხარჯების დავთრის ნაგლეჯს ანუ



ილია ჭავჭავაძე

მკერვალთან მიწერილს ბარათს გადასახდელ ფულის დაცდის შესახებ.

ჩვენ ძალაუნებურად აგვაღელვებს ფიქრი, რომ ეს ხელი, რომელმაც დასწერა ეს ჩუმი ციფრები, ეს უმნიშვნელო სიტყვები, — იმა-ვე თითებით და შეიძლება იმავე კალმითაც, სწერდა დიდს ნაწარმოვებებს — საგანს ჩვენის შესწავლის და აღტაცებისას“.

დკერვალთან მიწერილი ბარათი ჩვენთვის კომფორტია. ასეთ ბარათებს ვინ დაითვლის, როცა მხოლოდ 6. ბარათაშვილის ოციოდე წერილის და გრიგოლ ორბელიანის რუსული დღიურის ნაწყვეტების გამოქვენებით ამოი-წურება მთელი ბიოგრაფიული ძასალები ჩვე-ნი ლიტერატურის, კერძოდ, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ილია ჭავჭავაძის კოლო-სალური პიროვნება. კაცი რომელიც ატარებს „მეცხრამეტე საუკუნის“ სახელს, არც ერთი მხრით არ არი შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ მისი თხზულებანი უთვლელათ არი გამოცემული. არც ერთი მისი კერძო წერილი არც აკადემიურსა და არც მომცრო



ეროვნული  
მუზეუმი

ექიმი მიხეილ გედჯანშვილი (1862-1922 წწ.)

გამოცემებში გამოქვეყნებული არ არი, მაშინ, როცა აუარებელი მსალები დაგროვილია მუზეუმებსა და კერძო ოჯახებში.

დროა ამ დიდ საქმეს შეუდგეთ და ამოვავსოთ უფსკრული, რომელიც დღითი დღე ამოვუსებული ხდება.

ამ აზრით ჩვენს გაზითში დაგარსეთ განყოფილება „დოკუმენტები და მოგონებები“, სადაც შეკვეთის შასალები ქართველ მწერლებზე.

ჩვენ დავიწყეთ ილიასგან, რომელიც დღეს ხელმეორედ იყრობს საქართველოს.

აუტოგრაფებს გავეცანით ე. მიხეილ გედჯანიშვილის არხთვში, რისთვისაც აქვე მაღლობას ვუცხადებთ. ყოველი აქ მოყვანილი წერილი პირველად იძექდება. წერილებს შეძლებისამებრ დართული აქვს ჩემებან პატარა კომენტარიები, რომელიც, რასაკვირველია, ყოველ აკადემიურობის პრეტენზიებს მოკლებულია. რადგან ჩვენს ხელთ არ არის ილიას სრული მიწერ მოწერა და შეიძლება შემდეგშიც ბევრი აღმოჩნდეს, ამიტომ წერილების ხრონოლოგიურად დაწყობას აქ ვერ ვგისრულობთ. დასასრულ მივმართავთ

ეველას, ვისაც კი მოეპოვება ილიას ან სხვა მწერალთა კერძო წერილები გამოგვიგზავნოს გაზ. „ბახტრიონში“ გამოსაქვეყნებლად. დაბეჭდვის მერე ავტოგრაფები პატრონებს დაუბრუნდებათ.

### წერილები პეტრე უმიკაშვილთან

I.

„შენი წიგნი დღეს მოვილე და დღესვე პასუხს გწერ. ჩემი აზრი ეს არის: კრებული უნდა არსებობდეს უსათუოდ. ვიცი ამ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენა ვართ, მნელია მაგ კრებულს ნოუიერი საზრდო მიცეთ, რაღაცანაც ნიჭიერი მწერლები მაინც და მაინც არა გვყავს. იქნება მაგ კრებულს საქმე რიგაიანად წასულიყო, რომ მწერლებს უურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონოდათ. მაგალ. რომ ქალაქში ერთი იმისთანა სახლი მოძებნილიყო საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვათა თანამგრძნობელთ ერთად თავის მოყრი თვითუელის გონების საუნჯის აღებ-მიცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ არც ესა ხერხდება. მართალი სარ შენ: გაფანტულობა და დაქასაქსულობა გვღვებავს ჩვენ. მაგრამ მაინც და მაინც კრებული უნდა არსებობდეს, თუმცა დიდს შემწეობას ვერა გაირდები, მწერალს დამოუკიდებლობას უნდა ეკუთვნოდეს სხვისა არ ვიცი და მე კი ესეთის აგებულების ვარ.

გწერ მოახერხე როგორმეო, უკველად ქალაქში გადმოხვიდეო. ეს ჩემი გადმოსელა ადვილია, თუ ვაკანსია გაიხსნება, დაპირებულებიც არიან, მაგრამ ჩემს დამოუკიდებლობას ეს რას უშეველის, თუ კიდევ სამსახურში ვიქნები. მე უნდა სამსახურ გარედ ვიყო. სამსახურის თავის დანებება ჩემთვის ამ უამაღ დიდი არაუკრია. და თუ სამსახურიდამ გამოვალ მარტო იმისათვის, რომ უურნალი გამოვპიცე. ვფიქრობ, და ეს გამოცემა ვერ მომიხერხებია. აი სრულიად დაბრკოლება ჩემი, რომელიც ხელსა და ფეხს მიკრავს. თუ ორიოდ და სამიოდ რიგაიანს (სად არიან?) მწერალზედ იმედი მექნება, ანუ უკეთ მომეცემა, მაშინვე დავკრავ ფეხს, გადავარდები ბახტრიონ გალავანზედა.

იერემიას გოდება როგორდაც თავში ვერ მომდის და იმისათვის არ გაგილექს: სწორედ გითხრა იმიტომ არ მამივიდა, რომ არ მესმის, თუმცა დიდის ყურადღებით წავიკითხე.

საბაგლად არის თარუმნილი ჩვენს დაბადებაში, თუმცა ალაგ ალაგ კარგია.

კორესპონდენტად, ანუ უკეთ, კომისსიონერად წიგნების გასასყიდად, დუშეთში გიმოვნე სანდო კაცი: ზურაბ სეიმონის-ძე მორთულაძე. ეს მოგიხერხებს წიგნის გასყიდვასა. მომავლის ნომრისათვის ჩემი აჩრდილი დაბეჭდეთ ჰირველი სამი ხანა. მეტი არა მაქვს რა.

მუხრანსკის ბრაშურა წავიკითხე და ჩემი პასუხი. ლიშტ право силъного раб. свято исполняет. маг брорашурин с პასუხად აი რა დავწერე და გთხოვ დროებაში დაბეჭდინო, ჩემს გვარს ნუ მოაწერ.

გვერდზე მინაწერი:

როგორ არა გრცხვენიან, რომ რაც ქართული წიგნები გამოდის, არ მიგზავნი? აი ქალებს რომ უთარგმნიათ, გამომიგზავნე. უული არ დაგეგარგება.

ჩვენის აზრით, აქ წერილს ბოლო უნდა აკლდეს.

(წერილის თვეზე აწერია: მივიღე დუშეთიდამ 1872 წ. ენკენისთვის 1-სა პ. უმიკაშვილმა ეს წერილი და სახე იღიასი).

### პეტრე უმიკაშვილს II.

(21 თბათვეს 1872 წ. დუშეთიდამ)

„პეტრუს ბეგ! შენი წიგნი გამოვიდა, მაგრამ პასუხი დაგიგვაინე, მომიტევე. რაც წიგნში მოგწერა, კველაფერზე ჩემი სრული თანხმობა გამომიცხადებია ახალის რისამე გამოგზავნას მენუკვი, მაგრამ ახალი არა მაქვს რა, რომ დასაბეჭდად ლირსი იყოს. გაგიკვირდება ჩემი ზარმაცობა, მაგრამ დამიჯერე, რომ ზარმაცობით არ მამდის. მე სწორედ გითხრა, ცუდის აგებულების კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შალაგათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას თავს



პეტრე უმიკაშვილი,  
ქართული  
ფლეხოვინისტიკას  
ერთ-ერთია  
სულისჩამდებლი,  
ლატერატორი და  
პუბლიცისტი

არ დაგანებებ — ეს მოსვენება და შალაგათი ჩემთვის სიზმარია. თუ დავიწყე, რამე და არაფერმა არ დამიშალა, დაწყობილს მალე შევასრულებ და თუ დაწყობილი შემაწყვეტინა რამემ გათვადა: მე იმ დაწყობილს ვეღარ მოვუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოვალეობა არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. დიდად ვწუხვარ ამ გვარ მდგომარეობისათვის, მაგრამ შევლა არსათ არი. ვფიქრობ თავი დაგანებო სამსახურს, მაგრამ რით ვიცხოვრო. ვა თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა პურის შონის დევნაშია, სამსახურს რომ თავი დავანებო. ესეა ჩემი ვითარება. მაგრამ მაინც კიდევ ვეცდები როგორმე დავწერო რამე. წინადევ არის გპირდები, იმიტომ რომ ბევრჯერ დაპირებული ვერ ავასრულე“.

შენი იღია ჭავჭავაძე „ბახტრიონი“, 1922 წ. №17  
მოამზადა თუ ცაგურიშვილმა

„ბახტრიონი“ ქართული კუულკვირულული და საინფორმაციო გაზეთი იყო, გამოდიოდა 1922-1923 წლებში თბილისში. მასი რედაქტორი გიორგი ლეონიძე განლაგა სულ გამოვიდა 28 ნომერი

მა, სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტიდან თავმ-

## დოკუმენტები და მოგრევები

### ილია ჭავჭავაძის წილილები

დაბადებიდან 85 წლის აღსანიშვავიდ (1837 27 X 8 XI—1922 წ.)

ჩვენს ოფიციალურს კრიტიკას და ბიოგრაფიას, ყოველთვის ნაკლებად აინტერესებდა მწერალის ინტიმი. ცდა — სწერდა პუშკინი ვოლტერის ახალ წერილების გამოცემაზე. „ჩვენ ცნობის მოყვარეობით ვშინჯამთ“ ამბობს იგი:

# „ხორვატიული გაზაფხული“



უსტაში მებრძოლების ქლიტური ბრიგადა

„ტანკებმა მაცივესტანტებს უორის ჩაიარეს. ზოგიერთი მათ ჯონს ურტყამდა. ღემონსტრანტებს ფშიც არ მოუცვლიათ...“

საქართველოში ბევრი ითქვა და დაიწერა „პრაღის გაზაფხულზე“. მეოთხეულს მოქსენება კომუნისტ-რეფორმატორ აღვესანდრ ლუბჩევს შესახებ. კარგად არის ცნობილი იან პალახის სახელიც, რომელმაც საბჭოთა ინტერვენციისადმი პროტესტის ნიშანად თავი დაიწვა. თუმცა, ჩვენთან ნაკლებად არის ცნობილი „ხორვატიული გაზაფხული“, არადა, იქაც არანაკლებ ბობოქარი მოვლენები ვითარდებოდა, ვიდრე ჩეხოსლოვაკიაში.

## სერბები VS ხორვატები

დღეს ალბათ ბევრს გაუკვირდება, რომ პანსლაგური იდეა ხორვატიიდან წამოვიდა. ხორვატიული სამეფოს დანგრევის შემდეგ მონობის ხანგრძლივი პერიოდი დაიწყო. თურქები, ასტრიელები, უნგრელები ხორვატიაზე კონტროლის დამყარებას ცდილობდნენ. ხორვატიაშიც ორი მიმართულება გაჩნდა. პირველი სლავური ერთიანობის იდეა იყო, მეორე — ხორვატიული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ადღვენის.

ხორვატმა ინტელექტუალმა იურაი კრისანიშმა სლავური ერთობის იდეა რუსეთის ხელმწიფეს ჩააწევთა. სლავთა ერთიანი სახელმწიფოს შექმნა რუსეთის იმპერატორის გვირგვინის გარშემო რუსეთში პოპულარული იყო. პოლონელები ამას ფრთხილად ეკიდე-

ბოდნენ, სერბები მხარს მხერვალედ უჭერდნენ, ხორვატიაში პანსლაგიშმს სერიოზული ოპონენტები გამოუჩნდნენ. ერთ-ერთი მათგანი ანტე სტარჩევიჩი წერდა: ერთიანი სლავური სახელმწიფოს შექმნა თურქული უღლის რუსულით შეცვლას მოიტანს. მონობის ერთი ფორმა მეორით შეიცვლება!

ანტე სტარჩევიჩი (1823-1896) ხორვატიული ახალი ერთოვნული მოძრაობის ფუძემდებლად მიიჩნევა. მალე გამოიკვეთა რადიკალური ფრთა, რომელსაც ზაგრებელი ადგომატი ოსებ ფრანკი ეკდა საიდეაში. ის აშკარა ანტირუსული, ანტისერბული ლოზუნგებით გამოვიდა.

— ხორვატია ევროპული ცვილიზაციის ნაწილია. რუსეთი კი ნახევრადევროპული, ნახევრადაზიური სახელმწიფოა. იგივე შეი-

ძლება ითქვას ჩვენს მეზობელ სერბებზეც. ისინი სხვა ცივილიზციის წარმომადგენლები არიან. მათი ფასეულობები ჩვენთვის უცხო და მიუღებელია, ისევე როგორც ჩვენ მათვის სრულიად უკახო ვართ, — წერდა ფრანკი.

მიუხედავად ამისა, პანსლუური ილუზიები განსახლევრულ მომტნტამდე ძალიან ძლიერი იყო და მათი განეიტრალება კვრ მოხერხდა. 1918 წელს, პირველი შეოფლიონ ომის დასრულებისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, ხორვატებმა სამხრეთის სლავთა ერთიანი სახელმწიფოს შექმნას დაუჭირეს მხარი. სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფო — ასე ეწოდებოდა ამ წარმონაქმნეს. სერბულმა ჰეგემონამ მალე თავი იჩინა. ამას ხორვატების, სლოვენებისა და მაკელონიელების უკავშიროება მოჰყვა.

— ჩვენ გვსურს ცხოვრება სერბებთან ერთად და არა მათი უღლის ქვეშ. ჩვენ გვიზნდა, რომ სერბი იყოს ჩვენი ძმა და არა ბატონი,  
— განაცხადა ხორგატის გლეხთა პარტიის ლიდერმა სტეპან რადიოჩა.

მიუხედავად ამისა, სერბები ჯიუტად ცდილობდნენ ჰევემონის როლის დაკავებას. ქვეყანაში ვითარება დაიძაბა. 1928 წელს პარლამენტის სხდომაზე სისხლიანი ინციდენტი მოხდა. ველიკოსერბმა შოვინისტმა პუნიშა რაჩიჩმა მოკლა ხორვატების ლიდერი სტეპან რადიოზი და კიდევ რამდენიმე დეპუტატი.

— სერბების ძალადობის პასუხად უსტაშთა ცნობილი ორგანიზაცია აღმოცენდა. ხორვატებმა სერბების ძალადობას კონტრა-ლადობა დაუპირისპირეს, — წერს პროფესორი ანტე ბონიაზატიჩი.

უსტაშთა ორგანიზაცია ადგოკატმა ანტე პაველიჩხა (1889-1959) შექმნა. იგი ამ ორგანიზაციის მეთაური (პოლაგნიკი) გახდა. მოგვიანებით იტალიელ ჟურნალისტ ბერნარდო ამირაზისთვის საუბალში პავლოზი იტყვის:

— უსტაშები პოლიტიკური ორგანიზაცია  
არასოდეს ყოთილა. იგი სამხედრო ორგანი-



ଓঁ  
օঁগোক্ষেলাঙ্গীৰ  
সাৰ্মেতোৱে  
ৰঞ্জিত (1930 খ.)

ଓঁ  
ওঁগোক্ষেলাঙ্গীৰ  
মেজা  
অলৱ্যস্বান্দৰ I  
কাৰাগৱৰণগৱৰিহি

ମେଘ  
ଅଲ୍ଲୟଶ୍ଵାନଦ୍ରଙ୍ଗସା  
ଦା ମିଳାନ୍ତିର  
ଲୁହ ଦାରତୁହୁକେ  
ପ୍ରକ୍ରିଯାନନ୍ଦବା  
ମାରିଶ୍ଵରିଥିରେ  
ଶ୍ରୀରାତରଥ୍ବ:  
ଦିନପ୍ରକାଶ ନିର୍ମଳବା  
ଦା ସରନନ୍ଦବାନୀ  
ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗ





ანტე პავლიშის

ზაფია გახდათ. ჩვენ სერბი დამპყრობლების წინააღმდეგ იარაღით ხელში ვიბრძოდით!

უსტაშების ნახელავია ლიკის ლეგენდარული აჯანყება (1932 წ.), აგრეთვე მეფე ალექსანდრესა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლუი ბარტუს მკვლელობა მარსელში (1934 წ.). უსტაშები რადიკალურ დაჯგუფებას წარმოადგენდნენ. ისინი ხორვატიის დამოუკიდებლობის მიღწევას იარაღის ძალით ცდილობდნენ.

ხორვატიულ ეროვნულ მოძრაობაში გამოიკვეთა ზომიერი ფრთაც, რომელსაც ვლადკო მაჩეკი ედგა სათავეში. მან მიაღწია იმას, რომ 1939 წელს ბელგრადი ხორვატიის აუტონომიას (სპორაზუმს) დათანხმდა. თუმცა, ხორვატების ფართო მასები ამან ვერ დააკმაყოფილა. როცა 1941 წელს გერმანიის, იტალიის, უნგრეთისა და ბულგარეთის ჯარები იუგოსლავიაში შეიჭრნენ, ხორვატიაში მასობრივი შეიარაღებული აჯანყება დაიწყო. 1941 წლის 11 აპრილს უსტაშებმა ზაგრებში ხორვატიის დამოუკიდებლობის აღდენა გამოაცხადეს. 1941 წლის 16 აპრილს ზაგრებში იტალიიდან ანტე პავლიში ჩავიდა და ხორვატიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს ჩაუდგა სათავეში.

## პასლიავიზმი იღუზიების

### დასასრული

ანტე პავლიშის მართლაც სურდა დამოუკიდებელი, დამოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, მაგრამ რეალობა მკაცრი გახდათ. დამოუკიდებლობის გამოცხადების მიუხედავად, ხორვატია გერმანია-იტალიის მიერ იყო ოკუპირებული. თავდაპირებულად იგი, ფაქტობრივად, იტალიის პროტექტორატს წარმოადგენდა. იტალიელებმა ჩამოაჭრეს ხორვატიას მთელი ზღვისპირეთი, კოპანესაციად კი ბოსნია-ჰერცეგოვინა უბოძეს. შემდგომში ხორვატია უკვე გერმანიის გავლენის ქვეშ მოექცა. ნაცისტებმა პავლიშის რასასტული კანონების მიღება აიძულეს. სერბები, ბოშები თუ ებრაელები კანონგარეშე გამოცხადდნენ. პავლიში იძულებული იყო, ამას დათანხმებოდა.

— ნაცისტები ხორვატიის დამოუკიდებლობას დროებით დათმობად აღიქვამდნენ. პავლიში, ისევე როგორც საერთოდ უსტაშები, სიტუაციის მძევლებად გადაიქცნენ, — წერს ცონბილი ამერიკელი მოლგაწე ბარი გოლდურტერი.

მალე იუგოსლავიაში საშინელი სასაქლაო გაჩაღდა. სერბი მონარქისტები (ჩეტნიკები) ებრძოდნენ როგორც გერმანელებს, ასევე ტიტოს პარტიზანებსაც. კომუნისტები თავიანთი ბელადის, იოსიპ ბროზ ტიტოს (1892-1980) მეთაურობით როგორც გერმანელებისა და იტალიელების, ასევე სერბი ჩეტნიკებისა და ხორვატიულ სტაშების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამ საშინელ სისხლიან ქარბორბალაში ანტე პავლიშიმა შესაშურა ვაჟკაცობა, პოლიტიკური სიბრძნე და ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა. მან ხორვატების დიდი ნაწილის კონსლოიდაცია შეძლო. პანსლავური ილუზიები ხორვატებში საბოლოოდ გაქრა, დამოუკიდებლობის იღეამ კი ფართოდ გაიდგა უესევები.

— მიუხედავად ამისა, ჩვენ მაშინ თავისუფლების მოპოვება ვერ მოვახერხეთ, — წერს ანტე ბონიფატიში.

ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ, მსოფლიო წესრიგი გამარჯვებულმა ქვეყნებმა — სსრ კავშირმა, აშშ-მა, ინგლისმა და საფრანგეთმა შექმნეს. მათ ერთიანი იუგოსლავიას აღდგენას დაუჭირეს მხარი. ერთადერთი ძალა, რომელსაც ერთიანი სახელმწიფოს აღორძინება ძალუძა, კომუნისტი ტიტო გახლდათ. რუსული არმიის

დახმარებით ტიტომ იუგოსლავიაში თავისი დიქტატურა დამყარა.

— ხორვატები გმირულად იბრძოდნენ. უსტაშ პარტიზანთა ცალკეულმა რაზმებმა 1956 წლამდე გაძლეს, — წერს ამერიკული ისტორიკოსი ჯონ არმსტრონგი.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იუგოსლავიაში კომუნისტური დიქტატურა დამყარდა. ეს ძალადობის, ტერორის, დემაგოგისა და უცხო ძალების მხარდაჭერით მოხდა. პანსლავური იღუზიები ხორვატებში სრულიად განქარდა.

### ტიტოს პრეარომისახი

იოსიპ ბროზ ტიტო ცბიერი პოლიტიკოსი იყო. მან არა მხოლოდ ძლიერი არმია და უშიშროების სამსახური (უბდ) შექმნა.

უკვე 1943 წლიდან ტიტომ მჭიდრო კავშირი დამყარა ამერიკელებთან. ამან საშუალება

მისცა, თავი რუსული დიქტატისგან დაცუა.

1948 წელს სტალინმა ტიტოს დაშხობა სცადა. შეთქმულებას სათავეში გენერალი არსო იოვანოვიჩი ედგა. ამერიკის დაზერგვის დახმარებით ტიტომ შეთქმულება ჩაატარო. იოვანოვიჩი მოკლეს. პასუხად სტალინმა იუგოსლავიასთან დაიპლომატიური ურთიერთობები გაწვიოტა, თავად ტიტო კი ფაშისტად გამოაცხადა. უფროსი თაობის ადამიანებს ალბათ ახსიოდ კუპლეტები, რომლებიც 1949-1953 წლებში

სსრ კავშირში ფრიად პოპულარული იყო:

— ტრამპა ტიტო, ტრუმპა ტიტო!

იუგოსლავიის დიქტატორმა სიტუაციას


თანამდებობიდან გადაა-  
ყენა და დაპატიმრა. ხორვატი კომუნისტების  
ლიდერს, არც მეტი, არც ნაკლები, საბჭოთა  
აგენტობა(!) დააპრალეს. ამავე დროს, ტიტო  
რიგ კომპრომისზეც წავიდა. ის ჰებრანგს ს  
გაუსწორდა, მაგრამ ხორვატების რამდენიმე  
მოთხოვნაც დააკმაყოფილა.

— ტიტომ ჰადის ზაგრებში და ხალხმრავალ  
მიტინგზე გამოსვლისას ამბობს: მე ხორვატი  
ვარ, გესმით! მე ხორვატი და კათოლიკე ვარ!  
— წერს ბრიტანელი მწერალი და ჟურნალის-  
ტი რიჩარდ უესტი.

ტიტოს ბრძანებით, ხორვატიის კათოლიკურ ეკლესიას შეუნარჩუნდა ყველა კუთვნილი  
მიწა. უარი ითქვა ე.წ. სერბულ-ხორვატიული  
ენის ნორმების შემუშავებაზე. შენარჩუნდა  
1941-1945 წლების ტერმინი „ხორვატიული  
ენა“. უარი ითქვა იასენოვაცში მემორიალის  
შენებლობაზეც.



თასიძ  
ბროშ  
ტიტო



— იასენოვაც ში უსტაშებმა საკონცენტრაციო ბანაკი დაარსეს. მართალია, იქ არ ყოფილა ისეთი რეჟიმი, როგორიც თსვენციმსა თუ მაიდანებში, მაგრამ იასენოვაც ში უამრავი სერბი ან ხორვატი კომუნისტი დაიღუპა. თავად ხორვატები იასენოვაცის თემას შეურაცხეოფად აღიქამდნენ. ამ საკითხში ტიტომ დათმო, — წერს რიჩარდ უესტი.

უარი ითქვა ხორვატის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის, არქიეპისკოპოს ალოიზი სტეპანიაცის (1898-1960) სასტიკად დასჯაზეც. არქიეპისკოპოსი ნაციზმის თავგამოდებული მოწინააღმდეგე იყო. ომის დროს მან უამრავი ებრაელი და სერბი ბაშვი გადაარჩინა. ამავე დროს, სტეპანიაცი ხორვატი პატრიოტი გახლდათ. ის ხორვატის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას უჟროდა მხარს და კომუნისტები სტეპანიაცის შემდეგ უარი განაცხადა ემიგრაციაში წასვლაზე. კომუნისტებმა სტეპანიაცის ულტიმატუმი წაუყენეს: ან ტიტოს რეჟიმთან თანამშრომლობა, ან სიკვდილი. არქიეპისკოპოსმა მიუვ:

— ეშმაკთან თანამშრომლობას სიკვდილი მირჩვნია!

ტიტომ სტეპანიაცის დახვრუტა ან ჩამოხრჩობა ვერ გაძედა. არქიეპისკოპოსი ლეპოგლავას საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. სტალინთან კონფლიქტის შემდეგ ტიტოს ბრძანებით სტეპანიაცი შინაპატიმრობაში აი-

ყვანეს. უარი ითქვა კათოლიკური ეკლესიის მღვდლების მასობრივ დევნა-შევიწროებაზეც.

— ეს არსებითი დათმობა გახლდათ. ფაქტობრივად, ხორვატის კათოლიკური ეკლესის სახით ლეგალური ოპოზიციური სტრუქტურა შენარჩუნდა. ხორვატიული ეკლესია ნაციონალიზმის ციტადელად გადაქცა, — წერს უესტი.

იუგოსლავიის დიქტატორი უდიდეს დათმობებზე წავიდა ხორვატიული ინტელიგენციასთანაც. ბევრი ხორვატი ინტელექტუალი, რომელიც ომის დროს უსტაშებთან თანამშრომლობდა, რეაბილიტირებულ იქნა. მათ საშუალება მიეცათ, აქტიურ საქმიანობას დაბრუნებოდნენ. ამან უდიდესი დისკუსიები გამოიწვია თვით იუგოსლავიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. წინააღმდეგი იყვნენ როგორც უდიდ-ის შეფი რანკოვიჩი, ასევე მილოვან ჯილდისიც, რომელიც დემოკრატიულ ფრთას მეთაურობდა. ტიტო შეუვალი იყო:

— ეს აუცილებელია!

ტიტოს ძალისხმევით ლიტერატურაში დიდი ხორვატი მწერალი მიროსლავ კრლევაც (1893-1981) დაბრუნდა. კრლევას კოლორიტული ბიოგრაფია ჰქონდა. ახალგაზრდობაში კომუნისტებს თანაუგრძნობდა, მეორე მსოფლიო ომის დროს ხორვატიის დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი, თემცა უსტაშების რეჟიმის კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო. ამის გამო კრლევა ხელისუფლებაში უსტაშების ყოფნისას მოკლებული იყო შესაძლებლობას, თავისი წიგნები გამოექვენებინა. ამავე დროს, მან უარი განაცხადა, ტიტოს პარტიზანებს შეერთებოდა. როცა მიშები ჰკითხეს, მიუგო:

— ტიტოს პარტიზანები ხორვატიული სახელმწიფოს წინააღმდეგი არიან.

1945 წელს ზაგრებზე წითელი დროშა აღიმართა. მიუხედავად ამისა, კრლევამ ემიგრაციაზე უარი განაცხადა. მწერალს დაპატიმრება დაემუქრა — რაკი უსტაშებმა ციხეში არ ჩასვეს, მათი აგნტი გაძოდისო. მწერლის თხზულებები აიკრძალა. ის ლიტერატურაში მხოლოდ 1948 წელს დაბრუნდა. როცა იუგოსლავია-საბჭოთა კუშიონს შორის ურთიერთობა დაიძაბა, ტიტომ მწერალი თავად მიიღო, ესაუბრა. ამის შემდეგ კრლევა აკადემიკოსად აირჩიეს. მისი ნაწარმოებები კვლავ დიდი ტირაუით გამოიცემოდა. ისინი სასწავლო პროგრამებშიც შეიტანეს. მათ

მიხედვით იღებდნენ ფილმებს. 1960 წელს კრლეუჯა ორდენით დააჯილდოოს და ზაგრუბის საპატიო მოქალაქის წოდებაც უბოძეს.

თავად ხორგატიას კი ერთიანი იუგოსლავის საზღვრებში ფართო ავტონომია მიენიჭა. ხორგატიაში განაგრძო მოქმედება „მატიცა ხრვატსკას“ (ხორგატი დედაუტეტკარი). ეს გახლდათ ლიტერატურულ-სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელიც 1842 წელს შეიქმნა და ხორგატების ეროვნული ცნობიერების აღორძინებაში უდიდესი როლი ითამაშა. „მატიცა ხრვატსკას“ ხორგატების ეროვნული თვითმყოფადობის თორიიას ხმალამართული იცავდა. ტიტოს, რომელსაც ერთიანი იუგოსლავია სურდა, „მატიცა ხრვატსკას“ საქმიანობა ყელში მავლივით ეჩინირებოდა. მიუხედავად ამისა, იძულებული გახდა, მის საქმიანობას შერიგებოდა.

### დიტატორის შეტევა

სტალინის სიკვდილის შემდეგ სსრკ-იუგოსლავიას შორის ნორმალური ურთიერთობები აღდგა. ხრუშჩევი შეეგუა იმას, რომ იუგოსლავია საბჭოთა გავლენის სფეროში აღარასოდეს დაბრუნდებოდა. ტიტომ შემხედვითი ნაბიჯი გადადგა. 1956 წლის უნგრეთის აჯანყების დროს მან რუსებს უნგრეთის პრემიერი იმრე ნადა გადასცა, რომელმაც იუგოსლავიის საელჩოს შეაფრა თავი.

ნელ-ნელა სსრკ-იუგოსლავიას შორის მჭიდრო ურთიერთობები დამყარდა. მოსკოვი და ბელგრადი თანამშრომლობდნენ სამხედრო, ეკონომიკის, პოლიტიკის სფეროში. სუკმა და უდი-მ არაერთი საერთო ოპერაცია მოაწყვეს. მათ შორის უნდა გამოვყოთ ანტე პაველიჩე თავდასხმა (ბუჟნოს-აირესი, 1959 წ.), უსტაშია მოძრაობის ლიდერების ეუგენ (დილო) კვატერნიკის ან ვეკოსლავ ლუბურიჩის ლიგიდაცია.

რუსული საფრთხე მოიხსნა და ტიტოც შეტევაზე გადავიდა. 1954 წელს შეიქმნა „მატიცა სერბსკა“, რომელმაც ხორგატებს ერთიანი სერბულ-ხორგატიული ენის ნორმების შემუშავება შესთავაზა. „მატიცა ხრვატსკას“ ცალკეულმა წარმომადგენელმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა. ტიტოს ბრძნებით ისინი დააპატიმრეს.

იმავდროულად დაიწყო ხორგატიის სუვერენიტეტის შეზღუდვაც. მოიხსნა ტაბუ ისეთ თემებზე, როგორიცაა იასენოვაციის ბანაკი და სხვ. ყველაფერმა ამან ხორგატიული ინტელიგენციის წინააღმდეგობა გამოიწვია.

### ინტელიგენცია და ლისამაბა

კოველ ქმედებას უკუქმედება მოსდევს. სერბების ზეწოლის პასუხად ხორგატიული ინტელიგენცია ეროვნულ დირექტულებათა დასაცავად აღდგა. პატრიოტები „მატიცა ხრვატსკას“ გარშემო დაირაზნენ, რომელმაც ე.წ. სერბულ-ხორგატიული ენის წინააღმდეგ მკაცრად გაიღაშქრა. პატრიოტების გვერდით დადგა კრლეუჯაც, რომელმაც ხელი მოაწერა „მატიცა ხრვატსკას“ დეკლარაციას მშობლიური ენის დაცვის თაობაზე. მწერალმა ხმამაღლა განაცხადა:

— კრლეუჯა არასოდეს იყიდებოდა და არც გაიყიდება!

ინტელიგენტები, რომლებმაც შმობლიური ენის დასაცავად ხმა აღიმაღლეს, იუგოსლავიის კომპარტიის წევრები იყვნენ. ბევრ მათგანს მაშინ სოციალიზმის იდეალების გულწრფელად სჯეროდა, თუმცა ეს უფრო ვეროპული სოციალიზმი იყო და არა ის რუსული მოდელი, რომელიც იუგოსლავიაში ტიტომ დახერგა. მათი შეზღულებები ჩქოსლოვაკიის



აზეიგის სკოპოსი  
აღორიზი  
სტეპანაცი



დადი ხორგატი  
მწერალი  
მიროსლავ  
კრლეუჯა



ფრანის ტუჯმანი



ლიდერის, ალექსანდრ ღუბჩევის პოზიციას მოგავონებს. „სოციალიზმი ადამიანური სახით და ეროვნული სუვერენიტეტი“ — ამ სალხის პლატფორმა მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბოთ. ტიტომ საჯაროდ უსაყველურა, ინტერნაციონალისტები და მარქსისტები არ ხართ. კროლუა პასუხად დაწმუნა:

— მაპატიეთ, ამხანაგო ტიტო, მაგრამ არც  
ლენინთან, არც მარქსის მოძღვრებაში ერების  
გასერბება არ წერია!

კრლეუსა გარდა, შშობლიური ენის დასაცავად ხმა გენერალმა ფრანიო ტუჯმანმაც (1922-1999) აღიმაღლდა. ის მართლაც გამორჩეული ბედის კაცი იყო. შემძლებულ ოჯახში დაიბადა. მამამისი ხორვატიის გლეხთა პარტიის წევრი იყო. 1941 წელს მიესალმა ხორ-

ვატიის დამოუკიდებლობის აღდგენას, ამავე დროს, სასტიკად აკრიტიკებდა უსტაშებს და ამ უკანას ხელებმაც იგი მოკლეს. ყმაწვილი ტუჯმანი ტიტოს პარტიანებს შეუერთდა, გახდა კომპარტიის წევრი. ომის შემდგე ეწ-იუგოსლავის სახალხო არმიაში მსახურობდა და და გენერლის ჩინიც დაიმსახურა. 1959 წელს თადარიგში გაციდა.

ტუქმანი ხორვატიის მუშაობა მოძრაობას ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად დანიშნება. სადოქტორო დისერტაცია მან ტრიუმფით დაიკავა.

— ტუკამანი მაღლალი თანამდებობის პი-  
რი იყო. გადამდგარი გენერალი, ერთ-ერთი  
პრესტიული ინსტიტუტის დირექტორი.  
მიუწვდომად ამისა, შმობლიური ენის და-  
ცვის საქმეში აქტიურად ჩაეხა, — წერს  
„შლიახ-პერიმოგა“.

მოკლედ, ველიკოსერბულ შეტყვას ხორვა-  
ტიაში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. ტიტო-  
მაც „მატიცა ხრვატსკას“ წინააღმდეგ მთელი  
სპეციალურაცია დაგენერა.

## ჯაჭვები ჯაჭვების ფინანსური

1960 წელს ხორვატი ემიგრანტი ვინქ გორაშე იუგოსლავიაში გაიძიცა. მან ჩაიტანა საიდუმლო მასალები იუგოსლავიის ტერი-ტორიაზე არსებული ე.წ. ფაშისტური იატაკ-ქვეშთის შესახებ. საუბარი იყო აგენტურაზე, რომელიც ჰიტლერელებმა იუგოსლავიის ტერიტორიაზე უკან დახევისას დატოვეს. ამ აგენტების უმრავლესობა კომუნისტური იუ-გოსლავიის უშიშროების სამსახურმა ამხილა, თუმცა ზოგიერთი მათგანის გამოაშპარავება ვერ მოხერხდა. ასე, მაგალითად: უდიბ-ზ ვერ მიაგნო ვინმე რინალდოს კვალს, რომელიც ზაგრებში აბვერის აგენტურულ ქსელს მეთაუ-რობდა; გორაშემ უდიბ-ს გადასცა დასავლეთ გერმანიის დაზვერვის საიდუმლო ღოკემნ-ტები, რომელთა ხელში ჩაგდეაშიც საბჭოთა აჯანტი პაინც ფლობა დატმარა. ამრიგად,

იღუმალი რინალო გმოაშეკრავდა. ის, არც  
მეტი, არც ნაკლები, კომპარტიის წევრი და  
ხორვატიის საბჭოთა რესპუბლიკის უძალ-  
ლესი სასამართლოს კოლეგიის წევრი მირკო  
დებელია და აღმოჩნდა.

— დებელიაკი დაპატიმრეს, — წერს ანტე ბონითაჭიჩი.

გამოიებით დადასტურდა, რომ დებელიაკი მართლაც იღუმალი რინალდო იყო,

თუმცა ომის შემდეგ მას კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაუდენია. გერმანელ პატრონებს ის არ გახსენებიათ როგორც ჩანს, არ ენდობოდნენ. დებელიაკმაც სოციალისტურ იუგოსლავიაში თაგბრუდამხვევი კარიერა გაიკთა, გახდა უმაღლესი სასამართლოსა და ხორვატის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

ბელგრადის გაზეთებმა საშინელი ხმაური ატენეს:

— ფაშიზმის აგენტი ხორვატის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგებში!

თავად დებელიაკი ამტკიცებდა, რომ ომის დრის აბვერზე მუშაობდა, მაგრამ ამ სტრუქტურას არაფერი ჰქონდა საერთო არც გესტაპოსთან და არც SD-სთან. დამტკიცდა ისიც, რომ დებელიაკის არც მასობრივ დახვრუტებში მიუღია მონაწილეობა, არც არავინ დაუბეჭდებდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ 6 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

— ფაშიზმის აგენტი იუგოსლავიის ცენტრალურ კომიტეტში!

...ტიტომ ხორვატიაზე ფართომასშტაბიანი შეტყვა დაიწყო.

### მტრიბა დროავდება

1965 წლს ვინმე ბობანმა ტუჯმანი პლაგიატობაში დაადანაშაულა. იუგოსლავის დაშლის შემდეგ ბევრი საიდუმლო დოკუმენტი გამოქვეყნდა. დამტკიცდა, რომ ბობანი უდის-ს აგენტი იყო მეტსახელით „ციფვი“, ტუჯმანის წინააღმდეგაც მან უდის-ს დაგალებით გაილაშერა.

ფრანიო ტუჯმანი თანამდებობიდან გადაა-ეცნეს და პარტიიდან გარიცხეს. ამის შემდეგ უცნობმა „კეთილისმყოფელმა“ ტუჯმანს დაურეკა:

— ეს მხოლოდ შურნალია! თუ ჭკუაზე არ მოხვალ, კინო მერე იქნება!

1966-1968 წლებში უდი კვლავ აწყობდა პროვოკაციებს. დააპატიმრეს რამდენიმე პირი, რომელთაც სათანადო დამუშავების შემდეგ განაცხადეს, რომ უსტაშთა იატაკ-ქვეშეთის წევრები იყვნენ და შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდნენ, რათა ხორვატია კვლავ დამოუკიდებელი გამხდარიყო. პარალელურად, ბელგრადის გაზეთებში გაჩნდა ასალი პუბლიკაციები, რომ აქაოდა „მატიცა ხრვატსკა“ ხორვატიული ნაციონალიზმის ციტადელად გადაიქცა, ზაგრების უნივერსიტეტი კი ხორვატიული შოვინიზმის ბუდელ. სიტყვას საქმეც მოჰყვა. ზაგრების უნივერსიტეტის რექტორი თანამდებობიდან გადაეცნეს. ამან სტუდენტების აღშფოთება გამოიწვია.

1966-1968 წლებში იუგოსლავიის ტერიტორიაზე ტერაქტები მოხდა. განსაკუთრებული რეზონანსი ბელგრადის ტერაქტს მოჰყვა. უცნობმა პირმა კინოთავრთან ბომბი დაიღო. აფეთქებამ არაერთი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მალე ტერორისტი დააპატიმრეს. ის ეროვნებით ხორვატი, ვინმე ფინელითი აღმოჩნდა. დაკითხვაზე აღიარა, რომ უსტაშური იატაკ-ქვეშეთის წევრია და აფეთქებაც ხორვატიული ემიგრაციის ლიდერთა დაყალებით მოაწყო.



1971 წლის გამოსვლები ზაგრებში



■  
სტეპან (სტეფან)  
მესიჩის ფოტო  
1965 წლის  
გაზეთში

▼  
სტეფან მესიჩი,  
დამოუკიდებელი  
ხორვატიის  
პრეზიდენტი



— ხორვატიაში უსტაშური მოძრაობის რეანიმაცია ხდება! იქაურმა ამხანაგებმა ნაციონალიზმთან ბრძოლა შეანელეს! — ტიტომ ეს იუგოსლავიის კომპარტიის პლენუმზე განაცხადა. ხორვატიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში საკადრო წმენდები დაიწყო.

### გამოსვლები

მოულენების შემდგომ განვითარებაში დიდი როლი ორმა ფაქტორმა ითამაშა. პირველი და გადმწყვეტი ბელგრადის ზეწოლა იყო, რამაც ხორვატების მასობრივი აღშფოთება გამოიწვია. მეორე კი 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის აღმოჩნდა, რაც ისტორიაში „პრაღის გაზაფხულის“ სახელით შევიდა.

ხორვატიაში კი „ხორვატიული გაზაფხული“ შადდებოდა.

ტიტო შევცადა მოსალოდნელი გამოსვლების რეპრესიებით ჩაბმობას. უდი-მ დაპატიმრა ზაგრების სტუდენტთა კაფშირის ხელმძღვანე-

ლობა. ყველა მათგანს ემიგრანტულ-ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირი დააბრალეს. პასუხად ზაგრებელი სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ. იდგა 1969 წლის აპრილი.

აქციების ორგანიზატორები იყვნენ სტუდენტები ბუდიშჩა, ანა კატანეცი და სხვ. აქციებში აქტიურად მონაწილეობდა იმხანად სტუდენტი სტეპან (სტეფან) მესიჩი, შემდგომში დამოუკიდებელი ხორვატიის პრეზიდენტი.

— თავდაპირველად სტუდენტები მხოლოდ თავიანთ უფლებებს იცავდნენ. ამას უურადღება არავინ მიაქცია, — წერს „შლიახ პერემოგი“.

მოთხოვნებიც სულ უფრო რადიკალური ხდებოდა. 1971 წელს სტუდენტებმა უკვე ხორვატიის დამოუკიდებლობა მოითხოვეს.

### ხორვატი ხალხის განერალი

ზაგრები, 1971 წლის 16 დეკემბერი.

ფრანიო ტუჯმანი შინ იმყოფებოდა, როცა მოახსენეს, რომ სტუდენტებმა ხორვატიის დამოუკიდებლობა მოითხოვეს.

— ნააღრევია! — ტუჯმანი ჩაფიქრდა, — ტიტო ამას არ გვაპატიებს! გადაგვითლიან!

— სტუდენტები ამბობენ, გენერალი ტუჯმანი სად არისო, — უთხრეს ტუჯმანს.

— მე მათთან ვარ!

ტუჯმანი წმოდგა და კარისკენ გაემართა.

ზაგრების მთავრ მოედანზე 100 ათასამდე ადამიანი შეკრუბილიყო. ფრიაღლებდა ეროვნული დროშა. მიტინგზე გამოაცხადეს, რომ მთიდა გენერალი ტუჯმანი. გაისმა აპლოდისტები. ტუჯმანი ტრიბუნაზე ავიდა.

— მევიბრებო!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გენერალმა ჩაახველა და განაგრძო:

— ისმის კითხვა: რატომ მოვედი აქ? ხორვატიის დამოუკიდებლობის ლოზუნგს, რომელიც აქ წამოსწიოს, ტიტო არ გვაპატიებს. მეტიც: მაქვს ინფორმაცია, რომ ზაგრებში ჯარი შემოიყვანეს. ისინი ჩვენს დასარბევად ემზადებიან! საშიშროება ახლოს არის და მას რამდენიმე წამი გვაშორებს!

სიჩუმემ დაისადგურა. შემდეგ ვიღაცამ დაიძახა:

— რა ვქნათ, დავიშალოთ?

— არა, დაშლისკენ ვერ მოგიწოდებთ! ხორვატი საფრთხის წინაშე არ შედრეკება. თქვენც არ დაიშლებით! ასეა?

— ასეა! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— პოდა, მეც თქვენ გვერდით ვდგვარ! მე, გენერალი ტუჯმანი, ჩვენი თავგანწირული ახალგაზრდობის გვერდით ვდგვარ! გაუმარჯოს ხორვატიას! ჩვენს ერთიანობას გაუმარჯოს!

გაისძა მქუსარე აპლოდასმენტები. ვიღაცად შესძახა:

— გაუმარჯოს გენერალ ტუჯმანს

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს! — იგრიალა ასიათასკაციანმა მიტინგმა.

## დარბევა

ე.წ. იუგოსლავიის სახალხო არმიის ჯარისკაცები ზაგრების ქუჩებში 1971 წლის 16 დეკემბერს გამოჩნდნენ. ტიტოს ბრძანებით ზაგრებში ტანკები შეიყვანეს. 17 დეკემბერს, გამოზრინისას ჯარისკაცები შევიდობიან მომიტინგებს თვეს დაესხნენ. შეტყვა მაშინ დაიწყო, როცა ზაგრების მთავარ მოედანზე შედარებით ნაკლები, 7 ათასამდე მანიფესტანტი იდგა.

ტანკების გამოჩენას დემონსტრანტები შევიდად შეხვდნენ. გაისძა სტვენა. შეძლევ ვიღაცამ დაიძახა:

— სამშობლოსთვის!

— შზად ვართ! — იგრიალა ხალხმა.

მანიფესტანტებმა დერეფანი მოაწევეს. ტანკებმა ჩაიარეს. ზოგიერთი დემონსტრანტი მათ ჯოხს ურტყამდა, ზოგიც იგინებოდა. ტანკებმა ვერავინ შეაშინა. დემონსტრანტებს ფეხიც არ მოუცვლიათ.

ტანკებს უკან ფარებითა და ხელკატებით აღჭურვილი სპეცრაზმი მოჰყვებოდა. ტიტოს ჯარისკაცები დემონსტრანტებს დაერიგნენ. გამოიყენეს რეზინის ტყვიები, ცრუმლმდენი გაზი, ხელკეტები.

სერბულმა ჩექმამ ხორვატი ხალხის ნება უქექეშ გათელა.

\* \* \*

„ხორვატიულ გაზაფხულს“ წერტილი 1971 წლის 1-ელ დეკემბერს დაესვა. ე.წ. იუგოსლავიის სახალხო არმიამ შშვიდობიანი დემონსტრაცია სასტიკად დაარბია. უამრავი ადამიანი დაშვადა, ბევრი საყადმყოფოში მოხვდა.

ტიტოს ბრძანებით გადააყენეს ხორვატიის კომპარტიის მთელი ცენტრალური კომიტეტი. ფრანიო ტუჯმანსა და სხვა ლიდერებს პატიმრობა მიუსაჯეს. ტუჯმანს გენერლის წოდება და ყველა ჯელდო ჩამოართვეს. დააპატიმრეს სტიპე მესიჩი და ოპოზიციის სხვა ლიდერები.

„ხორვატიული გაზაფხული“ ტიტომ ჩაახშო, თუმცა ეს იყო ტაქტიკური და არა სტრატეგიული გამარჯვება. ხორვატ ხალხს არაფერი დავიწყებია. როცა 1990-1991 წლებში იუგოსლავიაში კვლავ გაღრმავდა კრიზისი, ხორვატიაში კადვა უფრო მძლავრმა ეროვნულმა ტალღამ იფეთქა. მისი შეჩერება უკვე აღარაუერს შეეძლო.


— სამშობლოსთვის! შზად ვართ! — ამ მოწოდებას უკვე არა მხოლოდ ზაგრებელი სტუდენტები, არამედ მთელი ხორვატია გამოიტანა. 1991 წელს ხორვატიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

„ხორვატიული გაზაფხულის“ ბევრი ლიდერი დამოუკიდებელი, დემოკრატიული ხორვატიული სახელმწიფოს შექნებლობაში მონაწილეობდა. ფრანიო ტუჯმანი ხორვატიის პირველი პრეზიდენტი გახდა. მის სახელთან არის დაკავშირებული თვეისუფლებისთვის ოშში გამარჯვება და საერთაშორისო საზოგადოების მიერ ხორვატიის დამოუკიდებლობის აღიარება.


## ნიკა თევზაპი

ისტორიის დოქტორი

ზაგრები, ძევლი  
ქალაქის ცენტრი



# დიოკლეტიანეს სასახლე



სასახლის ეზო  
(პერისტოლი)

## რომაული სასახლის ჩვენამდე მოღმაული ყველაზე სრულყოფილი ნაშთი

ევროპისა და საერთოდ, მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობაში დიოკლეტიანეს სასახლეს გამორჩეული ადგილი უკავია, რადგან რომაული სასახლის ჩვენამდე მოღმაულ ყველაზე სრულყოფილ ნაშთის წარმოადგენს. ააგო რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ, რომელიც რომს 284-305 წლებში მართავდა. სასახლე წარმოადგენდა გმაგრუბულ მასიურ ციხე-დარბაზს უზარმატარი კედლებით, რომლის გარშემოც მოგვიანებით გაშენდა სპლიტი, სიძიდით მეორე ხორვატიის ქალაქი. დღესაც ნაგებობას ძველი ქალაქის ნახევარი უჭირავს. 1979 წელს იუნესკომ დიოკლეტიანეს სასახლე, სპლიტის ისტორიულ ცენტრთან ერთად, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ხუსხაში შეიტანა.

რომის მომავალი იმპერატორი დიოკლეტიანე 244 წელს დალმაციაში, დაბალი სოციალური სტატუსის მოქალაქეთა ოჯახში დაიბადა. 283 წელს სპარსეთში წარმატებული ლაშქრობისას იმპერატორი კარუსი მოულოდნელად გარდაიცვალა, ერთ წელიწადში მოკვდა მისი ორი ვაჟიც. 284 წელს დიოკლეტიანე კავალერიის სარდალი იყო, როცა არმიამ იგი

იმპერატორად გამოაცხადა. მან წესრიგი და სტაბილურობა დაამყარა კრიზისით მოცულ მთელ იმპერიაში. 286 წელს ახალმა იმპერატორმა ძალაუფლებაც გადაანაწილა — ჯერ მაქსიმიანე გამოაცხადა თანაიმპერატორად, 293 წელს კი გალერიუსი და კონსტანციუსი დანიშნა უმცროს თანაიმპერატორებად. ოთხთა მმართველობის — „ტეტრარქების“



პერიოდში თითოეული მათგანი იმპერიის მეოთხედს მართავდა. დიოკლეტიანემ სამართავად მცირე აზია და ბალკანეთი აირჩია. თავის ტერიტორიას იგი მარმარილოს ზღვის სანაპიროზე მდებარე დედაქალაქ ნიკომედიიდან მართავდა. 295 წელს დაიწყო სასახლე-რეზიდენციის აგება დალმაციაში, თავისი შობლიური ქალაქის, სოლინის მახლობლად — ყოფილი ბერძნული კოლონია სპალატოს ტერიტორიაზე, ადრიატიკის ზღვაში მომცრო ნახვარკუნძულის სამხრეთ ნაწილში. რეზიდენციის შენებლობა იმპერიატორის გადადგომამდე (305 წლის 1 მაისს) მცირე ხნით ადრე დასრულდა. ანსამბლი ერთდროულად წარმოადგენდა მდიდრულ ვილასა და სამხედრო ბანაკს უზარმაზარი კარიბჭებითა და კოშკებით.

გადადგომის შემდეგ დიოკლეტიანე სიცოცხლის ბოლომდე ამ სასახლეში ცხოვრიდა და ძირითადად ბაღ-ბოსტანს უკლიდა.

დიოკლეტიანეს სასახლის ოქროს კარიბჭე (ზემოთ),  
საღისტი, ძველი ქალაქი (ქვემოთ)





არქიტექტორმა რობერტ  
ადამძე ღონისძინში გამოაქვეყნა  
„იმპერატორ დიოკლეტიანეს  
სასახლის ნანგრევი  
დალმაციაში“. პერისტილის  
გამოსახულება 1764 წელის  
გამოცემიდან



დიოკლეტიანეს სასახლის რეკონსტრუქცია 305 წლის მდგომარეობით (გამოაქვეყნა ერნესტ ებრარმა 1912 წელს)




ცნობილია, როცა რამდენიმე წლის შემდგე  
დიოკლეტიანეს ტახტზე დაბრუნება სთხოვეს,  
მან უპასუხა: „რომ შეგეძლოთ თქვენი იმპე-  
რატორისთვის იმ კომბოსტოს ჩვენება, რო-  
მელიც საკუთარი ხელით დაფრგე, ნამდვილად  
ვეღარ გაბედავდა შემოთავაზებას, აქაური  
სიმშვიდე და ბედნიერება მარად დაუქმაყო-  
ფილებელ სიხარბეზე გამეცვალა“... დიოკლე-  
ტიანე გახდა რომის პირველი იმპერატორი,  
რომელმაც ნებაყოფლობით დათმო პოსტი.  
თუმცა მის მმართველობას ქრისტიანების  
სასტიკი დევნაც უკაუშირდება....


მართკუთხელის ფორმის სასახლის სიგრძე  
190 მეტრია, სიგანე 160 მეტრი და დაახლოე-  
ბით 3 ჰექტარი ფართობი უჭირავს. ანსამბლის  
გეგმა რომაული ლეგიონის ბანაკის სქემას  
იმეორებდა. 20 მეტრი სიმაღლის მძლავრი  
კედლები დასავლეთის, ჩრდილოეთისა და  
აღმოსავლეთის მხრიდან 15 კოშკით (დღეს  
ოთხია დარჩენილი) იყო გამაგრებული. და-  
ცული არ იყო მხოლოდ სამხრეთის ფასადი,  
რომელიც ზღვას ებჯინებოდა. მისი ზედა სარ-  
თულების თაღოვანი გალერეის სამშენებლო  
წყობაც განსხვავდებოდა დანარჩენი მხარეების  
მკაცრი ფასადებისგან — ამ უკანასკნელთა  
ცენტრში განლაგებულ მონუმენტურ კარი-  
ბჭებს დახურული შიდა ეზოსკენ მივყავრთ,  
ხოლო სამხრეთის ფასადის ე.წ. ზღვის კარიბჭე  
გაცილებით მომცროა და ფორმითაც მარტივი.  
განვითარებული შიდა ეზოსკენ მივყავრთ  
ანუ ვერცხლის კარიბჭეს დასავლეთ ანუ  
რეინის კარიბჭესთან, კომპლექსს ორ ნაწი-  
ლად ყოფის. სამხრეთ ნახევარში იყო უფრო  
მდიდრული შენობები — იმპერატორის საცხო-  
ვრისი და რელიგიური ნაგებობები. ზღვისკენ  
დაქანებული რელიეფის გამო, ისინი მაღალ  
საძირკვლებზე იყო აგებული. მონუმენტური  
ეზო — ოთხი მხრიდან მოსახლვრული ე.წ. პე-  
რისტილი აერთებდა ერთმანეთთან სამხრეთით  
იმპერატორის საცხოვრისის, აღმოსავლეთით  
დიოკლეტიანეს მავზოლეუმს (ამჟამად წმინდა  
დომინიუსის ტაძარი) და დასავლეთით სამ —  
იუპიტერის, ვენერასა და კიბელეს ტაძებს,  
რომელთაგან ორი აღდარ არსებობს, ხოლო ყო-  
ფილი იუპიტერის ტაძარი ბაპტისტერიუმად  
იქცა. გადარჩენილია პერისტილის დასავლე-  
თით მდებარე ესკულაპის ტაძარი ნახევრად  
ცილინდრული სახურავით, რომელიც გათ-  
ლილი ქვის ბლოკებით იყო გადახურული  
(ამ სახურავა 1940 წელს გაუონვა დაიწყო)



3500 წლის წინანდელი სფინქსი დღესაც „იცავს“  
სასახლეს (ზემოთ), ვერცხლის კარიბჭე (ქვემოთ)



წმინდა დომინიკის ტაძარი —  
ყოფილი მცხოვლეობი (წინა  
პლაზა) III-IV საუკუნეების  
მჯნაშა აგებული. ხოლო  
სამრეკლო 1100 წელს აშენდა




კულტურული ღია კუმბათიდან სამრეკლოს ზედა ნაწილი მოჩანს






წმინდა ღომიულის ტაძრის ინტერიერი (ზემოთ), სამრეკლოზე ასაკოლელი შიდა კიბე (ქვემოთ)





სასახლის სარდაფები (ზემოთ) და ჭალანები (ქვემოთ)



და ტყვეის ფურცლებით დაფარეს). ზღვის ყურის სამხრეთით მიქცეული იმპერატორის პალატების გარდა, სასახლე ასევე მოიცავდა საპარადო დარბაზს, გუბბათიან ვესტიბიულს. ანსამბლის დანარჩენი ტერიტორია სამხედრო გარნიზონს ეჭირა. უზარმაზარი ნაგებობის წყლით მომარაგებისთვის სპეციალური აკვადუქიც ააგეს.

იმპერატორის სასახლე-რეზიდენციის ასაგებად გამოიყენეს იტალიიდან ჩამოტანილი საუკეთესო მარმარილო, კუნძულ ბრაჩიდან ჩამოტანილი ოთორი ფერის კირქვა, ადგილობრივი ტუფი და მაღალი ხარისხის აგური. გრანიტის კოლონები ეგვიპტიდან ჩამოიტანეს. სასახლე ასევე შეაძეს 3500 წლის წინანდელი მრავალი სფინქსით, რომელიც ეგვიპტელი ფარაონის თუტმოს III-ის სამარხის მიდამოებიდან აიღეს. ამათგან დღეისთვის სამი გადარჩა — ერთი წინანდებურად პერისტილს „იცავს“, ერთი — უთავოდ, ყოფილ იუპიტერის ტაძართანაა, მესამერ კი სპლიტის მუზეუმში დაიდო ბინა. უზარმაზარ შიდა ეზოს დღეს სპლიტის ორი მთავარი ქუჩა პერპენდიკულარულად კვეთს...

რომაელების წასვლის შემდეგ ნაგებობა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თითქმის ცარიელი იყო. VII საუკუნიდან სპლიტოსა თუ სოლინის მცხოვრებლები მასური სასახლის კედლებს სულ უფრო ხშირად აფარებდნენ თავს ბარბაროსი-ხორვატების თავდასხმებისას. მოსახლეობამ თანდათან იწყო გადმოსახლება და საბოლოოდ, სასახლისა და მის გარშემო ტერიტორიაზე ქალაქი სპლიტი გაშენდა. ნაგებობების დიდი ნაწილი დროის შესაბამისად გადააკეთეს. ანსამბლის ინტერიერი პრაქტიკულად არ შენარჩუნებულა, მაგრამ ტაძარი გახდა, სასახლის სარდაფები კი XVI საუკუნეში, ნაგავადგურის რეკონსტრუქციის დროს, საწყობებად აქციეს.

შეუსაუკუნეების შემდეგ სასახლე ვრცელთავის უცხობი რეზიდენცია, სანამ ის შოტლანდიელმა ნეოკლასიკოსმა არქიტექტორმა, რობერტ ადამმა არ აღწერა, რომელმაც ფრანგ მსატვარ-ანტიკარისტ შარლ-ლუი კლერისონა და რამდენიმე სხვა ხელოვანთან ერთად, ლონდონში 1764 წელს გამოაქვევნა „იმპერატორ დიოკლეტიანეს სასახლის ნანგრევები დალმაციაში“. დიოკლეტიანეს სასახლე აღამის ახალი, ნეოკლასიკური



### დიოკლეტიანეს დროინდელი, ქვაში ნაკვეთი იუპიტერის ტაძრის ჭური

არქიტექტურული სტილის შთაგონების წყარო გახდა. ბრიტანულ არქიტექტურულ პრაქტიკაში მან ე.წ. დიოკლეტიანეს ფინჯარა დანერგა, გამოაქვევნა აზომილი ნახატების კრებული და ევროპული არქიტექტურის დიზაინის პირველი ლექსიკონი შექმნა.


აღსანიშვნაია, რომ მეორე მსოფლიო ომის წინ ინგლისელმა მწერალმა რებეკა უესტმა, რომელიც მაშინდელ იუგოსლავიაში

მოგზაურობდა, აღწერა, რომ დიოკლეტიანეს სასახლის კედლების ფარგლებში ქალაქის მოსახლეობის მეზუთედი ანუ 9000-მდე სპლიტელი ცხოვრობდა.

2013-2014 წლებში სასახლე გამოიყენეს პოპულარული ამერიკული ტელესერიალის, „სატახტოთა თამაშის“ მე-4-5 სეზონების გადასაღებად.

### რამაზ გურგელიძე

კოფილ იუპიტერის  
ტაძრში დღის  
გამტისტერიუმია



# **Auto Bild**

საქართველო

„პორშეს“ ისტორია  
1948 წლის წინ,  
ამ ოთაში დაიწყო. დღეს,  
შტუტგარტისა და ლაიპციგის  
ქარნეგები წელიწადში  
დაახლოებით 250 000  
„პორშე“ იწარმოება

## ურნალი **AUTO BILD** საქართველო წარმოგიდგინი



ისტორია სტატია  
სრულად  
ურნალ  
„AUTO BILD  
საქართველოს“  
ივლისის  
ცოდნაში

პირველი 356-ები ხელით გააკეთეს -  
1965 წლამდე 76 302 ეგზემპლარი შეიქმნა



ფერდინანდ პორშე და მისი შვილიშვილები, „ბუტცი“  
(ფ. ა. პორშე 1.) და „ბურლი“ (ფერდინანდ პიონი)







სამხედრო  
ტკუნძის  
გადაფინან  
შეტარებლით

## 500 დღე და ღამე მტრის ზურგში

დიმიტრი ქუმაშვილი

წინამდებარე წიგნი მოგვითხრობს ჯარისკაცის თავგადასავალს მეორე მსოფლიო ომის დროს, 1941 წლის ივნისიდან 1943 წლის ივლისის ბოლომდე. მასში აღწერილი მოვლენები დოკუმენტური ხასიათისაა და უანრობრივად მემუარებს განეკუთვნება.

„500 დღე და ღამე მტრის ზურგში“, რომელიც მცირედით შეკვეცილი ქვეყნდება, რიგითი მებრძოლის თავგადასავალს აღწერს – 1941 წლის 22 ივნისიდან, 1943 წლის 30 ივლისამდე. ნაწარმოები 1981 წელს წარადგინეს ერთ-ერთ გამომცემლობაში, თუმცა მან მზის სინათლე ვერ იხილა. ცხადია, ოთხმოცაანი წლების დასწევისში არ გამოაქვეყნებდნენ წიგნს, რომელშიც მოთხოვთ იმ მოვლენას, რომელიც მტრის გარემონტულ ტერიტორიაზე, მტრის გარემონტულ მეორის რეალური თავგადასავალი.

დიმიტრი ქუმაშვილმა ეს წიგნი თავისი მეორების, დიმიტრი ჩრდილელის ხსოვნას მიუძღვნა, რომელიც მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა და თითქმის ისეთივე გზა გაიარა, როგორც ნაწარმოებში არის გადმოცემული.

(დასწევისი იხ. „ისტორიანი“ №№59-72)

ნადია დგება, მაგრამ კარგა ხანს ადგილიდან არ იძრის.

— ა?.. — ბურანიდან ვერკვევი.

— მე წავედი..

დუმილი.

— ხმას რატომ არ იღებ?

შუბლს ქვემოდან ჩემი მზერა ქურდული. ნადიას ალექსილი სახე. თვალებში უეცარი გაბოროტება, ტუჩებზე — საცოდავი ღიმილი. და უცებ აფეთქება:

— აბა რა გეგონათ?! გაიქეცით, მტერს ზურგი აჩვენეთ, უკან არც იხედებოდით უკან მოსაბრუნებელი ხიდიც კი დაწვით. მტრის ამარა მიგვატოვეთ... აბა, რა გეგონათ?!

...დუმილი, — რა მეთქმის!

ისე წავიდა, არც მოუხედავს ჩემ ქენ.

ერთხანს ვზიარ განადგურებული, გაოგნებული. წელმოწყვეტილი ვდგები და სახლის-

კენ მთვლასლასებ... ვველას სძინავს თუ თავი მოიმძინარეს. რატომლაც მიხარია, რომ სძინავთ. სასადილო ოთხში გაშლილ ლოგინზე მოჭრილ ხესავით ვეხეთქები.

ერთხანს, სიჩუმე შემზარავი. სიჩუმეში ჩურჩული — სონია რაღაცას ეუბნება დას. მერე ქალის გულამისეგნილი ქვითინი. ჩანს, სონიამ ქმრის შესახებ უთხრა ვველაფერი.

თეორად გათენებული დამე ფარდასავით მაღლა იწევა და როგორც თუატრში, ჩემი ტრაგედიის შემდეგი ეპიზოდის გათამაშება იწყება.

მაგიდასთან მოთხოვთილი, უძილო სახეებით ვსხვდგართ. ვსაუზმობთ უხმოდ, ისე, თითქოს სახლში მიკვალებული ესვენოს.

— ახლა რას აპირებ, მიტრი? — არღვევს სიჩუმეს მარუსია.

— ფრონტის ხაზამდე უნდა მივაღწიო. ეგებ გადავიდე.

— ერთი რაიონიდან მეორეში წასვლა აკრძალულია, თანაც ზამთარი კარს არის მომდგარი. ან საღმე გზაზე მოგკლავნ, ან არა და გაიყინები.

— მაშ რა ვენა?

— ჩვენთან დარჩი... ჯერჯერობით დაბნეულობაა. მაგრამ შეიძლება რაღაც გამოჩნდეს... ამბობენ, ბობრუისებრი ჩვენებს პროკლამაციები გაუკრავთ, პარტიზანული რაზმები შექმნით.

— შჩატკოვოში ვერ დავრჩები.

— შენ და ნადიამ ილაპარაკეთ?

— ვილაპარაკეთ.

ვერ დავრჩები... არ შემიძლია.

დუმილი. რატომლაც ვველანი თვალს მარიდებენ.

სიჩუმეს ისევ მე ვარღვევ.

— რაიმე ცნობა რომ ქონდეს, რომელიც დამიდასტურებდა, რომ სოფლის მცხოვრები ვარ, რაიმე ბეჭდიანი ქაღალდი... „უსყაისივით“ იქნებოდა.

— წავალ, სტაროსტას მოველაპარაკები, ჩვენი კაცია. ვნახოთ, რას გვირჩევს, — თქვა მარუსიამ და სუფრიდან აღგა.

ნახევარი საათის შემდეგ, მარუსიას მოტანილ ქაღალდს ოთხად გეჭცავ, ჯიბეში ვიდებ და მასპინძლებს ვემშვიდობები. ვემშეიდობები შჩატკოვოს და ჩემს უიბლო, ჭაბუკურ სიყვარულს.

მივდივარ ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთის-კენ... ბოლოს და ბოლოს, საღლაც ხომ უნდა გადიოდეს ფრონტის ხაზი!?



განადგურებული გერმანული ტანკი და მასთან დამარტული ექიმები (1941 წლის აგვისტო)

ცონბა, რომელიც მარუსიამ მიშოვა, ბევრი ვერავერი შევილია, მაგრამ სულ არარაობას მანც სჯობა. ქაღალდს სვასტიკიანი ბეჭედი აზის და პოლიციელებს თუ არა, გერმანელებს მანც აუზევე თვალს.

ტყით მივდივარ. მარუსიამ გამაფრთხილა: ტყეში გერმანელებს არსად წააწევდე — უსა-თუოდ ადგილზევე დაგხვრეტენო, მაგრამ სხვა გზა არ არის, რას იზამ?!.

დამძიმებული გულით, მონუსხულივით მივდივარ. ნადიას დაღვრემილ სახეს თავიდან ვიცილებ და ვერ მომიცილებია.

სულელივით ვიძეორებ მის სიტყვებს, ჯერ კიდევ მაშინ, ხიდევეშ, პაემნის დროს რომ მითხრა: Словва, слова — где ваши страсти!.. ესეც შენი „სტრასტი“. მე კოცნასაც ვერ ვუტევდა — ერთბაშად კი გერმანელი ოფიცირის ხასა გახდა.

ოთხ დღესა და დამეს ხუტორებში ბორიალის შემდეგ, ტყიდან გზაზე გამოვდივარ. როდემდე უნდა მევლო ტყეში!?

მოასფალტებული გზა გომელისენ მიდის. მის გასწვრივ, ტყე-ტყე კარგა ხანია მივდივარ. მაგრამ უცებ ტყეს ჭაობი ცვლის. გზა უნდა გადავჭრა და მის მეორე მხარეს ვცაღო ბედი. კარგა ხანს ვზიგარ გზის პირას, ბუჩქებ-



გერმანელი ჯარისკაცები მოსახლეობასთან ფოტოებს იღებდნენ (1941 წლის ფინა-ფლობი)

ში. გზას ვუთვალთვალებ. ყურს ვუგდებ — მანქანის ხმა ხომ არ ისმის. შემაძრწუნებელი სიჩუმე. ცად ატყორცნილი არყის ხეები უძრავად გარინდებულან.

ბოლოს გადავწყვიტე გზაზე გადასვლა. ასფალტზე გადავრტყმა და მეორე მხარეს ტყეს ვაფარებ თავს. მაგრამ იქაც გაუგალი ჭაობია. ეს უკვე არ ვარგა...

სხვა გამოსავალი არ არის — გზატკეცილით მანამდე უნდა ვიარო, სანამ რამე სასოფლო გზა გამოჩნდებოდეს. ეს გზა კი გომელში მიდის, რომელშიც შესვლა სიკვდილს, უკთეს შემთხვევაში, ტყვეთა ბანაკში მოხვედრას ნიშნავს.

არჩევანი სულ ეს არის — ან უკან მოვილიოსისკნ, ანდა გზატკეცილით წინ. ისევ წინ წასვლას ვარჩევ.

ფრთხილად მივდივარ. მთავარია, მანქანის ხმა დროზე გაფიგონო და სადმე შევაფარო თავი.

ისმის მანქანის შორეული გუგუნი. გზიდან გადავდივარ და ბუჩქებში ვწვები. გერმანელთა

საბარებო მანქანამ დიდი სისწრაფით ჩამიქროლა. მე ისევ ამოვდიყარ სავალ ნაწილზე და გზას მივყვები. კვლავ ისმის მანქანის ხმა და კვლავ გზის პირას, ტყეში ვიმალები. მანქანა დიდი სისწრაფით ჩამიქროლებს. ისევ ვამოვდივარ გზაზე, მაგრამ ამ დროს მეორე მანქანა გამოჩნდა. ერთი მეგონა, თურმე ორი ყოფილა. ბუჩქებს ვაფარებ თავს, მაგრამ უკვე გვიანია. შემამჩნიერ.. მანქანა სვლას უკლებს და მუხრუჟების ღრძიალით ჩერდება. მანქანის გადახურული ძარიდან ჩაჩნიანი გერმანელის თავი ჩნდება. ხელს ჩემქენ იშვერს, აუტომატს მიქნევს და ძაღლივით ყეფს — „ქომ, ქომ“.

ვითომც არ მესმის. იქვე ვცუცქდები გზის პირას, ბუჩქებში.

გერმანელი ძარიდან ხტება. მუცელზე ავტომატობჯენილი, ჩემქენ გინებით მოდის. ან საით გავიცე? უკან გაუგალი ჭაობია. წინ კი მოშიძვლებული გზატკეცილი.

— ლოუს, ლოუს! ბისტრო, ბისტრო! — ხორხისმიერი ხმით ყვირის გერმანელი და ავტომატის ლულას მანქანის მიმართულებით იქნევს — მანქანისკენ წადიო. მეტი რა გზა მაქვს — წელმოწყვეტილივით მივდივარ მანქანისკენ.

— ბისტრო, ბისტრო! — ავტომატიანი გერმანელი ზურგს უკან მომექცა, ავტომატის ლულა კისერში მიბიძგა.

მეტი რა ჩარაა, ბრეზენტგადახურული საბარებოს ძარასთან მივდივარ და ვჩერდები.

— პარტიზან?.. კითხულობს მანქანის კაბინაში მჯდომი. უარის ნიშნად თავს ვაქნევ.

— ზოლდატ?

ისევ თავს ვაქნევ.

გერმანელი, რომელსაც მანქანასთან მიყენებული, მანიშნებს — ძარაში ავიდე.

ძარაში ოთხი გერმანელია და ერთიც სამოქალაქი ტანსაცმელში გამოწყობილი, ასე 20-21 წლის, შაგგრემანი კაცი.

— სადაური ხარ? — მეკითხება რუსულად ფუბანურქუდიანი და ვხვდები — ეს ტყვეა, გერმანელების თარჯიმანი.

პასუხს ვაყონებ. დრო მინდა მოსაფიქრებლად. ერთ-ერთი გერმანელი ეკითხება სამოქალაქოდ ჩატულს:

— იუდენ? — და რაღაცას გაუგებარს აყოლებს გერმანულად.

— გეკითხებიან, ებრაელი ხარ თუ არა?

— მითარგმნის სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი.

— არა, ქართველი ვარ, თბილისიდან, — ვპასუხობ მე, — თბილისი გაგიგია?

— როგორ არა, მე თვითონ სოხუმიდან ვარ — თამარაშვილი.

აშკარად ცრუობს. ებრაელი უნდა იყოს, შეიძლება სოხუმიდანაცაა, მაგრამ არამც და არამც — ქართველი.

მგონი ისიც კარგად გრძნობს, რომ ეჭვი მეპარება მის ქართველობაში. გვერდით მჯდომ გერმანელს ხმადაბლა რაღაცას ეუბნება.

იმასაც ვგრძნობ, რომ ამ კაცისგან კარგს არაფერს უნდა ველოდო. მას სული გერმანელებისთვის მიუყიდია, რათა თავისი სიცოცხლე შეიძრჩებოს. არც მე დამინდობს, რათა გერმანელების ნდობა დაიმსახუროს და ცოტა კიდევ იჯახიროს ამ ქეყვანაზე.

გერმანელებს კი მოატყუებდა კაცი, მაგრამ ამ ნაძირალას მოტყუება, რომელიც თავის თავს თამარაშვილად ასაღებდა, შეუძლებელი იყო...

მანქანა მოული სისწრაფით მაპჭრის. ღრუბლიანი, გვიანი შემოდგომის დღეა. ცრის. შიგადაშიგ თოვლის წვრილი ფანტელები ჰაერში ტრიალებენ. ნეტავ სად მიყვავარ ან რას მიძირებენ? ვფიქრობ და თან იმ საათს ვწყევლი, როცა ეს გზატკეცილი წინ გადამელობა.

მანქანა გზატკეცილიდან სასოფლო გზაზე

უხვევს და ჯაყჯაყით მიხტუნაობს, ასე ცოტა ხანს მივდივართ. წინ მოჩანს ფერდობზე შევენილი ხუტორის ოციოდე სახლი. ქედის ძირას ხელოვნური ტბაა, რომლის ნაპირზე იხვები და ბატები ბალახობენ. ეტყობა, კოლმეურნეობის მეტრინგველეობის ფერმა.

მანქანა ტბის ნაპირას ჩერდება. ძარაში მე და ერთი გერმანელი ვრჩებით დანარჩენები ძარიდან დაბლა ხტებიან და ავტომატმომარჯვებული ბატების გუნდისკენ მიღიან.

იწყება ნადირობა. მშვიდად მობალახე ბატებს ავტომატების ჯერს აერიან. დახოცილი ფრინველით ორ ტომარას აესებენ, პირს უკრავენ და ძარაში აგდებენ. სახეაბადრული გერმანელები ადგილს იკვებენ და მანქანა საჩქაროდ ეცლება იქაურობას.

ვუყურუბ ბატებით გამოტენილ ტომრებს და ბოლმით ვიხრჩობი. რა ამ ბატებივით გაფეხი მახეში! გერმანელების ნანადირუვი — ბატებით გამოტენილი ორი ტომარაა და მე. მეც კარგი ბატი ვარ. ნამდვილი იდიოტი..

მანქანა ისევ შარა გზაზე გადის და გეზს ისევ გომელისკენ იღებს.

— სად მივყავარ, — ვეკითხები ყუბანურ ქუდიანს, სოხუმელ თამარაშვილად რომ ასაღებს თავს.

— საველე ქანდარმერიის კომენდატურაში.. — ოპო! — გაფიფიქრე და უარესად მომი-

აფეთქებული საბჭოთა  
ტანკი (1941 წლის ფონის,  
ბელორუსია)





**გერმანელთა სამხედრო კოლონა სსრკ-ის სიღრმეში მიიწვევს (1941 შემოდგომა)**

ვიდა გული საკუთარ თავზე. ბატოვით როგორ გამომიჭირეს, იმ საცოდავი ბატოვით, ტომარაში რომ უგდიათ.

მანქანამ გზიდან გადაუხვია, პატარა მინდლორი გაიარა და ორსართულიანი შენობის წინ შეჩერდა.

შენობის ფასადზე სვასტიკაზი ტილოა, იქვე წარწერა ფელდგომენდატურა.

დახოცილი ბატებით გაუსებულ ტომრებს მიწაზე ყრიან, კონდახის ცემით კომენდატურის შენობაში შევვართ.

ბნელი დერუფინის შემდევ მოზრდილი კულრატული ოთახია; ნარებზე ესესელები წვნან. კედელზე ჩაჩქნები და ავტომატები ჰკიდია. ეს ოთახი გავიარეთ და წინ კიდევ ერთი კარი გამოჩნდა.

გერმანელი კონვიირი კარს აღებს და შიგ

მაგდებს. რკინის ურდულის ხმა ზურგში ხანჯალივით მეყრება.

ოთახში ზეთში ჩაგდებული პატრუქი ბჟუტავს. დღის შუქი არსაიდან არ შემოღის. ერთადერთი ფანჯრის დარაბები დაზურულია და ფიცრებით საგულდაგულოდ აჭედილი. ოთახში არც ნარებია და არც რაიმე დასაჯდომი.

თვალი თანდათან სიბნელეს ეჩვევა. კედელთან ორი ლანდი მოჩანს, იატაკზე ვიღაც ზის, ფეხები მთელ სიგრძეზე გაუშლია და ზურგით კედელზეა მიყვდებული.

— ვინ ხარ, აქ რას აკეთებ? — ვეკითხები.

უხალისო, გულგრილი შემოხედვა.

— რასაც შენ...

— რამდენი ხანია აქ ხარ?

— მესამე დღეა, — დუნედ მპასუხობს ბელორუსიელი ბიჭი. 16-17 წლისა თუ იქნება.

— რისოვის მოგიყვნეს?..

— სახლში იარაღი მიპოვნეს, რატომ არ ჩააბარეო.

— მერე, რას ფიქრობ?..

— დამხვრეტენ... იარაღის ჩაბარების ბრძანება იყო... მე არ ჩავაბარე. სახლში იარაღი მიპოვეს. დამხვრეტენ. — თავს გვერდით აბრუნებს. ლაპარაკის ხასიათზე არ არის. მოვეშვი.

ორ მეტრში, იმავე პოზაში, მეორე თვლემს. გვერდით ვუჯდები და ვეკითხები:

— შენ რაღატომ ხარ აქ? — წვერმაშვებული, გატანჯული სახე მღუმარედ მომჩერებია, მიმქრალი, საიდანლაც, შორიდან მოშინალი თვალებით.

— პარტიზანი ხარო, ბრალს მდებენ, — ახველებს, სისხლს აფურთხებს და ჩახლებილი, ხრინწიანი ხმით დინჯად მიყვება თავის ამბავს.

აქვე ახლოს სოფელში უცხოვრია. წაუკლიათ ხელი და სამი დღის წინ მოუყვანიათ. მესამე დღეა აშიმშილებენ და ყოველ დამით ზემოთა სართულზე დასაკითხად აცყართ. ისე მაგრად არის ნაცემი, წარამარა სისხლს ანთხვეს.

— ეჟე! — გავიფიქრე, — კარგ კამპანიაში მოვხევდრილგარ!

პირი მიშრება.

— წყალს მანც არ გაძლევენ? — ვეკითხები და უმწერდ აქეთ იქით ვიხედები.

იგი, უხალისოდ ხელს იშვერს ფანჯრის რაფისკენ. იქ ჩაიდანი დგას. მოვსვი. მოხალული ხორბლის ნახარშია. ყავის ნაცვლად ამას ასმეულენ პატიმრებს.

მღვრიე, მოყავისფრო სითხეს ვსვამ, იატაკზე ვჯდები, ზურგით კედელს ვჟუდები, თვალებს ვხუჭავ და ფიქრებში ვიძირები.

განწირულთა შორის მოვხვედრილვარ. ორივეს უეჭველად დახვრეტა ელის. მეც ხომ ტკიდან გამოსული მნახეს. გერმანელები კი ვისაც ტყეში წასწრებენ, პარტიზანად მიიჩნევნ და ბრძანების თანახმად, ხვრეტენ.

ნუთუ გამოსაგალი არ არის? ნუთუ ასე სულელურად უნდა დამთავრდეს ჩემი ხეტიალი ამ ცოდვილ მიწაზე?! ვერ ვისვენებ. ვდგები. ერთხელ კიდვე ვსინჯავ თოახის კედლებს... ერთადერთი ფანჯარა, რომელიც, ეტყობა, ეზოში გადს, ფიცრებით ისეა დაჭვდილი, ამ მხრიდან გაქცევაზე ფიქრიც კი ზედმეტია. რჩება ერთადერთი შესაძლებლობა — კარიდან. მაგრამ კარი მეორე თოახში გადის, რომელშიც გერმანელთა ოცეული იძყოვება.

მოსინჯე კარი — დაკეტილია. ბიჭმა, რომელსაც იარაღი უპოვეს, მწარე ლიმილით გადმომზედა და თავი ჩაჰვიდა.

მე ისევ თოახში დაფირრიალობ. „შეუძლებელია, გამოსაგალი არ იყოს, შეუძლებელია!“ — ვფიქრობ და ჭერის თვალიერებას ვიწყებ. მახსენდება, რომ შენობა რსართულიანია.

— დაკითხვაზე წაგიყვანენ, შეიძლება მაშინ მოახერხო რამე... თუმცა, ისეთი დაგეშილი ძალლები ჰყავთ, შორს ვერ წახალ — ნალვლიანად ამბობს ბიჭი.

— მაშ, ყველაფერი გათავდა?..

ბიჭი მხრებს იჩენს და თავს კედლისკენ აბრუნებს. მეც მის გერლით იატაკზე ვეშვები. საოცარ დაღლილობას ვგრძნობ. ბურანში ვემვევი.

არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა. რეინის ურდულის ჩხრიალი მაფიზლებს. კარი იღება და ჩაჩქინანი გერმანელი შემოდის. ხელში ელექტროფარანი უჭირავს. შექის სვატი ბნელ კუთხებს სინჯავს და ჩემზე ჩერდება.

გერმანელი მანიშნებს, უკან გავევე და წინ მიმიძღვის.

დერეფანში გავდივართ და შიდა კიბით მეორე სართულზე ავდივართ.

კლექტროშუქით გაჩირალდნებული თოახში, პატარა მაგიდასთან, საწერ მანქანას გერმანელი ქალი უზის. მეორე, მოზრდილ მაგიდასთან გერმანელი ოფიცერი რაღაცას წერს.

კონვიირი ჩექმების დაჭვდილ ქუსლებს ერთმანეთს ურტყამს და ხელი ჩაჩქანთან მიაქვს.

ოფიცერი თავს მაღლა სწევს, სათვალების ზემოდან მიცემის და ზანტად დგება.

თავიდან ფეხებამდე მათვალიერებს. განსაკუთრებით, ჩემს დახეულ სამოქალაქო ტანკსაცმელს აკვირდება. მისი მზერა ჩემს ფეხსაცმელზე ჩერდება.

— პარტიზან? — მექითხება ოფიცერი, უარის ნიშნად თავს აქეთიქით ვაქნევ:

— ზოლდატ! — კითხულობს ისევ.

უარის ნიშნად ისევ თავს ვაქნევ. იგი ისევ ჩემს ფეხსაცმელს აკვირდება, შემდეგ — გადაკრეჭილ თავს და ცხვირწინ ნიშნის მოგებით თითს მიქნევს: — სოლდატ, პარტიზან... იუდე? ეკითხება კონკორის.

ოპო! — გავიფიქრე მე, — ებრაელი ვგონვარ, ეს კი ხუმრობა აღარაა.

— არა, ქართველი ვარ, კავკასიელი. — ეტყობა, დამიჯერა.

მემანქანე ქალს რაღაცას ეუბნება. ქალი ქაღალდის ფურცელს იღებს და მანქანში დებს, ჩემს გვარს, სახელს, დაბადების წელსა და ადგილს ბეჭდავს. დაკითხვის შემდეგ უკან მაბრუნებენ, ოთახში მკეტავნ. საველე ფანდარმერიის კომენდატურიდან გაქცევა შეუძლებელია. იატაკზე ვწვები და დაძინებას ვცდილობ. ვნახოთ, დილა რას მომიტანს. ძილი არა და არ მერვა. ნამდვილი ბატი ვარ, — ისევ და ისევ მახსენდება ტომარაში ჩაყრილი ბატები..

(გაგრძელება იქნება)

რაინსფოურური პიმლერი ბიჭუნას ესაუბრება  
(ბელორუსია, 1941 წ.)





სანორლი ჟურნალ  
„კარუსელისგან“



უფრო მეტ სამუშაოები, ყოველი დღი, თავისუფას და  
სამარტინი ამჟამი თავისუფას გამოიჩინა ფრინვლის

1. აიცენტი- ანი მონეტა აშ-ზი							2. დიდოსი- ანიძა	
3. მდანალუ- ჯი გერიაშვილი							4. ირლენე- ლა ქალაშვილი	
5. მეფის მხედველები							6. გონიერი დაკარგება წევები დაწევ- ითვისთ	
7. ქუნიების მოდენება		8. მომავა- წმომწევები					9. სითბის დინება თხელ ფეხებად	
							10. მაბ ... დაღანიძე	
11. ფრანგუ- ლი საწებელი			12. სოფ- ლესეთის რაიონი					
							13. ქინო- ლექტი	
14. საქალა- ხო თანა- დებობასთ ადგენე- რაცია			15. გ ბერის კოვი				16. ნადავლი	
17. საპასუ- ხი ხელები თანამდებობა		18. ბალერინა ... ანათაშ- ვილი		19. პიტალო ქლებე				
							20. ზღაპრუ- ლი ქალი	
			21. ბრიუ, ფანდი					
25. სუპერ- გონტინენტის ნაწილი				26. სამსა- უსურიანი ინტერიერი (ბუბ.)			23. ადამიანის ბიუჯეტი (ერთეული)	24. კუშმირი, გაერთიანება

წინა ნომერში გამოქვებული სკანორდის პასუხი:

1. გერია;
  2. რუზელტი;
  3. ლილუ;
  4. იარეგიტი;
  5. აკრისი;
  6. ბაღანარი;
  7. დერბი;
  8. სუსია;
  9. მე;
  10. ბელი;
  11. ტატუ;
  12. ღამე;
  13. ბობოლა;
  14. ნიკიფორე;
  15. ბრანტი;
  16. ტოროლა;
  17. გარებამ;
  18. რუსი;
  19. ურა;
  20. რტო;
  21. ფლიბი;
  22. ოღარი;
  23. ტალი;
  24. ლატერიტი;
  25. ირა.
- სშრამიზე: კლისასედ მეორე უინბორი.


# მეგზური სიკათის სამყაროში



პარიბჭების ბიბლიოთეკა მოზარდოთათვის

ნიბნი 5

„ერისთიანობა და სხვა რელიგიები“



28 03 ნიბნი

შურნალ

„პარიბჭესთან“ ერთად



შვილებთან ერთად წასაკითხი ნიბნები – სიკათის,  
პაცოლინების, მიმთევებლობის მაგალითები  
მხატვრული ლიტერატურიდან და რეალური  
ბიობრაფიებიდან.

ქართველი  
კულტური

იკითხეთ ნიგნის მაღაზიებში და პრესის გავრცელების წერტილებში,  
ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673;  
0(32)2382674 და [www.elva.ge](http://www.elva.ge) თქვენთვის სასურველ ადგილზე მოგართოვთ.

# საქართველოს ინტერაქციული რუკა

## შეაგროვე 12 კომპლექტი

12 რეგიონის  
დეტალური რუკა

+

12 წიგნი თითოეული  
რეგიონის შესახებ

+

192 ტრადიციულ-კულტურული  
შინაარსის ფიგურა,  
რუკაზე დასამაგრებლად



## გაართიანე საქართველო!

ააწყვე რუკა ობიექტები ერთად

ეს საქართველოს რუკის მხატვრული და სახალისო პარტია, რომელიც გაძლიერებს უნიკალურ შანსს ნაბიჯ-ნაბიჯ, თამაშითა და ხალისით, ცოდნის გაღრმავებითა და, რაც მთავარია, სიყვარულით ააწყო და გაართიანო საქართველო!

საეციალური  
ფასი 8.50 ₾

გაზითთან  
ერთად 10 ₾

23 ივლისიდან, 2 კვირაში ერთხელ გაჩეთ „პვირის პალიტრასთან“ ერთად

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკვეთ  
ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674 და [www.elva.ge](http://www.elva.ge) ადგილზე მოგართმევთ

